# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 18 მაისი, 2007 წელი.

№ 94 (5695)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge   ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika   ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიგა ბუკია - „აქლემების ქარავნის ქურდების“ წინააღმდეგ



სამინისტრომ 3 წლის განმავლობაში უკონტროლოდ დატოვა ცენტრი და 2004-2006 წლებში 31 მილიონ ლარზე მეტი გაიხარჯა.

და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი არ შეუდგენიათ. დარღვევათა მთელი კასკადია.

3

## მართლაც რა მოხდა 1991 წლის 2 სექტემბერს?

8

ზვიად გამსახურდიას გვერდით მუშაობდნენ გაორებული რწმენის და სტანდარტის მქონე ადამიანები. მაგალითად, საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტის გადადგომას და აცხადებდა, რომ დასაპატიმრებელ ადამიანთა არავითარი სიები არ არსებობდა.

## გაიხდის?.. არ გაიხდის?.. გაიხდის, აბა, რას იზამს!

2

## დევნილთა დაბრუნება აფხაზურად

12

## სამონასტრო კომპლექსი – ქართულ ეკლესიას, ტერიტორიები კი – აზერბაიჯანს

10



„ფლეიბოიმ“ მძლავრად შემოაბიჯა საქართველოში.

გილოცავთ, „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“! თქვენ ამსხვრევთ სულისშემხუთველი, დამამცირებელი, დამმონებელი ტრადიციებისა და ჩამორჩენილ-ქაჯური შეხედულებების ხუნდებს და უკვე ლაღად, დედიშობილა მიაბიჯებთ ევროპა-ამერიკის ემანსიპირებული დობილების მხარდამხარ.

## დაცემა ამაღლების დღეს




გუშინ სრულიად საქართველომ ამაღლების ბრწყინვალე რელიგიური დღესასწაული აღნიშნა. სხვა საკითხია, ვინ — როგორ. სამწუხაროდ, ზოგ-ზოგიერთებს საამისოდ ქამელეონობა დასჭირდათ.

13



● კორუფცია ხელისუფლების მაღალ ეშელონებსაც მოედო, რასაც კონსერვატიული პარტიის მიერ სააშკარაოზე გამოტანილი ფაქტები ადასტურებს. ისინი თბილისის მერიას, კერძოდ კი — კეთილმოწყობის სამსახურს, მილიონობით ლარის გაფლანგვაში ადანაშაულებენ

№ 94. პარასკევი, 18 მაისი, 2007 წელი.

◉ მწარე სინამდვილე

# კორუფციასთან ბრძოლა ქართულად

**კორუფციასთან ბრძოლა ჩვენი ხელისუფლების ძირითადი პრეროგატივაა. ციხეები კი სავსეა წვრილმან დანაშაულზე წასწრებული ხალხით, ხოლო „ღლავები“ თავისუფლად დასეირნობენ. კორუფცია ხელისუფლების მაღალ ეშელონებსაც მოედო, რასაც კონსერვატიული პარტიის მიერ სააშკარაოზე გამოტანილი ფაქტები ადასტურებს. ისინი თბილისის მერიას, კერძოდ კი — კეთილმოწყობის სამსახურს, მილიონობით ლარის გაფლანგვაში ადანაშაულებენ. კონსერვატორებმა, ამ საკითხის გამო, სპეციალური პრესკონფერენციაც მოიწვიეს. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ბეჟან გუნავამ ჩვენთან საუბრის დროს განაცხადა:**



— ლაპარაკია იმ 229 მილიონ ლარზე, რომელიც არამიზნობრივად არის გახარჯული თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ. თავის დროზე, ჩვენ მოვითხოვეთ კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული რევიზიის მასალები. რატომღაც ისინი ინახებოდა გრიფით — „საიდუმლო“. კონტროლის პალატამ ეს მასალები არ გადმოგვიგზავნა. ამის შემდეგ, კონსერვატიულმა პარტიამ საჩივარი შეიტანა სასამართლოში. სასამართლო პროცესი მოვიგეთ და, ბუნებრივია, ამ დოკუმენტებს მოეხსნა გრიფი — „საიდუმლო“.

**— რა ბედი ეწია ამ მასალებს?**

— კონტროლის პალატამ ისინი გენერალურ პროკურატურას გადასცა. პროკურატურას კი იმ მასალებს აწვდიან, რაც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ამდენად, ჩვენს მიერ წაყენებული პრეტენზიები კეთილმოწყობის სამსახურის მიმართ, საფუძვლიანი იყო. ქალაქის მერი ებრძვის 200-ლარიან კორუფციულ გარიგებებს მერიის სტრუქტურებში, აპატიმრებენ რიგით ინსპექტორებს, რომლებმაც მიზერული თანხები გაფლანგეს, ამ დროს კი მილიონები იფლანგება, რომელ სამართლიანობაზეა ლაპარაკი?

**— ბატონო ბეჟან, როგორ ფიქრობთ, მოჰყვება რაიმე რეალური შედეგი ამ ფაქტების სააშკარაოზე გამოტანას?**

— მოვალენი ვართ, ვამხილოთ მსგავსი შემთხვევები და საზოგადოებრიობას გავაგებინოთ. პრესკონფერენციაზე ქალაქის მერს მოვუწოდეთ, შეისწავლოს სტრუქტურები, სადაც სერიოზული ფინანსური დარღვევები ხდება. 200 ლარის გამფლანგველი „წყალკანალის“ ინსტრუქტორების ნაცვლად, უპირველესად, ის ადამიანები უნდა დაისაჯონ, რომლებიც გარეულნი არიან ათეულმილიონიან გაფლანგვებსა და გარიგებებში...

შედეგი კი მაშინ იქნება რეალური, როდესაც ეს ადამიანები ხელისუფლებაში აღარ იქნებიან...

**ესაუბრა**
**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ ჩაძირული ისტორია

**კაპიტალმა სამშობლო არ იცის. მას არც ეროვნება აქვს და სინდის-ნამუსთანაც კარგა მწყრალადაა. სხვაგვარად იგი საერთაშორისომდე ვერ გაიზრდებოდა.**

როგორც კი მსუყე ლუკმის სუნს იკრავს, ღვარცოფად მოვარდნილი ანგრევს ყველა წინაღობას, ან, თავმოკატუნებული, ფულის ტომრებით გუდავს ყოველგვარ ეროვნულ წამოძახილს.

დიდი ფული დიდი ინტერესია. ამ ინტერესს ეწირება ხოლმე ძალზე ხშირად ქვეყნისა თუ მხარის, კუთხის ინტერესები. გნებავთ, შაორი, გნებავთ, ჟინვალი გავიხსენოთ. სპეციალისტთა თქმით, ენერგეტიკაში რომაა ალუნუსხავი დიდი ფული, სხვა დარგებში ძნელად მოიძებნება. შაორმა რა ხეირიც დააყარა რაჭას, მის ეკოსისტემასა და კულტურის ძეგლებს, ამაზე ბევრი დაიწერა. ანანურის, გარშემო სოფლების მცხოვრებლებს გავსაუბრებივარ. ზარდაცემული იყო ხალხი, ისე შეიცვალა კლიმატი, აღარ ვიცით, როდის იწვიმებს და როდის იდარებს, ტენიანობა ძვალ-რბილში გვატანს, სულ გაგვიოხრა ნათესები; აღარც ის ვიცით, რა დავთესოთ, ასეთ პირობებში რა იხარებსო. ახლა მთელი სოფლები რომ აყარეს? რამდენი უძველესი ისტორიული ძეგლი, არქეოლოგთაგან გამოუკვლევი ტერიტორია დაფარა წყალმა?

კასპის რაიონის სოფელ ნასტაკისში მართლაც უუნიკალურესი, ჩვენი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებსა და სალოცავებს, რაც ადასტურებს, რომ ქართლის შუაგულში მაშინვე უკვე ძალზე ძლიერი იყო ქრისტიანული თემი, ლიმონათის ქარხანა დააშენეს. კიდევ რამდენი ასეთი ვანდალობის გახსენება შეიძლება?

მაგრამ, სიტყვა გამექცა. რაც ითქვა, საერთაშორისო კი არა, საბჭოთა კაპიტალის, საბჭოური ხედვისა და ძალმომრეობის მწკლარტე ნაყოფია. თუმცა, არსობლივად — ყოველივე ეროვნულის, ხალხის ინტერესების სრული უგულებელყოფით — საერთაშორისო და საბჭოთა ერთი ოხერია, ხერხი და მეთოდი ერთნაირი აქვს.

აგერ, „რაოესის“ მეფე ანატოლი ჩუბაისი ნამდვილ, რატომღაც ჩრდილო ოსეთად წოდებულ ავტონომიურ, ანუ, ასე თუ ისე, დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აპირებს. ენერგეტიკოსთა თქმით, თუ წყლის დონე 40 მეტრით აიწევს, ჰიდროელექტროსადგური რესპუბლიკას ელექტროენერგიით სრულად უზრუნველყოფს და მომავალში საექსპორტო მარაგსაც შეიქმნის.

მერედა, რა არის ამაში ცუდი? ის, რაც ზემოთქმულის მიღმა დგას. როგორც კი დიდი სარგებლის სუნი იკრა, რუსეთმა უმალ დაივიწყა ოსეთთან „მრავალსაუკუნებრივი ძმური ურთიერთობა“ და ზარამაგის ზონაში (სადაც სადგური უნდა აშენდეს) არსებულ უნიკალურ ძეგლებსა და სამარხებს დატბორვას უქადის.

## ნამდვილ ოსეთში კულტურის ძეგლებს ჰიდროელექტროსადგურს დააშენებენ

### დიდი კაპიტალი მხოლოდ მოგებას უწევს ანგარიშს

დატბორავს კიდეც. თანაც ისე, რომ არქეოლოგები ტერიტორიის ზედაპირულად შესწავლას თუ მოასწრებენ — სადგურის მშენებლობის დაწყება წლის ბოლოსთვისაა ნავარაუდევი. ოსმა ისტორიკოსებმაც დროებით დაგვანებეს თავი — აღარ თითხნიან ოპოსებს, შიდა ქართლი, დვალეთი ათადან-ბაბადან ოსური იყოო და „ძმადნაფიცს“ აუყეფდნენ, რას სჩადიხართ, ისტორიას გვიძირავთო?! აქეთ პრესა აყვირდა, იქით — ტელევიზია და რადიო, მაგრამ ძმადნაფიცს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ჩუმი თანხმობით — ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებს და რაღაც სამარხები დაუდგება წინ? — ყურიც არ შეუბერტყავს. კი მოითხოვენ ოსი მეცნიერები, რომ ყველა ძეგლი ხელუხლებელი დარჩეს, ან უსაფრთხო ადგილზე გადაიტანონ მაინც, მაგრამ ჯერჯერობით „რაოესი“ დუმს. უნდა რო ზედმეტი ხარჯები?!

**კოტე სარალიძე**

◉ ჩვენ უკვე ჩვენი „ფლეიბოი“ გვაქვს

**მინდა ამაღლებულად, გულითადად მივულოცო სრულიად საქართველოს (მაგრამ შესაფერისი სიტყვები ვერ მომიძებნია), რომ ის უკვე ნამდვილი სახელმწიფოა!**

თუ არ ვცდები, ისრაელის პრემიერი გოლდა მეირი იყო, როცა უთხრეს, პირველი ქურდი (ებრაელ ქურდზეა ლაპარაკი) დავიჭირეთო, სიხარულით ცას ეწია, ახლა კი ნამდვილი სახელმწიფო ვართ, საკუთარი ქურდიც კი გვყავსო.

ჰოდა, ჩვენც უკვე ნამდვილი სახელმწიფო ვართ: უკვე ქართული „ფლეიბოი“ გვაქვს (სხვათა შორის, მისი პრეზენტაცია წუხელ გაიმართა, დღეს კი უკვე ჟურნალ-გაზეთების დახლებზეც გამოვიდა თურმე).

ეგღა გვაკლდა და ნაკლულება შევივსეთ!

## გაიხდის?.. არ გაიხდის?.. გაიხდის, აბა, რას იზამს!

შეგვიძლია აღარ ვიფიქროთ პირქუშ ხვალინდელ დღეზე, მშიერ ცოლ-შვილზე, წელში გამწყვეტ გადასახადებზე, დაკარგულ ტერიტორიებზე...

იმიტომ, რომ მშობლიურ ენაზე გვაქვს „ფლეიბოი“ და შეგვიძლია „სიამაყით გულზე მოსულებმა“ ნერწყვის ყლაპვით ვათვალიეროთ ჩვენი მშობლიური შიშველი ქალები.

გუშინ „რუსთავი-2“-ის „კურიერი“ თითქმის მთლიანად ამ საყოველთაო ეროვნულ სადღესასწაულო მოვლენას მიეძღვნა.

დიქტორს და მიწვეულ სტუმრებს სიხარულისა და მღელვარებისგან სული ეხუთებოდათ.

ოღონდ, ჩემი აზრით, ზედმეტად დიდი დრო მოანდომეს ფუჭ ვარაუდებს: გაიხდიან თუ არა ჩვენი ქალები ფოტოსურათის ტიტლიკანა გადასაღებად და თავიანთი დაფარული ინტიმური ნაწილების ამ ჟურნალის ფურცლებზე გამოსაფენად, ვინ, რომელი კატეგორიის ქალები გაიხდიან უპირველესად, განსაკუთრებული მონდომებით: მსახიობები, მოდელები თუ მომღერლები?

თავიდან განწყობა ისეთი იყო, რომ მოდელებს უფრო მასობრივად უნდა გაეხადათ, აქაოდა, პოდიუმზე ისედაც ლამის შიშვლები გამოდიან და ბოლო ლეღვის ფოთოლსაც იოლად შეელევიანო.

ბარემ აქვე ვიტყვი: ინტერაქტიულმა გამოკითხვამ მოულოდნელად უჩვენა, რომ საღერღელაშლილი მაყურებელი უფრო მომღერლებს ვარაუდობს, სწორედ ისინი მოშილფდებიანო. მე მგონი, ამ კატეგორიის მანდილოსნებისთვის ეს დიდი სტიმულიც არის და დიდი ავანსიც.

საერთოდ კი, რა სულელური სამარჩიელოა: გაიხდიან?... არ გაიხდიან? გაიხდიან, აბა, რას იზამენ!

პირველად, გახსოვთ თქვენ, კიკუმაც შეიცხადა („დათა თუთაშხია“), არაო, მაგრამ მერე ოქროს ბზინვარებას ვერ გაუძლო და მთელი „პრელესტები“ გამოფინა სახალხოდ, უფრო სწორედ — სადუქნოდ.

ერთ-ერთი აბრაგის მაშინ თქმული გენიალური მიგნებაც გახსოვთ ალბათ, „მაგ ფასად ფოთის პოლიცმეისტერიც გაიხდისო“.

გაიხდის, აბა არ გაიხდის?

ფოთის პოლიცმეისტერიც გაიხდის, თბილისისიც და თელავისიც!

ჰოდა, პოპულარობას, ხმაურს, აჟიოტაჟსა და, თავისთავად, ფულს დახარბებულ ჩვენს მომღერლებსა თუ სხვა ჯურის ქალბატონებს დაასწრებ გახდას, ხშირად მაშინაც კი რომ იხდიან, სადაც ამის აუცილებლობა სულაც არ არის?

პირველი ნავსის გატეხვა ჭირდა (ვილაც ორ, ჯერჯერობით ინკოგნიტოს გმირულად გადაუდია თავი), თორემ აწი წყვეტა იქნება ფოტოსესიებზე, აწი მსურველებს ვერ აუვლენ, დაიწყება საქმის ჩაწყობა, „ზევიდან“ დარეკვები, ქმრების მიერ ნაცნობების გამოძებნა, დედების და მამების ყურმილზე ჩამოკიდება, „ჩვენი ნუციკო ნახეთ „ფლეიბოის“ ბოლო ნომერში?“...

„ფლეიბოიმ“ მძლავრად შემოაბიჯა საქართველოში.

გილოცავთ, „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“! თქვენ ამსხვრევთ სულისშემხუთველი, დამამცირებელი, დამმონებელი ტრადიციებისა და ჩამორჩენილ-ქაჯური შეხედულებების ხუნდებსა და უკვე ლაღად, დედიშობილა მიაბიჯებთ ევროპა-ამერიკის ემანსიპირებული დობილების მხარდამხარ.

და ჩვენ გვაამაყებს, რომ თქვენი ძუძუ-მკერდი, ბარძაყები, უნაზესი „სამკუთხედები“ და მოთიმთიმე დუნდულები არც ერთი კონტინენტის და ეროვნების ქალისას ეს არ ჩამოუვარდება. პირიქით — სხვაზე უფრო მშვენიერია, უფრო მადისაღმძვრელი და „საამო არის საჭვრეტად“, რადგან მშობლიურია.

**ალეკო ასლანიშვილი**



# რა დღეშია ვართ

● სამინისტრომ 3 წლის განმავლობაში უკონტროლოდ დატოვა ცენტრი და 2004-2006 წლებში 31 მილიონ ლარზე მეტი გაიხარჯა.

და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი არ შეუდგენიათ. დარღვევათა მთელი კასკადია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ვინ აწყავებს ჩვენს შვილებს?

## გიგა ბუკია – „აქლემების ქარავნის ქურდების“ წინააღმდეგ

**ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების თვითნებურ ხარჯვაში ადანაშაულებს. ვარაუდობენ, რომ ეს თანხა 40 მილიონი ლარია. ფრაქციის წევრმა, პარლამენტარმა გიგა ბუკიამ ოფიციალური წერილით მიმართა კონტროლის პალატას და მოითხოვა განათლების სამინისტროს პროექტის „ილია ჭავჭავაძის“ შემოწმების აქტები.**

„ამ მასალების გაცნობის შემდეგ, ისეთი დარღვევები აღმოჩნდა, გაჩუმება არ შეიძლებოდა. მოვითხოვეთ, ისინი გენერალურ პროკურატურას შეესწავლა და გადავუგზავნეთ. ხოლო საქართველოს პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს გავაცანით საქმის არსი. პირადად გადავეცი მასალები ნოდარ გრიგალაშვილს. გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლა ეს საკითხი და შემდგომი შესწავლისა და რეაგირებისათვის ფინანსთა სამინისტროს გადასცა.

ასე, რომ პროკურატურა ნაკლებად დაინტერესდა, ხოლო ნოდარ გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ მას ეს დოკუმენტები არა აქვს და არ იცის რაზეა ლაპარაკი. იცრუა, რადგან კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ, გადავეცი მასალები და ოფიციალურად მოვთხოვე, ან რიგგარეშე კომიტეტის სხდომა მოეწვია, ანდა კომიტეტის სხდომაზე დღის წესრიგში შეეტანა, რომ კომიტეტს, საქმის სიცხადისთვის, განათლების სამინისტროსა და კონტროლის პალატის წარმომადგენლები მოეწვია.

გვაქვს 400-ზე მეტგვერდიანი დოკუმენტაცია, სადაც თითქმის ყოველ გვერდზეა აღნუსხული სერიოზული დარღვევები. ხოლო შესაბამისი დასკვნა არ დადებულა. კონტროლის პალატის ძველი ხელმძღვანელობა ბატონ ლომაიას, ზოგადად, ხელისუფლების სერიოზულ გავლენას განიცდის. კონტროლის პალატის ახალი ხელმძღვანელი დაგვპირდა ამ საკითხის შესწავლას და წერილობით პასუხს“.

ბატონ გიგას ვთხოვეთ, კონკრეტულად დარღვევებზე მოეთხრო.

როგორც მან აღნიშნა, 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 ივლისამდე დაფინანსების უცხოური წყაროებიდან, გრანტებითა და თვითდაფინანსებით განხორციელებულა საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნის და განმტკიცების პროექტის („ილია ჭავჭავაძე“) ეფექტიანობის თემატური შემოწმება. პროექტის მართვის კომიტეტის საქმიანობა თითქმის ჩაშლილი იყო. შემოწმებისას ვერ წარმოადგინეს პროექტის მართვის კომიტეტის ვერც ერთი სხდომის დოკუმენტი (ოქმი) და მის მიერ დამტკიცებული წლიური სამუშაო პროგრამა, გაწერილი ბიუჯეტი, პროექტის ფაქტობრივი მიმდინარეობისა და განხორციელებული საქმიანობის პროექტის მიზნებთან შესაბამისობის შესატყვისობა.

არ დაუმტკიცებიათ საშტატო განრიგი, მიღებულ საგრანტო თანხებზე არ წარდგენილა ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროში; ცენტრის საბანკო ანგარიშზე გაიარა ორმა საგრანტო თანხამ (იუნესკოსა და სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის), არც ეს ინფორმაცია არ წარდგენილა ფინანსთა სამინისტროში.

„ცენტრის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერება და ეფექტიანობის შემოწმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რომელიმე აქტში არ აღნუსხულა. ცენტრის საქმიანობის ზედამხედველი, ამ თვალსაზრისით, სწორედ განათლების სამინისტროა. სამინისტრომ 3 წლის განმავლობაში უკონტროლოდ დატოვა ცენტრი და 2004-2006 წლებში 31 მილიონ ლარზე მეტი გაიხარჯა.

და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი არ შეუდგენიათ. დარღვევათა მთელი კასკადია. ლომაიამ იცრუა, როცა თქვა, რომ მსოფლიო ბანკმა დააფინანსა და არა ბიუჯეტმაო, ანუ თანადაფინანსებით მიიღეს თანხა. ელემენტარული შეკითხვა იბადება – თუ ლომაიას მსოფლიო ბანკთან ჰქონდა უფლებამოსილების განხორციელება, მაშინ რატომღა შეამოწმა იგი კონტროლის პალატამ? რას ნიშნავს ეს? უშუალოდ ლომაიას აჩუქეს, ჯიბის ქრთამი იყო, თუ რა?“ – გვითხრა მან.

გიგა ბუკია საეჭვოდ მიიჩნევს იმას, თუ როგორ დგებოდა განათლების სამინისტროს ბიუჯეტიც. მინისტრი ბიუჯეტს ადგენდა საკუთარი მოსაზრებებით და არა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების განაცხადების საფუძველზე. როდესაც კონტროლის პალატის რევიზორებმა მოითხოვეს განაცხადები, 70 პროცენტზე მეტი განაცხადი არ აღმოაჩნდათ. ფარატინა ფურცელზე არც რეგისტრაციის ნომერია, არც თარიღი და არც ხელმოწერა. ირკვევა, რომ სამინისტრო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში გაწერილ სახელმწიფო პროგრამებსა და ღონისძიებებზე (თითქმის 80 პროცენტზე, რომელიც მილიონი ლარია) არ ამტკიცებდა პროგრამებსა და ხარჯთაღრიცხვებს და თვითნებურად ხარჯავდა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებს! ფაქტობრივად, ლომაიას ფინანსთა სამინისტროში, მთავრობაში, პარლამენტში შეაქვს წინადადებები ბრჭყვიალა სათაურის პროგრამაზე სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების გამოყოფაზე ისე, რომ ფაქტობრივად განსაზღვრული არ აქვს, რა უნდა გააკეთოს. ამიტომ სამინისტროში, როგორც ჩანს, შექმნილია მართვადი ქაოსი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ნაწილში.

სამინისტროს სხვადასხვა პროგრამიდან გადარიცხული აქვს რა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები, არ ფლობს ინფორმაციას, გაკეთდა თუ არა ის საქმე. მაგალითად, 2005 წლის „სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამიდან“ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის სასკოლო ოლქების სამმართველოებში გახარჯულად ნაჩვენებია 567,8 ათასი ლარი, მაგრამ რა გაკეთდა ამ თანხით, რევიზორებს ვერ დაუდგენიათ. დამტკიცებული პროგრამა, ხარჯთაღრიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტები და ანგარიშები მათ არ წარუდგენიათ.

2005 წლის „მოსწავლეთა სპორტული აღზრდისა და გაჯანსაღების პროგრამიდან“ 11 სკოლას გადაერიცხა 750 ათასი ლარი, სამინისტროს კი არ აღმოაჩნდა მიღება-ჩაბარების აქტი.

არის სხვა მსგავსი ფაქტებიც, რაც ადასტურებს, რომ სამინისტროს არ აქვს ინფორმაცია გახარჯული თანხით გაკეთებულ საქმეზე. არ არის გამორიცხული საბიუჯეტო თანხა დატაცებული იყოს“, – განაცხადა დეპუტატმა.

გიგა ბუკიამ მოგვაწოდა სხვა ფაქტებიც, როცა სამინისტრო კოლოსალურ თანხებზე ტენდერის გამართვაზე და კერძო იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების მიმართ დანაშაულებრივად გულგრილია. „შპს „დილიჟანის“ მიერ სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული უგულებელყოფითაა განხორციელებული: 4,3 მილიონი ღირებულების მასალებიდან უშუალოდ სკოლის წარმომადგენლებისთვის ჩაბარებულად ნაჩვენებია მხოლოდ 2 მილიონი ლარის საქონელი. ხოლო 2,3 მილიონი ლარის ღირებულების საქონელი ნაჩვენებია განათლების რაიონულ განყოფილებაში დატოვებულად. დიახ, „დატოვებულად“ და არა სკოლებისთვის ჩაბარებულად, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა. რას ნიშნავს დაუტოვეს? მათი ქონება იყო, საჩუქარი თუ ვალდებულება?“ – გაცხარდა ბუკია.

მისივე თქმით, ეს ფაქტები ზღვაში წვეთია და კონტროლის პალატას უამრავი დარღვევა გამოუვლენია.

„ეს ყველაფერი ხდება იმ სამინისტროში, რომელიც, თურმე, ყველაზე უმწიკვლოა. მინისტრი ჭკუას გვარიგებს და სადამსჯელო ღონისძიებების გატარების ინიციატორია. პრეზიდენტი ნულოვან ტოლერანტობაზე ლაპარაკობს და ციხეები ნემსის ქურდებითაა სავსე. ხშირად კი იქ უდანაშაულო ადამიანებიც სხედან. ამ დროს აქლემის კი არა, მთლიანი ქარავნის ქურდები მინისტრები არიან და პრემიერობასაც უმიზნებენ. ეს მოსახლეობის დაცინვაა. მინისტრი „ილია ჭავჭავაძეს“ ყველაზე წარმატებულ პროექტად მიიჩნევს, მაგრამ რა ხდება სკოლებში, რატომ არ კითხულობს – მკვლელობები, სადიზმი... მოკლული ბავშვები მისი წარმატება?“ – დასძინა მან.

შეკითხვაზე, რას იტყოდა განათლების მინისტრის კომენტარზე, რითაც, ფაქტობრივად, უარყო ყველაფერი, მოგვიგო, ეს ცინიზმიაო. „მაშ დაგვსიზმრებია და კონტროლის პალატის მასალები არ არსებობს. მაშინ, თქვას ლომაიამ, რომ კონტროლის პალატა ცრუობს, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი აქვს სათქმელი. მისი კომენტარი კიდევ ერთი ზეწოლაა და კონტროლის პალატა, აგრეთვე, პარლამენტი ვალდებულია მსგავს განცხადებებზე რეაგირება მოახდინოს“, – დაასკვნა მან.

გიგა ბუკიას თქმით, თუ მათ მოთხოვნას რეაგირება არ მოჰყვება, მაშინ ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“ ამ საკითხის განსახილველად კონტროლის პალატის წარმომადგენელს მოიწვევს. ხელისუფლება უკვე იძულებული იქნება, პასუხი გასცეს მოსახლეობას. განათლების სამინისტრო არის ქვეყნის მომავლის გადაწყვეტის სამინისტრო, მას აბარია ბავშვებისა და მომავლის ბედი. არანაირად არ მსურს, ლომაიას, რომელმაც არ იცის, თუ რა ქაოსია სამინისტროში და პირადად მონაწილეობს ამ ქაოსის შექმნაში, ჩვენი შვილების მომავალი ვანდო“, – ასეთია დეპუტატის პოზიცია.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ აქტუალური თემა

## ნარკოდილერების ქონებას კონფისკაცია ემუქრება

**უმკაცრესად დაისჯება ყველა სტუდენტი და მოსწავლე, ვისაც კი ნარკოტიკებთან კავშირში ამხელენო, ასე გამოეხმაურა საქართველოს გენერალური პროკურატურის კანონპროექტს ნარკოდილერებისა და მომხმარებლების წინააღმდეგ კანონის გამკაცრების შესახებ, განათლების მინისტრი კახა ლომაია.** „მივესალმებით და მხარს ვუჭერთ ამ ინიციატივას, რომლის მიზანია, არა მხოლოდ რეალიზატორთა მკაცრი დასჯა, არამედ მათ ირგვლივ შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნა, – დასძინა მან. ნარკოტიკების გამსაღებლებს აეკრძალებათ საჯარო, საგანმანათლებლო და საექიმო საქმიანობა, არჩევნებში ნებისმიერი ფორმით მონაწილეობა.

ნარკოტიკების გამავრცელებლების წინააღმდეგ კანონის გამკაცრების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია. მისი ყოველწლიური ანგარიშის დროს გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრეების წინააღმდეგ კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს, მიესალმება უმრავლესობაც და ოპოზიციაც.

„ნარკომანობა უნდა ვაქციოთ სამარცხვინო საქმედ!“ – განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა და გამოვიდა ინიციატივით, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრეების ქონება კონფისკაციას დაექვემდებაროს. ნარკომანიის თაობაზე საქართველოს პატრიარქმა საშობაო ეპისტოლეში აღნიშნა, ნარკომანობა სირცხვილიაო.

კანონმდებლობით, ნაკროტიკების გაყიდვა 12 წლიდან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. აღსანიშნავია, რომ ნარკომანების ასაკმა დაიწია,



რაც ყველაზე შემაშფოთებელია. გოგონები უკვე 14 წლიდან ხდებიან ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულნი და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. ამიტომ, ცხადია, სწორი და ადეკვატურია კანონის გამკაცრება.

ძირითადად გამკაცრდება ბრძოლა ნარკოტიკებით მოვაჭრეების წინააღმდეგ. ზოგიერთი დეპუტატის აზრით, ვისაც ავადმყოფის კვალიფიკაცია აქვს და ნარკოტიკების მხოლოდ მათზე დამოკიდებულების მოსახსნელად საჭირო ულუფას იყენებს, მასზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ უნდა დაწესდეს. იგი ადმინისტრაციული წესით უნდა დაისაჯოს.

ოპოზიცია ნარკოდილერების ქონების კონფისკაციის საკითხს ეთანხმება. მათი თქმით, ამის წინააღმდეგნი მხოლოდ მაშინ იქნებიან, თუკი დადასტურდა, რომ ქონება ნარკოტიკების გაყიდვით არ არის შეძენილი და ნარკოდილერის მცირეწლოვანი შვილები ღია ცის ქვეშ დარჩებიან.

ისმება კითხვა: ვინ უნდა დაადგინოს, როგორ არის შეძენილი ეს ქონება?

ცხადია, ეს გამოძიების ორგანოებმა, სასამართლომ უნდა დაადგინოს. გამოძიების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ოპოზიცია ეჭვობს, რომ იგი ყოველთვის ობიექტურად წარიმართება. უმრავლესობაში კი დარწმუნებული არიან, რომ ასეთი რამ არ მოხდება.

**მზია გელენავა**

# საფიქრალი

საკითხი უაღრესად მწვავე და მტკივნეულია. არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერის ხელშეწყობით სეპარატისტთა წისქვილზე წყალი მივუშვით და მომავალ თაობებს შევუქმენით თავსატეხი ამოცანა — დანაწევრებული ქვეყნის გაერთიანებისა



**◎ ისტორია**

# „აფხაზეთო“, ვინ დაგანათლა ეს სახელი?

*მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 40-50 წლებში მსოფლიო კოლონიალური სისტემის რღვევისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად, ჩვენს პლანეტაზე შეიქმნა ათეულობით ახალი, სუვერენული სახელმწიფო. პროცესის ბოლო ტალღა გასული საუკუნის 90-იან წლებზე მოდის, როცა ევროპის სამი ქვეყანა — სსრკ, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია დაიშალა, რის შედეგადაც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე 22 ახალი სახელმწიფო გაჩნდა. უწერია თუ არა ამ პროცესს გაგრძელება, ძნელი სათქმელია, თუმცა ერთი რამ ცხადია: თუ იგი გაგრძელდა, 2000-მა „ობიექტმა“ შეიძლება წარმოადგინოს საკუთარი პრეტენზია (დედამიწაზე 2000, ზოგიერთი კლასიფიკაციით კი 3000-მდე ეთნოსია დაფიქსირებული!). ვფიქრობ, ადვილი წარმოსადგენია თუ რა სავალალო შედეგი მოჰყვებოდა ამას; მაგალითისთვის შორს წასვლა არ მოგვიხდებოდა; მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩეჩნეთში და ჩვენთან აფხაზეთში! სრულიადაც არ მინდა ამ ორ ობიექტს შორის ანალოგი გავავლო, პირიქით — ისინი სწორედ რომ საწინააღმდეგო პოლუსებზე დგანან; — მე ვგულისხმობ იმ შედეგებს, ნგრევასა და ტრაგედიას, რაც დასახელებულ რეგიონებში მოხდა.*

არსებობს რაიმე იურიდიული კოდექსი, რომელიც განსაზღვრავდა სუვერენული სახელმწიფოს გამოცხადების უფლებას? ტერიტორია? მოსახლეობის რაოდენობა? ეკონომიკური განვითარების დონე? სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის არსებობის სტაჟი და ტრადიციები? კულტურა? ან იქნებ ყოველივე ეს ერთად აღებული?

ყოველივე ამაზე ყურადღებას ვამახვილებ იმ მიზეზთა გამო, რომელიც მუსირებს ბოლო 15 წელია და ჩვენს ახლადმშენებარე სახელმწიფოებრიობას თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია!

რამდენად სამართლიანია 93 000 აფხაზის მხრიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოთხოვნა? როგორც ჩანს (და სამართლიანადაც), ამ პრობლემებში ისტორიკოსებიც ერთვებიან, რის თვალსაჩინო მაგალითია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2 მაისი 2007 წელი № 83) პროფესორ ნ. ლომოურის მიერ გამოქვეყნებული სტატია. აღნიშნულ



პრობლემებში ავტორის პოზიცია სტატიის სათაურშივე ნათელია — „აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნა უსაფუძვლოა!“

გვინდა გავიხსენოთ აგრეთვე ისტორიკოსის, პროფესორ დ. გოგოლაძის მოსაზრებანი ამ კუთხით; იგი ისტორიულ „აბსალ-აბაზგთა“ ქართველურ ეთნოსად გამოცხადებას ეჭვქვეშ აყენებს, თუმცა არც მათ „აფხაზურ-ადიღეური“ შთამომავლობის თეორიას იზიარებს: „აფსუები“ (დღევანდელი აფხაზები — **ბ. ჭ.**) — წერს ავტორი, ძველ აბაზგთა შთამომავალნიც რომ იყვნენ, ისინი მაინც არ ჩაითვლებიან საქართველოს უძველესი კუთხის — აფხაზეთის მკვიდრ აბორიგენ მოსახლეობად, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში აქ აფსუები მოვიდნენ მას შემდეგ (გულისხმობს ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეს. **ბ. ჭ.**), რაც 800 წელი უკვე არსებობდა ქართული სახელმწიფო — კოლხეთი. ამიტომ მათ საქართველოში ცალკე სახელმწიფოს იურიდიული შექმნის უფლება არა აქვთ, მათ მხოლოდ კულტურული ავტონომიის უფლება აქვთ... ეთნოსის მკვიდრობის ამოსავალი საწყისი, მთავარი მსაზღვრელი ნიშანი არის მათი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, სახელმწიფოს წარმოქმნის დრო. ის ეთნოსი, ან ეთნოსები ითვლებიან ამა თუ იმ ტერიტორიის აბორიგენ მკვიდრად, რომელნიც სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესში ამ ტერიტორიაზე სახლობდნენ. შემდგომ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსულ-დასახლებული ეთნოსები აბორიგენ მკვიდრად არ ჩაითვლებიან და მათ აქ სახელმწიფოს შექმნის უფლება არ აქვთ“. (დ. გოგოლაძე „აფხაზთა საერისთაოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი“. თბ. 1995 წელი).

მაინც იმავე პრობლემას მივადექით: იყვნენ „აფსილ-აბაზგები“ აბორიგენი მოსახლეობა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, მდ. ღალიძგიდან ცხუმამდე, და მდ. აღმოსავლეთ გუმისთიდან მდ. ბზიფამდე, ან მძიმთამდე (სხვადასხვა დროს), თუ ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული უცხო ტომებია? მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ისტორიის კვლევაზე ტაბუ მოიხსნა (გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი) აღნიშნულ პრობლემატიკაზე ქართველმა ისტორიკოს-მკვლევარებმა შექმნეს ფუნდამენტალური ნაშრომები; (თ. გამყრელიძე — „ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან — საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური ტერმინოლოგია“. თბ. 1993 წ.), გ. ერაძე — აფხაზი და საქართველო. თბ. 1993 წ., თ. მიბჩუანი — აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე. თბ. 1994 წ; ა. თოთაძე — აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა. თბ. 1995 წ; ჯ. გამახარია, ბ. გოგია — აფხაზეთი, საქართველოს ისტორიული მხარე (რუსულ ენაზე) თბ. 1997 წ; ა. შონია — გვარები მეტყველებენ, თბ. 1997 წ; თ. გვანცელაძე — აფხაზეთის ისტორიულ-ლინგვისტური საფუძვლები. თბ. 1997 წ; გ. გასვიანი □ აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები. თბ. 1998 წ.). ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა აგრეთვე უაღრესად მაღალმეცნიერული, საინტერესო და კომპეტენტური სტატიები ბატონების — ალექსანდრე ონიანის, ჯანო ჯანელიძის, მიხეილ ჩაჩუას, ოთარ ჯანელიძის, როსტომ ჩხეიძის, აბესალომ ტუღუშის, ბიძინა თავაძის, ლოვარდ ტუხაშვილის, ქალბატონ ნათელა ფოფხაძის და ა. შ.

90-იან წლებში, აფხაზეთის ისტორიის საკითხებისადმი გამოქვეყნებული ნაშრომების „ბუმი“ იყო. კომუნისტური ხელისუფლების მიერ ხელოვნური ჯებირებით შეჩერებული მორევი გაირღვა და თან წაიღო აზროვნების ძველი, დახავსებული დოგმები. ცხადია, ამას ხელს უწყობდა პოლიტიკური მოვლენებიც. თვისობრივად შეიცვალა ისტორიკოსთა მიდგომა აფხაზეთის ისტორიისადმი. შეირყა ნყბადალებული მითი ე. წ. „აფხაზურ-ადიღეური“ თეორიისა, რომელსაც საბჭოთა პერიოდში უმრავლესობა აღიარებდა (უმცირესობაში იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი...).

ზემოთ მოხსენებული წიგნებისა და სტატიების ავტორები ისტორიულ აბაზგ-აფსილებს ქართველურ ტომებად მიიჩნევენ, რაც ავტომატურად ხსნის საკითხს: აქვთ თუ არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება აფხაზებს; პასუხი, გამომდინარე ამ წიგნებისა თუ სტატიების ლოგიკიდან, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია!

შეიძლება ითქვას, რომც არ არსებულიყო პ. ინგოროყვას კაპიტალური წიგნი „გიორგი მერჩულე“, ალბათ, ეს ნაშრომები და პუბლიკაციები ყოველგვარ ეჭვს გაფანტავდნენ „აფსილ-აბაზგთა“ წარმომავლობის საკითხში, და საერთოდ აფხაზეთის ისტორიულ ეთნიკურ პრობლემატიკაში. ეს ვინმეს ახირება როდია. შორს ვარ აზრისაგან, რომ აფხაზეთის ისტორია ეს არის მხოლოდ დასახელებული ავტორების ნაშრომებით შედგენილი კრებული. მეცნიერული კომპეტენტურობა ერთია და უსათუოდ პატივსაცემი. მაგრამ „ავტორიტეტის“ მიერ დაკავებული მცდარი პოზიცია შეიძლება არათუ წაადგეს საკუთარ ხალხს, არამედ დიდი საფრთხეც კი შეუქმნას მას. ცნობილია რა დიდი ზიანი მიაყენა ქართულ ისტორიოგრაფიას ჩვენმა გამოჩენილმა რამდენიმე მეცნიერმა, როცა მათ წინდაუხედავი განცხადება გააკეთეს დასავლეთ საქართველოში ჩერქეზული ტომების ცხოვრების ნაკვალევის შესახებ, რაც აქ არსებულ, რამდენიმე თითქოს არაქართულ სიტყვას და ტოპონიმს ეფუძნებოდა.

საკითხი უაღრესად მწვავე და მტკივნეულია. არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერის ხელშეწყობით სეპარატისტთა წისქვილზე წყალი მივუშვით და მომავალ თაობებს შევუქმენით თავსატეხი ამოცანა — დანაწევრებული ქვეყნის გაერთიანებისა.

საქართველოს ისტორიითა და „აფხაზოლოგიით“ დაინტერესებულ პირებს, განსაკუთრებით ახალ თაობას, მინდა შევახსენო ჩვენი სასიქადულო მამულიშვილისა და მემატიანის პავლე ინგოროყვას მეცნიერული შეხედულებანი აფხაზეთის ისტორიის, მათ შორის „აფსილ-აბაზგების“ საკითხზე, რადგან თანამედროვე აფხაზი მეცნიერები სწორედ ამ ორი ისტორიული ტომის წინაპრობით აპელირებენ და საკუთარ სახელმწიფოდ მიიჩნევენ „აფხაზთა სამეფოს“, რომელსაც ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსები (განურჩევლად იმისა, „აბსილ-აბაზგებს“ ქართველურ ტომებად მიიჩნევენ თუ ადიღეურ წარმომავლობად) საყოველთაოდ აღიარებენ, რომ იგი ქართული სახელმწიფო იყო.

კარგა ხანია, ამ მიმართულებით ყურადღება არ გამახვილებულა (მცირე გამონაკლისის გარდა). როგორც ჩანს, კომუნისტური ხელისუფლების დროს პ. ინგოროყვას წინააღმდეგ ჩატარებულმა ადმინისტრაციულმა წნეხმა და, ზოგიერთი შეშინებული ისტორიკოსის წაყრუებამ ინერციით დღევანდლამდე მოაღწია.

**ბიძინა ჭყონია,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

**(გაგრძელება იქნება)**

**◎ ინფორმაცია**

## მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

**პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ბრძანებით, მინისტრის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე კახაბერ ჩიქოვანი დაინიშნა. იგი უკრაინაში საქართველოს საელჩოში დესპანად მუშაობდა.**

**ჩიქოვანმა შეცვალა ლევან ჭოლაძე, რომელიც კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დაინიშნა.**

## შეხვედრა ბრიუსელში

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ბრიუსელში ევროკომისარს საგარეო ურთიერთობებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო ვალდნერს შეხვდნენ.**

**მინისტრებმა ევროკომისარს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, მათ შორის საქართველოს ხელისუფლების ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.**

**მხარეებმა, აგრეთვე, განიხილეს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიმდინარეობა, რომლის განხორციელებაც მიმდინარე წელს დაიწყო. 6 თვის შედეგები ივლისში, ბათუმში დაგეგმილ კონფერენციაზე შეფასდება.**

**ქართულმა მხარემ ევროკომისართან შეხვედრაზე დააყენა საკითხი სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ, რაც საქართველოს მოქალაქეებს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გადაადგილებას.**

**ინტერპრესნიუსი**

## ბათუმში ნობელის მუზეუმი გახსნეს

**გუშინ, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბათუმს ეწვია.**

**აჭარაში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტმა და შვედეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ბათუმში ძმები ნობელების მუზეუმი გახსნეს.**

**შენობაში, სადაც დღეიდან მუზეუმი ამოქმედდება, XIX საუკუნეში ძმებ ნობელების ოფისი იყო განთავსებული. ამ ოფისიდან ისინი ბაქოდან ევროპის მიმართულებით ნავთობის გასვლას აკონტროლებდნენ.**

**მუზეუმის გახსნის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იმ სახლის ფასადზე, სადაც 1921-1923 წლებში შვედეთის საკონსულო იყო, მემორიალური დაფა გახსნეს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

# სამშობლოვ ჩემო!

● „ტელევარსკვლავნი მომრავლდნენ, სამწუხაროა რაიც...“ დედა, ბიჭო, რას ეფერებიან თავის თავს, საყვარელსა და ძვირფასს!



◎ გამოხმაურება

## მართლაც ბევრი პრეტენზია დაგროვდა

*ჩვენი გაზეთი პირველად როდი ეხება ქართული ტელევიზიის არაერთ ჩრდილოვან მხარეს (ცოტა პარადოქსულიც კია, რომ ისეთი „განათებული“ ფენომენის შემთხვევაში, როგორიც ტელევიზიაა, ჩრდილოვანებაზე გვიხდება ლაპარაკი). ამ დღეებშიც ასე მოხდა და დიდი მსჯელობის წამოწყების ინიციატორად გამოვიდა. ვგულისხმობ ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს წიგნით „ტელევიზიისა და ჟურნალისტიკის შესახებ“ შთაგონებულ წერილს „რატომ ხდება ტელევიზია სულ უფრო ბანალური და სულ უფრო ნაკლებად დემოკრატიული?“ („სრ“, 11 მაისი) და პრინციპულად ვეხმაურები.*

ზოგი პრეტენზია ტელემაყურებლისა „წვერიანია“, მაგალითად, ეკრანის ენის მიმართ, სხვა – შედარებით ახალი (თუნდაც უნიჭო თოქ-შოუებზე). ასევე ბოლო ხანებში გამოიკვეთა, ჩემი დაკვირვებით, ერთი გარემოებაც: ფაქტობრივად, ჩვენ არა გვყავს (თუ არა გვაქვს) ხელისუფლებისადმი ოპოზიციური ტელეკომპანია (ტელეარხი), ვიმეორებ: **პრინციპულად** ოპოზიციური. სამაგიეროდ გვყავნან პრეზიდენტისა და სხვა ძლიერთა თვალებში შემცინცინენი, პირთა მიმხახუნებელნი.

გამოცხადებული პროგრამის დაუცველობა მაყურებლის სრული უპატივცემლობაა: ისე გადააცილებენ ანონსირებულ ნომერს (ვთქვათ, მხატვრულ ფილმს) მითითებულ დროს 20, 40 წუთით, შიგადაშიგ მთელი საათითაც, რომ ბოდიშსაც არ მოიხდიან! ასეთ ფონზე დაცინვადაც გაისმის ქრონომეტრაჟზე ერთი კეკლუცი „თოქშოუელი“ ქალბატონის ზრუნვა.

სამართლიანია დაჩივლებაც მდარე, პრიმიტიულ, ერთმანეთის მგვანე ტელესერიალებზე. მაყურებლის გემოვნების დაჩლუნგება თუ სურთ, საუკეთესო საშუალებისათვის მიუგნიათ „საპნის“ ოპერების სახით. თქვენც ხომ გამოგიცდიათ – დააჭერ ერთ ღილაკს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს („იმედი“, „რუსთავი-2“, „მაუწყებელი“, „მზე“) – სერიალი, სერიალი... ერთმანეთის პროგრამაში მაინც ჩაიხედონ! ახლა თოქ-შოუები! თუ ღმერთი გწამთ, რა საყურებელია, როგორ წვანან გოგონები საწოლებში და რას ლაყბობენ თუ ჭორაობენ! რამდენი სისასტიკეა „დასში“, რამდენი დამამცირებელი მომენტია „იდეა, ფული და ერთი შანსში“...

ტელევარსკვლავობის სენიც რომ შეყრიათ? „ტელევარსკვლავნი მომრავლდნენ, სამწუხაროა რაიც...“ დედა, ბიჭო, რას ეფერებიან თავის თავს, საყვარელსა და ძვირფასს!

რეკლამა ხომ ყელშია ამოსული (დაიწყებენ მხატვრულ სურათს „ჩაგითრევენ“ სიუჟეტში და ბაც! – წავა უსაშველო რეკლამა, მოდი და დაიბრუნე „საფილმე“ განწყობა...). ამას აზიმზიმებული ავტორეკლამაც დაემატა – ტელეწამყვანი ანფასში, პროფილში, ნახევარ ან მეოთხედ ბრუნში, სიარულში, დამჯდარი, ამდგარი, მიკროფონით, უმიკროფონოდ, ქაღალდებით, უქაღალდებოდ... თქვე კაიხელფასიანებო, ისედაც სულ ეკრანზე არა ხართ, ამდენი „მარიაჟობა“ რაღაში გჭირდებათ? ან ერთმანეთს რომ ამდენს ელადავებით („დღეს შესანიშნავად გამოიყურები“, „ეს ვარცხნილობა ძალიან გიხდება“...) – რა, საოჯახო ტელევიზიაა? სულ აღარაფერს აღარ უშლიან?..

ახლა საზღვარგარეთული ტელევოიაჟები? საიდან ამდენი და ასეთი ფუფუნება? ტაილანდში გადაბმულ სპილოს ხორთუმებზე საქანაოდ ჩადიხართ, ეიფელის კოშკზე ქარის სიჩქარისა და გრენლანდიაში გეიზერის ტემპერატურის გასაზომად, აფრიკაში აქლემით გასასეირნებლად? საქართველო უკვე შეისწავლეთ მთელი სიგრძე-სიგანით?..

დასაწყისში ეკრანის ენა ვახსენე – ახლანდელი იმისი სიმახინჯე და შერყვინლობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ყოვლად შეუწყნარებელია. „საქართველოს რესპუბლიკამ“ ერთ დროს კუთხეც შემოიღო, „ვაიმე, ენავ!“ ერქვა და ეკრანის „მარგალიტებს“ გვაცნობდა. მერე პროფესორ გივი ბოჯგუას წერილების მთელი სერიაც გამოაქვეყნა ამ თემაზე. რაი მერე! მაგის საკითხავად მოცდებიან? ვინ იქნება ის პირველი ტელებოსი, ვინც გამართულ, წიგნიერ ლაპარაკს მოსთხოვს ეკრანის მკვიდრთ და სანამ „აიყვანდეს“ სათანადო წერით თუ ზეპირ ტესტებს მოუწყობს?

ამას წინათ ჩვენმა გაზეთმა სკოლების დირექტორთა კონკურსიდან ფუნქციურ წერაში გამოცდის შედეგების ერთგვარი გამოფენა-დათვალიერება მოაწყო, ფრიად გამამხიარულებელი. ქართველი ჟურნალისტები იმათ როგორ ჩამორჩებოდნენ და მოდით, ჩემ გასამტყუნებლად, რამდენიმე ცინცხალი „ნიმუში“ გავიცნოთ.

**„ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ კომენტარი, რომელიც პრეზიდენტმა გააკეთა“** („მზე“); **„ამ კონცერტზე ბევრი ცნობილი მომღერალი მიიღებენ მონაწილეობას“** („მზე“); **„ერთადერთი საშუალება, რომ დედოფლის ყურადღება მიიპყრო, ესაა ფანჯარაზე შეჯდომა“** („პოსტ-სკრიპტუმი“, ჰოლანდიიდან); **„მანჩესტერი“ ალბათ ნიჩიას გააკეთებს“** („იმედი“); **„იძულებული ვიქნები დამაჯარიმონ ხუთი ათასი ლარით“** (?) („იმედი“); **„ინდოეთში ძროხები დააქორწინეს** („რუსთავი-2“) (ყურებს არ დავუჯერე – ნუთუ ძროხებმაც იციან ლესბოსნური სიყვარული-მეთქი? თურმე რას ერჩი – ძროხა და ბუღა დაუქორწინებიათ!); **„მყავს ძალიან დამჭკნარი ბეგონია“** (მცენარეა!); **„ნინო ბურჯანაძისათვის მოხდა ხელების გადაგრეხა“: „მას შეეთავაზოს ხელშეკრულება...“**

ვიკმაროთ? სალაპარაკო რომ კიდევ ბევრია? სხვა დროს იყოს!..

მანამდე კი სახსოვრად მცირე რამ ექსპრომტს მივუძღვნი ტელევიზიას. „თქვენ ლია ეთერში ხართ:“ ყუთთან ვზივარ წამებული, მძევალი ვარ უნებური, გამოსერიალებული, გამოთოქშოუებული...

**თამაზ ეზანოიძე**

◎ ყოფა

## დააგეთ ასფალტი, და-ა-გეთ!

**ცივილიზებულ ქვეყნებში მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფა (ხელფასები, პენსიები, სხვადასხვა სახეობის შემწეობები...) ინფლაციის და, შესაბამისად, სურსათზე, საყოფაცხოვრებო საგნებსა თუ მომსახურებაზე ფასების ზრდის გათვალისწინებით ხდება. ეს, ვიმეორებ, ცივილიზებულ ქვეყნებში. მაგრამ ჩვენ, აბა, რის ქართველები ვართ, რომ ლამის მთელ მსოფლიოში აპრობირებულ სქემა ერთი „ჩვენებურად“ გვარიანად არ აურ-დავურიოთ და ყველაფერი თავდაყირა არ დავაყენოთ.**

ეს განსაკუთრებით ბოლო დროს კალეიდოსკოპური სისწრაფით უარესობისკენ ცვალებად საერთო სოციალურ ფონს დაეტყო, რისი მიზეზიც, უწინარესად, ის არის, რომ ზოგიერთი მოხელის „გათვლებით“ ბიუჯეტები (ქვეყნის, ქალაქის) ყველა „შესაძლო ლეგალური“ ხერხით შეავსონ. გაგვიძვირეს თითქმის ყველაფერი, რის გაძვირებაც შეეძლოთ, თუმცა არც სოციალური შემწეობები, არც პენსიები და ა.შ. არ გაუზრდიათ, ხოლო თუნდაც სასაცილოდ მცირე შეღავათები, რაც ლტოლვილებს, ლატაკებს, პენსიონერებს, ინვალიდებს, ვეტერანებს და სხვებს ჰქონდათ, სულაც გააუქმეს. მოსახლეობას დიდი ხანია ყოველმხრივ უჭირს, რისი დამადასტურებელი მაგალითების ჩამოთვლაც ძნელი საქმე სულაც არ გახლავთ.

წლეულს, მარტის მიწურულს, ჯავახიშვილის ქუჩაზე წყლის ცენტრალური მაგისტრალიდან ეზოში შემომავალი მილი დაგვიზიანდა. „თბილისის წყლის“ დიდუბე-ჩუღურეთის კანტორიდან მოსულმა ბრიგადამ ლამის მთელი დღე იმუშავა, საბოლოოდ დაზიანების ადგილს მიაგნეს – მილი საცერს დამსგავსებოდა და შესაცვლელი იყო. რა ვქნათ, დაზიანებული მილი უნდა გადავჭრათ, წყალი არ გექნებათ, ვიდრე არ შეკეთდებაო, გაგვიმარტეს. რომ მოვიკითხეთ, ეს ვინ უნდა გააკეთოსო, გვიპასუხეს: თქვენი ხარჯით უნდა შეაკეთოთ, ბატონებო, რადგან ჩვენი საქმე მხოლოდ ცენტრალური მაგისტრალის შეკეთებააო (ამ დროისათვის სასმელი წყლის ტარიფი უკვე გაორმაგებული იყო, თუ რა მიზეზებით – ამაზე იმდენჯერ დაიწერა მარტო „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომ ახლა აღარ გავიმეორებ, თან ეს არც გახლავთ წერილის მიზანი).

ერთი შეღავათი კი გაგვიწიეს წყლის შემკეთებლებმა – უზარმაზარი, ლამის ორი მეტრი სიღრმის ორმო არ ამოავსეს, რათა ხელახლა გათხრა არ დაგვჭირვებოდა.



რას ვიზამდით, მეორე დღეს მოვიყვანეთ შემდუღებელი, წყლის ცენტრალური მაგისტრალი კვლავ გადავკეტეთ, გადაკერებული მილი ცენტრალურს შევუერთეთ და ვიფიქრეთ, ეს სადარდებელი მოვიცილეთო, მაგრამ...

რამდენიმე დღეში ორმოზე მოყრილმა მიწამ დაიწია. არადა, მანამდე რომ დავინტერესდით, ასფალტი ვინ უნდა გადააგოს ტროტუარსა და გზის სავალ ნაწილსო, გვითხრეს, „თბილისის წყალმაო“ და აი, მერამდენე კვირაა, დღეგამოშვებით მაინც ვრეკავ „თბილის წყლის“ ცხელ ხაზზე (93-11-11), ყოველ დარეკვაზე ბოდიშს იხდიან და გვპირდებიან, განაცხადი გადაცემულია, მოვლენ, ხრეშსაც დაყრიან და ასფალტსაც გადააგებენო, მაგრამ...

რომ იტყვიან, სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირიო... ეგ კი იყო – ერთ დღეს მოვიდნენ, 5-10 სანტიმეტრი მიწა დააყარეს, ორმომ პირი ოდნავ „ამოივსო“, თუმცა გაუთავებელმა წვიმებმა ისევ „დააფჩენინა ხახა“. ახლა იმას ვფიქრობთ: ამდენი ნაჟონი წყალი მილებამდე რომ ჩავა, ჩვენი „კერძო“ მილის გარდა ცენტრალურ მაგისტრალსაც ხომ დააზიანებს? ვთქვათ, „თბილისის წყლის“ შესაბამის სამსახურს კერძო მოსახლე არაფერში ენაღვლება, მაგრამ ნუთუ აღარც ცენტრალური მაგისტრალი ადარდებს? მისი დაზიანება ხომ გაცილებით უფრო დიდი ზარალის მომტანი იქნება? ანდა მოსახლეობას რატომ არ გვაქცევენ ყურადღებას დიდი თუ პატარა ჩინოსნები?

იქნებ ღირდეს მათთვის პასუხის მოთხოვნა, ეს ხომ ნამდვილად მიიპყრობს მათ ყურადღებას?!

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია

### განხორციელდეს ჰაუპტვახტების მონიტორინგი

**სახალხო** დამცველის აპარატმა სამხედრო პოლიციის ჰაუპტვახტების მონიტორინგი განახორციელა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, მიმდინარე წლის 4 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულები სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე განლაგებულ სამხედრო პოლიციის ჰაუპტვახტში იმყოფებოდნენ.

მონიტორინგის განსახორციელებლად მათ სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე არ უშვებდნენ და ჰაუპტვახტის დათვალიერებისთვის სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელობისგან ნებართვას ითხოვდნენ.

სახალხო დამცველის რწმუნებულებს მონიტორინგის განხორციელების საშუალება ორი საათის დაგვიანებით მიეცათ.

მონიტორინგისას ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირებს ჰაუპტვახტში არსებული პირობების გამო პრეტენზია არ გამოუთქვამთ. თუმცა, დარღვევები მაინც დაფიქსირდა.

კერძოდ, საკნებში საწოლი ფიცარნაგები დღე-ღამეში მხოლოდ 7 საათით იშლება, შეზღუდულია მიმოწერის უფლება, არ არსებობს თეთრეული, სინათლის ჩამრთველები საკნებს გარეთ არის დამონტაჟებული.

### რუსული ეშელონები კვლავ გადიან

**საქართველოს** ტერიტორია რუსული ტექნიკით დატვირთულმა მორიგმა ეშელონმა გუშინ დატოვა. ახალციხის საბარგო სადგურიდან სამხედრო ტექნიკით დატვირთული 19 ვაგონი გავიდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 17 ვაგონში 22 ერთეული „ზილ 131“-ის ბაზაზე დამონტაჟებული სპეციალური ავტომანქანა, 16 ერთეული მისაბმელი, აქედან 8 მანქანის სარემონტო, 8 აკუმულატორის დამტენი მოწყობილობა და შედუღების აპარატები იყო ჩატვირთული.

**ინტერპრესნიუსი**

№ 94. პარასკევი, 18 მაისი, 2007 წელი.

● იქნებ, დაფიქრდეს ხელისუფლება, მოუსმინოს ხალხს, წამოვიდეს დიალოგზე. შეეშვას „სირაქლემას პოზას", მეტად გაითავისოს „დაბალი ფენის" უამრავი სატკივარი. არ უნდა დარჩეს ამ ადამიანების ხმა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"




⊙ შეაყარე კედელს ცერცვი

# გაზეთი გამოდის, მკითხველი კითხულობს. მერე რა?..

**ადამიანი ფიქრისთვისააო გაჩენილი. ფიქრი გადარჩენისთვის, არსებობისთვის, უკეთესი მერმისისთვის, — ეს ის აუცილებელი ფიქრებია, დასაბამიდან რომ აწუხებდა და ამოძრავებდა ადამის მოდგმას.**

საქართველოს სინამდვილეში არათუ ფიქრი, არამედ დაუნდობელი ბრძოლა გვიწევს იმ ხელშეუხებელი აქსიომისთვის, რასაც ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა ჰქვია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ბრბოსავით მიშვებული და უმართავი ხდება საზოგადოება. „მეოთხე ხელისუფლება" — მედია უსამართლობებისაგან სიბრაზით „კანში ვერ ეტევა", ხან რაში სდებს ბრალს ხელისუფლებას, ხან რას უკიჟინებს, მაგრამ რა, „ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის".

ხალხის გაპოლიტიკურება კი სწორედ არადამაკმაყოფილებელმა სოციალური ცხოვრების დონემ გამოიწვია... თურმე ამერიკაში შეხვდებით ისეთებს, ვინც არ იცის, ვინაა კონდოლიზა რაისი. არა მგონია, საქართველოში ვინმე არ იცნობდეს ამ შავგვრემან ქალბატონს. ევროპელებიც აღარ უსმენენ ინფორმაციებს. „news"-ები გადამღლელია და უარყოფით აურას გვიქმნისო. განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობენ და ფიქრობენ, რადგან სჯერათ საკუთარი ხელისუფლებისა, ის ჩამოუყალიბდათ თვითმყოფადი წლების განმავლობაში.

ჩვენთან კი, პირიქით, უშუქობის, უფულობის, შიმშილობის წლებმა, ახლა გადასახადებმა, უმუშევრობამ იმდენი „საჭორაო" დაუგროვა ადამიანებს, პოლიტიკაზე სჯაბაასით არ იღლებიან. პრესა, რადიო, ტელევიზია წალეკა ინფორმაციამ. „ზომბირებული" მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი თანდათანობით, მექანიკურად გადაერთო „პოლიტიკურ რელსებზე".

რას კითხულობენ საქართველოში, საერთოდ, რას ფიქრობს მედიაზე აუდიტორია?

— ერთ გაზეთს ვყიდი დაახლოებით ოცდაათ ცალს, დანარჩენებს უფრო ნაკლებს, — გვიყვება ერთ-ერთი გაზეთების ჯიხურის გამყიდველი ქალი, — ყოველ დღე ან ყოველ მეორე დღეს 50-60 თეთრის გადახდა უჭირს ხალხს. რაც გაზეთები გაძვირდა, მყიდველმა იკლო.

**— მკითხველმა?**

— არა, ძალიან აინტერესებთ, რას წერენ პრესაში, დადგებიან, გადაავლებენ თვალს სათაურებს, ერთი სურვილი აქვთ — წაიკითხონ, მაგრამ, მეც რა ვქნა, გაზეთს ვერ ვათხოვებ. უფლება რომ მივცე, მთელი დღე ფეხზე დადგებიან და წაიკითხავენ, მაგრამ მე ბიბლიოთეკა ხომ არა ვარ, რაღაცა ხომ უნდა დამრჩეს?!

**— რომელ გაზეთებზეა მოთხოვნილება?**

**რესპონდენტი იზო:** — „მინდა, გადავიკითხო მთელი პრესა, მაგრამ, აბა, როგორ მოვახერხებ, პურის ფულის შოვნა მიჭირს. იძულებული ვარ, ტელევიზორში ვუსმინო ინფორმაციებს. მეც ყოფილი ჟურნალისტი ვარ და კარგად ვიცი, გაზეთში რომ წაიკითხავ ათასჯერ გააზრებულ და კარგად მოფიქრებულ სტატიას, ისეთს ტელევიზიით ვერ მოისმენ".

**გაზეთების გამყიდველი:** — უწინ გაზეთები შედარებით კარგად იყიდებოდა, ახლა ისე აღარ იყიდება.

**— გაძვირებას აბრალებენ?**

— გაძვირდა კი, მაგრამ ვისაც სჭირდება სულიერი საზრდო, ვისაც აინტერესებს გაზეთი, ის მაინც იყიდის. დაითვალეთ, აბა, რამდენი იხარჯება კაზინოებში, საუნებში. გაზეთი 30 ან 50 თეთრი ხომ უნდა ღირდეს? რაც შრომაა ჩადებული, დაფასება არ უნდა? ზოგისთვის გაზეთიც პურივით აუცილებელია.

მე მყავდა ჩემი კლიენტები. ახლა ისინი მეუბნებიან, რომ დაიღალნენ ერთი და იმავეს კითხვით.

**რესპონდენტი მზია:** — მე ამ ჯიხურში მოვდივარ ხოლმე, ეს ქალი ჩემი მეგობარია. ვკითხულობ სამ, ოთხ, ხუთ გაზეთს. მართლაც, აიკვიატებენ ერთ თემას და ყველა იმაზე წერს. ნუთუ, სხვა არაფერი მომხდარა?

აი, აგერ „ახალ თაობაში" წერია რაღაც ჟვანიას სიკვდილზე. კი, ბატონო, მოიპოვა მასალა ჟურნალისტმა და წერს. მე წავიკითხე. მერე რა? თქვენ წერთ, ჩვენ — ვკითხულობთ. წერე — იკითხე, წერე — იკითხე. მე მაინტერესებს რეაგირება. დაიწეროს მომდევნო ნომერში, რა შედეგი მოჰყვა ამას, თუ არ მოჰყვა — ისიც დაიწეროს. რა არის ეს — ჟურნალისტს რაც მოეპოვება, დაწერს, მერე არავინაა გამკითხავი.

**— რეაგირება უნდა მოახდინოს მთავრობამ, სამართალდამცავებმა... ისინი კი დუმან.**

— დაიწეროს, გენაცვალე, კონკრეტულად: — იყო გამოქვეყნებული ეს, მივმართეთ ამას და არ გვიპასუხა. მე — მკითხველს ეს დამაკმაყოფილებს. თუ არადა, რაც პრესაში იწერება, არ ვიცი ტყუილია, მართალია, დავიჯერო თუ არა. თითქმის ყველა თემა ღიად არის დარჩენილი და არც ერთის დასასრული არ ვიცი.

**რესპონდენტი თენგიზი:** — არ დავიღლები ამ ხელისუფლების კრიტიკით. აი თუნდაც, რად უნდათ ამდენი ჩინელი საქართველოში. აგერ ტელევიზიით გვანახეს, მთლად ტრასაზე აუშენებია ჩინელს აგურის შენობა, უკანონოდ და კიდევ იხტიბარს არ იტეხდა. ტელევიზიით მოვისმინე ამას წინათ, ვაკეს ბოლოში „ციგანკები" ჩაასახლესო. უსწავლიათ იმათაც ქართული ცეკვა-სიმღერა და თარეშობენო. ვინაა ესენი — ყველა ამ ხელისუფლების საარჩევნო ხმაა?!

**რესპონდენტი ზაზა:** — როცა პრესიდან გავიგე, ტრანსპორტი ძვირდებაო, ვიფიქრე, როგორ ყველაფერს წერენ-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართლა ძვირდება. სამწუხაროა, რომ გაზეთების წინასწარმეტყველება ხშირად მართლდება. გაზეთები კარგს არაფერს წერენ.

**რესპონდენტი ვალერი:** — დღეს მედია არის ტენდენციური.

**— რატომ?**

— იმიტომ რომ მხოლოდ ოპოზიციური აზრებია. არსად არ შემხვედრია უმრავლესობის რომელიმე დეპუტატის ინტერვიუ. ყოველდღიურად ვყიდულობ და ვეცნობი პრესას. სურვილი მაქვს წავიკითხო მთავრობის პოზიცია, გეგმები, სიახლეები და არა მოკლე-მოკლე კომენტარები. მსგავსი არაფერია.

**— ფიქრობთ, რომ ამაში მედიაა დამნაშავე? ინგა გრიგოლია ყოველ თავის გადაცემაში ამბობს, ხელისუფლება არ მონაწილეობს დებატებშიო... ასეა, პრესაშიც. ჟურნალისტები დავდევთ, ოღონდ რამე ვათქმევინოთ...**

— მაშინ გამოდის, რომ მთლად დავღუპულვართ. ხელისუფლებას თუ ხალხისთვის სათქმელი არაფერი აქვს, თუ თავის ამომრჩეველს უგულებელყოფს, მაშინ საერთოდ წერას, რა აზრი აქვს?!

**რესპონდენტი ნელი:** — ამ ხნის ქალი ვარ, უკვე სამოცისა, ვიდექი ქარში, წვიმაში, ტაშს ვუკრავდი, ისეთი იმედი მქონდა ამათი. რა იმედებს ვამყარებდი ამ ბიჭებზე. ისე, ბევრი ჭორიც იწერება, მაგრამ, ფაქტია, საშუალო და ღარიბი ფენისათვის არაფერს აკეთებენ. დაავიწყდათ, რომ ესენი ხალხის მოყვანილი ხელისუფლებაა, ხალხს გულწრფელად სჯეროდა ამათი.

**— ბევრი პრესას ადანაშაულებს, მტყუან-მართალს ვერ გაარჩევო. თქვენ რას ფიქრობთ?**

— სწორია. რაც ენის წვერზე მოგადგება, არ უნდა თქვა. მაგრამ აი, ამბობენ, გირგვლიანის თემა — ჟურნალისტებისა და ოპოზიციის აგორებულიაო. ააგორეს? — მერე, ხომ შეიძლება გააკეთოს კომენტარი პრეზიდენტმა, ჩააცხროს ეს ვნებათაღელვა. რაღაც თქვას, რაც გინდა ის, ოღონდ — თქვას. მაგრამ რას იტყვის, როცა სავარაუდო დამნაშავეა მისი მარჯვენა ხელი — მერაბიშვილი.

ეს ბიჭები, სამწუხაროდ, მთლად კარგები ვერ გამოდგნენ, წერეთ რა... წერეთ, აგინეთ, ლანძღეთ, თქვით სიმართლე, ამხილეთ. თუ ვერ გააგონეთ, ისტორიას მაინც ხომ დარჩება ეს ფურცლები, თაობები მოვლენ და წაიკითხავენ.

**თეა მოსია**

*P. S. ჭრელია გაზეთები — ჭრელია აზროვნებაც. ამ რამდენიმე რესპონდენტის საუბრიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ პრესას არცთუ ურიგო მკითხველი და შემფასებელი ჰყავს, ქვეყნის მაჯისცემასაც ისინი განსაზღვრავენ.*

*იქნებ, დაფიქრდეს ხელისუფლება, მოუსმინოს ხალხს, წამოვიდეს დიალოგზე. შეეშვას „სირაქლემას პოზას", მეტად გაითავისოს „დაბალი ფენის" უამრავი სატკივარი. არ უნდა დარჩეს ამ ადამიანების ხმა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".*

*თ. მ.*

№ 94. ოთხშაბ. 18 ივლ. 2007 წელი.

⊙ მხარე

## ჯართის უკანონო ბიზნესის გამო სასამართლო აღმასრულებელი და მაღალჩინოსნები დააკავეს

**დედოფლისწყაროში** ქონების დატაცების ბრალდებით რამდენიმე ექჰმიტანილი დააკავეს. სამხარეო პროკურატურამ კახეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი **დავით ოდიშელიძე** და ქედების ზონის „წყალკანალის" უფროსი **გელა თინაშვილი** დაკითხვაზე დაიბარა და დააპატიმრა. სამართალდამცავები მათ სარწყავი მილების დაჭრაში და გაყიდვაში ადანაშაულებენ. ექვმიტანილებს უკვე შეეფარდათ წინასწარი 2-თვიანი პატიმრობა. მოსალოდნელია, პროკურატურა კიდევ რამდენიმე მოქმედი მაღალჩინოსნის საქმიანობით დაინტერესდეს. შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსი **გელა ჯალიაშვილი** სწორედ ჯართის ბიზნესს შეეწირა და მის დარღვევებს პროკურატურა დღესაც სწავლობს...



**საერთაშორისო** არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს უოთჩის" საქართველოს წარმომადგენლობა თელავის მოსამართლეს მარიკა ცერცვაძეს არაობიექტურობასა და ადამიანთა უფლებების უხეშ ხელყოფაში ადანაშაულებს. მოსამართლის ტენდენციურობაზე საუბრობს ადვოკატიც...

შეგახსენებთ, რომ თელავის მოსამართლეები, ამ მხრივ ყოველთვის გამოირჩეოდნენ. თელავის კიდევ ერთ მოსამართლეს ნათელა ჯაშიაშვილს რამდენიმე თვის წინათ, ლაგოდეხისა და ყვარლის მოსამართლეებთან ერთად, იუსტიციის საბჭოში უჩივლეს...

რეგიონში მოსამართლეების მოღვაწეობას თვალი გადაავლეს და აღმოჩნდა რომ მათი მხრიდან, ადამიანის უფლებების მუდმივი ხელყოფა, კახეთში ტრადიციად იქცა...

„ადამიანის უფლებათა ცენტრი" მიიჩნევს, რომ თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე **მარიკა ცერცვაძე**, რომელიც იუსტიციის საბჭოს წევრიცაა, პირადი ინტერესებით მოქმედებს. ცენტრი მის მიერ განხილული საქმეების მონიტორინგს ახორციელებს. მათი მტკიცებით, სასამართლო პროცესზე უამრავი დარღვევა ფიქსირდება.

ამ დღეებში, თელავის რაიონულ სასამართლოში ხმაურიანი საქმის განხილვა მიმდინარეობდა. მოსამართლე მარიკა ცერცვაძემ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის **ბესიკ მრელაშვილის** საქმე განიხილა, რომელიც, სწრაფად მიმავალი ავტომანქანით, 20 წლის თელაველ გიგა ჩარბაძეს დაეჯახა, რის შედეგადაც ახალგაზრდა გარდაიცვალა. მოსამართლემ მრელაშვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## მოსამართლეს არაობიექტურობასა და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში ადანაშაულებენ



მრელაშვილის ადვოკატი **თამარ მეტრეველი** აცხადებს, რომ განსასჯელ მრელაშვილს, საბრალდებო დასკვნა სასამართლოს დაწყებამდე რამდენიმე წუთის წინ ჩაბარდა. ადვოკატმა პროცესზე გამოცხადება ვერ შეძლო, რის გამოც მან პროცესის გადადება მოითხოვა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. უფლებათა ცენტრში აცხადებენ, რომ განსასჯელ მრელაშვილს სახაზინო ადვოკატი იძულების წესით დაუნიშნეს. გირაოთი გათავისუფლებული მრელაშვილი, რომელმაც 25 000 ლარი გადაიხადა იმ დღით დააკავეს და 7 წლით პატიმრობა შეუფარდეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მოსამართლემ მრელაშვილის უფლებები დაარღვია. უფლებათა ცენტრი შესაბამის სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორს, ასევე მედიასაშუალებებს სპეციალურ მიმართვას უგზავნის და სასწრაფო რეაგირებისკენ მოუწოდებს.

როგორც ცნობილია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრმა" ეუთოს მისიის ფარგლებში კახეთში სასამართლოს მონიტორინგი განახორციელა. ორგანიზაციის კახეთის ოფისში აცხადებდნენ, რომ რამდენიმე თვის წინათ თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის მოსამართლეებს იუსტიციის საბჭოში უჩივლეს და საჯარო ინფორმაციის გაუცემლობასა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მასობრივი დამცირებისათვის რეაგირება მოითხოვეს... საჯარო ინფორმაციების გაუცემლობის ფონზე, უფლებათა ცენტრი, ხსენებული რაიონების სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ობიექტურობასაც ეჭვქვეშ აყენებდა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის" კახეთის ოფისის მთავარი იურისტი **ლია ხუროშვილი** შეშფოთებულია მოსამართლეების მიერ კანონის უხეშად დარღვევის ფაქტების მომრავლების გამო.

უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, გასულ წელს, ლაგოდეხის, ყვარლისა და თელავის რაიონულ სასამართლოებში მისულ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, მოსამართლეები **ვაჟა ტურაშვილი (ყვარელი)**, **ნანა ჩალათაშვილი (ლაგოდეხი) და ნათელა ჯაშიაშვილი (თელავი)**, მათი თანაშემწეები და სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლები მუდმივად დასცინოდნენ, რითაც, მათ დისკრიმინაციას ახდენდნენ...

კახეთის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო სექტორისა თუ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ბოლო დროს თამამად საუბრობენ, რომ რეგიონში მოსამართლეები ინტენსიურად არღვევენ ადამიანთა უფლებებს.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
კახეთიდან.

## ჩვენ

კალიფორნიის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ მარკო იაკობონის მიაჩნია, რომ ჩვენ, რასაც ჰქვია, „ვკითხულობთ“ სხვის გრძნობებს და ემოციებს და ეს ხდება განსაკუთრებული ნერვული უჯრედების მეშვეობით, რომლებიც ადამიანის თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროშია განლაგებული. არსებითად კი, ვიმეორებთ სურათებს, რომლებიც სხვის თავის ტვინში წარმოიშვება



ჩანახატი

# იმერული ქორწილი

**ამ გაგანია გაზაფხულზე შემოდგომის ერთი ეპიზოდი გამახსენდა:**

ევროპის გარშემო ოთხთვიანი ველო-ტურისტული მოგზაურობიდან ვბრუნდებოდით. გზებზე მრავალი შთამბეჭდავი შეხვედრის შემდეგ, საქართველოში მაინც და მაინც ახალს არაფერს ველოდით. ყველაფერი ჩვენი იყო აქ, ნაცნობი და ჩვენეული, და რას უნდა გავეკვირვებინეთ? ამიტომ, ჩვენი უბის წიგნაკები, ფაქტობრივად, უკვე „შესანახად“ გვქონდა გამზადებული.

მდინარე ფსოუზე საქართველოს საზღვარი რომ გადმოვკვეთეთ, არავინ „გადარეულა“. მაშინ აქაური საზღვარი არც იყო საზღვარი! მხოლოდ გუდაუთასთან, ნალდმა აფხაზმა გვითხრა თავმომწონედ:

— ხოხ!... ჩვენებური კაცის მეტი ვერავინ გააკეთებდა ამას!.. მთელი ქვეყანა შემოგივლიათ, წიე!

სოხუმში მეგობრები გველოდნენ.

ოცარცეს ხიდთან ენგურმა ტალღები მოახეთქა ნაპირებს და ასე მოგვესალმა.

სენაკთან კიშინოველი მოტოციკლისტები შემოგვხვდნენ. გადაირივნენ კინაღამ, მოლდავეთიდან მოვდივართო, რომ ვუთხარით. ისინიც მოგზაურები იყვნენ და ახლა თუ ჩვენ მათი ქვეყნიდან მოვდიოდით, ისინი ჩვენი ქვეყნიდან მიდიოდნენ. სიახლეები მოვუყევით ერთმანეთს —ჩვენ მათ, მათი ქვეყნის შესახებ, მათ ჩვენ, ჩვენი ქვეყნის შესახებ!

საქართველოში ქორწილების ჟამი იდგა.

რთველი დაეწყოთ მეზვრეებს. ყურძნით სავსე გოდრებით გაპიპინებული მანქანები ძლივს მიათრევდნენ წელს, ფაფანაკიანი იმერლები თავს იწონებდნენ ბარაქით.

— აჰა, ჰე! .. კიდევ ერთი გოდორი!..

— გოდორიო!?

— გოდორიო, აპა!

ლამაზი იყო ეს ყველაფერი და „საკრუტუნო“, მაგრამ სიმონეთთან უფრო დიდი „საკრუტუნო“ გველოდა.

... მთელი ტრასა, თითქმის, გადაეკეტა ნაქეიფარ-ნაბახუსევ ხალხს. ზოგი „მრავალჟამიერს“ უბერავდა, ზოგს ცეკვა-თამაში გაეხურებინა და მანქანით თუ, ფეხით გამვლელებს ისე არ უშვებდნენ, თითო ფიალა არ დაეცალათ. იხვეწებოდნენ მძღოლები, ე, ბიჭო, საჭესთან ვარ და გამაჩერებენ გზაშიო, მაგრამ არაფერი ეყურებოდათ მასპინძლებს.

— ქორწილი გვაქვს, ძმაო, და დაგვილოცეთ ეს გვრიტები!

ილვრებოდა ღვინო და სიხარული საქართველოს მთავარ შარაზე.

— „მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი“... — ცას სწვდებოდა სიმღერა და ეფინებოდა ყვირილას ჭალებს ძველქართული ჰანგები. ჭიშკართან სიძე-პატარძალს შემოხვეოდნენ იმერლები და პატარძალს, მშობლებთან განშორების მოლოდინში, სევდანარევი ცრემლები სცვიოდა უპეებიდან.

— კაი, გოგო, ახლა, კაი!... აპა, რავა გინდა?!.. — ამშვიდებდა ვიღაცა „მოზლუქუნე“ ძლაბს...

— აბა, შენ იცი, ჩემო ნესტორ, შენ გაბარებ ამ ბალანას! — იცრემლებოდა პატარძლის დედა.

ზეიმობდა სიხარული, სილამაზე და სიყვარული.

და ამ დროს „დაიქცა ქვეყანა“.

— აიტ!.. არიქა, მოიტაცეს, მოიტაცეს, ხალხნოო!... — აყვირდნენ ერთნი.

აირია ხალხი და ყველამ პატარძალს მიაპყრო მზერა. პატარძალი კი, იქვე იდგა კვლავ და თვალებში შესციცინებდა ნეფეს.

— რა მოხდა, კაცო, ა?.. რაშია საქმე? — აყვირდნენ მეორენი.

— როგორ, რა მოხდა?.. მოიტაცეს ცირა, და ეგ არის!..

თეთრი „ვოლგა“ აღმართზე მიჰქროდა უკვე. გატაცებულის ძმამ — აიტ, ცოდვას დავატრიალებო, — იყვირა და მძღოლი შეაგულიანა, — აბა, დავეწიოთო, გაქცეულებს!

— ჩიტი ვერ დაეწევა, აწი მაგათ!.. — აითრია მძღოლმა ფეხი. გადაირია ძმა. ხან აქეთ ეცა, ხან — იქით და დასაბმელი შეიქნა ლამის.

— კაი, ახლა, კაი... თლა ნუ დააქციე ქვეყანა!.. — ყურში უჩურჩულა ძმაკაცმა.

— რა უჭირს, კაცო, ქორწილიდან მოტაცებული ბედნიერი იქნება! — დაამშვიდეს „გადარეული“ და „აქაურობას“ დაუბრუნდნენ.

„ვოლგა“ უკვე მიეფარა თვალს.

მაგრამ ისევ ატყდა გნიასი და ხორხოცი.

— აუჰ, არ დავულუპივარ მაგ ოჯახქორს, კაცო?!.. — იყვირა პატარძლის მამამ, — მდადე გაუტაცნია, კაცო, მდადე!..

სიცილმა და ტკარცალმა გადაუარა ქვეყანას!

მერე, „მოვდივართ, მოგვიხარია“ ასწია ვიღაცამ და მეორე ქორწილის მოლოდინში სიძეს თავისი ხოხობი ჩააბარეს!

. ... თითქმის მთელი ევროპა შემოვიარეთ და არსად შევხვედრივართ ასეთ ქორწილს!

... ანდა, რას შევხვდებოდი, სხვა საქართველო სად არის?!

**ზაურ ფიფია**

მედიცინა

# ტელეპატიის სარკე

**რეალურია** თუ არა ტელეპატია (ჩვეული განმარტებით, როცა ერთი ფიქრობს, მეორე კაცი კი მის ნაფიქრალს გამოიცნობს) — დღემდე კამათის თემა გახლავთ. თუმცა, რაღაც მსგავსი ნამდვილად არსებობს. ამის დემონსტრირება მოაწყეს მაქს პლანკის სახელობის კოგნიტურ პრობლემათა და ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა და მათ კოლეგებმა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯიდან და ოქსფორდის უნივერსიტეტიდან.



აღმოჩნდა, რომ სხვისი აზრის დანახვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, გაგებაც კია შესაძლებელი.

— ჩვენ შევძელით იმის წაკითხვა, თუ რის შესახებ ფიქრობდა ერთი მოხალისე, — კვლევის შედეგებით აღფრთოვანებას ვერ მალავს სამუშაოს ხელმძღვანელი ჯონ-დილან ჰაინზი. — ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ფანარს ანათებ კედელს და უცებ წარწერას წააწყდები.

აღმოჩენილი „წარწერა“, მართალია, მოკლე იყო, მაგრამ თავად ამ ამბავმა ბევრი გააკვირვა, ზოგიერთი კი შეაშინა კიდეც.

— დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად შექმნილი ტექნოლოგია მომავალში განვითარდება, ხოლო ჩვენი — უნარი ამოვიკითხოთ ადამიანების ზრახვები, გუნება-განწყობა, იმედები, ემოციები, გნებავთ ქვენა აზრები, თანდათანობით გაიზრდება, — აღნიშნა პროფესორმა კოლინ ბლეიკმორმა, რომელიც სამედიცინო კვლევითი საბჭოს დირექტორია. — თუმცა ეგეც კია, რომ, ადრე თუ გვიან, მოგვიწევს ადამიანის შიდა სამყაროში ამგვარი ჩარევის ეთიკაზე დაფიქრება.

საგულისხმოა, რომ აზრის ჩასახვის პროცესს ფუნქციონალური მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფიის მეშვეობით აკვირდებოდნენ. ეს გახლავთ აპარატურა, რომელიც რეალურ დროში ტვინის აქტივობას ზომავს, მკვლევარები მოხალისეებს ორ ციფრს აჩვენებდნენ, შემდეგ კი მათ დაჯამებას ან გამოკლებას სთხოვდნენ, თანაც ამავე დროს ტვინის სკანირებას ახდენდნენ. ჰოდა, მეცნიერებმა შეძლეს იმის დადგენა, თუ რომელი მათემატიკური მოქმედების განხორციელება გადაწყვიტა ამა თუ იმ მოხალისემ — მანამდე, ვიდრე იგი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი „კითხულობდნენ“ ტვინში ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილებას.

ინფორმაცია თემაში

***როცა** ვხედავთ, რომ ვიღაცა ნემსში ძაფს უყრის, უნებლიეთ ჩვენც თვალებს ვჭუჭავთ. ასევე ვიძაბებით, როცა ძალოსან სპორტსმენებს ვუცქერთ, რომლებიც სიმძიმეებს წევენ. ზოგადად კი ადამიანები, საერთოდაც, თანავუგრძნობთ ახლობელს, რომელსაც გარკვეული პრობლემა აქვს.*

*საიდან გვაქვს ეს თვისება?*

*კალიფორნიის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ მარკო იაკობონის მიაჩნია, რომ ჩვენ, რასაც ჰქვია, „ვკითხულობთ“ სხვის გრძნობებს და ემოციებს და ეს ხდება განსაკუთრებული ნერვული უჯრედების მეშვეობით, რომლებიც ადამიანის თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროშია განლაგებული. არსებითად კი, ვიმეორებთ სურათებს, რომლებიც სხვის თავის ტვინში წარმოიშვება.*

*— ფაქტობრივად, სარკისებრი ნეირონები ჩვენში სხვა ადამიანის გონებას ნერგავენ, — ამბობს იაკობონი.*

*რაღა თქმა უნდა, ეს მთლად ტელეპატია არ გახლავთ, მაგრამ, არავინ იცის, თუ რა შეუძლია კიდევ ადამიანის ტვინში განთავსებულ „სარკეს“. ის ხომ ქვეცნობიერის დონეზე მუშაობს და, ვინ იცის, იქნებ სხვა ადამიანის ოდნავ შესამჩნევი მიმიკა უცბად აისახოს ჩვენს ტვინში და სხვისი აზრიც ამოვიკითხოთ?*

— ჩვენ აღმოვაჩინეთ სახასიათო აქტივობა ტვინის ერთ ნაწილში, რომელიც დაახლოებით გოლფის ბურთისხელაა, რომელსაც მედიალური შუბლისწინა ქერქი ეწოდება, — ამბობს დოქტორი ჰაინზი. — აქტივობა იცვლებოდა იმისდა მიხედვით, მოხალისე ციფრების შეკრებას აპირებდა თუ გამოკლებას.

ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ გამოკლებისა და დაჯამების „სურათები“ ყველა მოხალისეს ერთნაირი ჰქონდა, რამაც მეცნიერებს საშუალება მისცა ივარაუდონ, რომ ნებისმიერ აზრს „თავისი სურათი“ ახლავს. ანუ, ვთქვათ, კაცმა ვაშლზე იფიქრა და მის ტვინში რაღაც ნაპერწკალივით წარმოიშვა. ზუსტად ასეთივე ნაპერწკალი უჩნდება სხვასაც, ამიტომ, როცა სურათების „განმარტებითი ლექსიკონს“ შეადგენენ, მაშინ შესაძლებელი გახდება ადამიანების აზრების წაკითხვაც.

კოშმარული პერსპექტივაა, მიაჩნია ზოგიერთს და უკვე აზრების კითხვის ეთიკის კომიტეტების შექმნაზე მსჯელობს.

— ჩვენ ისე სწრაფად მივიწევთ წინ, რომ, ალბათ, მალე იმის თქმა შეგვეძლება, ცრუობს თუ არა ესა თუ ის კაცი, ანდა ის, რომ მას დანაშაულის ჩადენა აქვს ჩაფიქრებული, — ამბობს კემბრიჯის უნივერსიტეტის ნეიროფიზიოლოგი, პროფესორი ბარბარა საჰაკიანი. — ამ მეთოდიკას, როგორც ჩანს, მალევე აითვისებენ კრიმინალისტები და, შესაძლოა, ყველას მოგვიწიოს სტივენ სპილბერგის ერთ-ერთ ფანტასტიკურ ფილმში ნაჩვენებ საზოგადოებაში ცხოვრება, როცა განაჩენები დამნაშავეთათვის მანამდე გამოაქვთ, ვიდრე ისინი კანონს დაარღვევდნენ — ამის საფუძველს ტვინის მამხილებელი სკანირება წარმოადგენს. ეს კი, ნამდვილად, ყველას როდი მოეწონება.

**უცხოური პრესის მასალების მიხედვით მოამზადა**

**ოთარ ტურაბელიძემ**

ინფორმაცია

## დევნილები საცხოვრებელ ფართს მიიღებენ

**საქართველოს** ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, გიორგი ხევიაშვილმა, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენელმა ლორენცო ამბერგიმ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა და ქალაქის მერმა გიგი უგულავამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის ფარგლებში აშენდება სამი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი (2,000 $მ^2$), რომლებშიც დროებით შესახლდებიან იძულებით გადაადგილებული პირები და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები (ბენეფიციარები). საცხოვრებელი ფართის 60% იძულებით გადაადგილებულ პირებს დაეთმობათ, 40% კი სოციალურად დაუცველ ადგილობრივ მოსახლეობას.

შენობები ვარკეთილის მეორე მიკრორაიონში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრ „სამგორის“ ტერიტორიაზე, თბილისის მერიის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო ნაკვეთებზე აიგება.

ამ შენობებში იძულებით გადაადგილებული პირები იქამდე იცხოვრებენ, ვიდრე არ იქნება დაკმაყოფილებული ყველა ის პირობა, რომელიც აუცილებელია მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში მათი უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის, ასევე, ვიდრე იარსებებს სახელმწიფოს მხრიდან, ბენეფიციარების სოციალური დაცვის აუცილებლობა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 94. პარასკევი. 18 მაისი. 2007 წელი.

# დისკუსია

● ზ. გამსახურდიას გვერდით მუშაობდნენ გაორებული რწმენის და სტანდარტის მქონე ადამიანები. მაგალითად საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ვ. რაზმაძე ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტის გადადგომას და აცხადებდა რომ დასაპატიმრებელ ადამიანთა არავითარი სიები არ არსებობდა.



## ◉ რა გზა გამოვიარეთ

# მართლაც რა მოხდა 1991 წლის 2 სექტემბერს?

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სადისკუსიო გვერდზე დაიბეჭდა პოლიტოლოგ ჯაბა სამუშიას წერილი 1991 წლის 2 სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით.**

ავტორი რიგ საკითხებს საინტერესოდ აშუქებს, მაგრამ ძირითადად იმეორებს თავის დროზე ედპ-ეს და მისი თანამოაზრეების მიერ „შეთხზულ“ ვერსიას 2 სექტემბერს განვითარებული პროცესის შესახებ. მისი აზრით 2 სექტემბრის მოვლენები არც ქვეყნის გარედან იყო პროვოცირებული და არც „შეთქმულების მიზნით“ იყო მოწყობილი. ავტორის რწმენით ეს იყო ჩვეულებრივი აქცია და არც უნდა მივიჩნიოთ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისად.

ცხადია, ბატონ ჯაბას სრული უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი შეხედულება იმდროინდელ მოვლენებზე, მაგრამ საკითხის სიღრმისეულ შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ 2 სექტემბერი განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ერთიანი ჯაჭვის შემადგენელი რგოლი იყო, რომელსაც ჰყავდა დამკვეთი და შემსრულებლებიც.

ძირითადად ზვიად გამსახურდიას დამხობის ინიციატორი იყო მოსკოვში მოკალათებული ქართველთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე მეთაურობდა და მხარდაჭერა ჰქონდა რუსეთის და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისაგან.

საგაზეთო სტატია არ იძლევა შესაძლებლობას დაწვრილებით შევჩერდეთ 2 სექტემბრის პერიპეტიებზე, მაგრამ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით ერთი შეიძლება მტკიცედ ითქვას:

1991 წლის 2 სექტემბერი იყო ივლის-აგვისტოში დაწყებული პროცესების გაგრძელება, დეკემბერ-იანვარში მომხდარი, კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების დასაწყისი. ცნობილია, რომ ზ. გამსახურდია ხელისუფლების სათავეში მოვიდა მებრძოლი ნაციონალიზმის ტალღაზე, რაც მიზნად ისახავდა ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურის დამკვიდრებას, უცხო ქვეყნის სამხედრო ნაწილების გაყვანას და ქრისტიანული პრინციპების დაცვას.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი დიდი ფრთის – „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების სათავეში მოსვლას თავიდანვე ჰყავდა გამოკვეთილი მოწინააღმდეგეები ე.წ. „კონგრესში“ გაერთიანებული პარტიების ან მასთან დაახლოებული პოლიტიკური ორგანიზაციების და ცალკეული პოლიტიკოსების სახით. მალე მათ შეიარაღებული სამხედრო ფორმირება „მხედრიონიც“ შეუერთდა. 1991 წლის აგვისტოს დაწყებული „პუტჩის“ დამარცხების შემდეგ ხელისუფლებას აშკარად დაუპირისპირდა ეროვნული გვარდიის ერთი ნაწილი. მოგვიანებით „კონგრესი“, „მხედრიონი“, კიტოვანის გვარდია ერთგვარ თავშესაფრად იქცა პოლიტიკური პარტიების და ე. წ. „მოწინავე“ ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის.

ეროვნული ხელისუფლების ტრიუმფალური სვლის ხანა თანდათანობით კარგავდა ბრწყინვალებას. 1991 წლის ივლის-აგვისტოსათვის დაპირისპირების ფონი გამოიკვეთა. გაჩნდა განხეთქილების მკვეთრი ნიშნები პარლამენტში და თვით „მრგვალ მაგიდაში“. დაიწყო ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია. ეროვნული ხელისუფლების დამხობის მოწოდებით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გიორგი ჭანტურია. მოგვიანებით იგი წერდა კიდევაც, რომ „ოპოზიციას უნდა ეჩქარა, ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციით ესარგებლა, გადაეყენებინა დიქტატორი (ზ. გამსახურდია. – ი. კ.), ხელი შეეწყო ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული ცენტრისტული ძალების მოსვლისათვის“.

დენთის კასრს ნაპერწკალი სჭირდებოდა. 1991 წლის 2 სექტემბერს ოპოზიციაში და ხელისუფლების სტრუქტურებში მყოფმა ცალკეულმა პირებმა შეძლეს მოეწყოთ აქცია, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ სახელდახელოდ დაგეგმილი აქტი იყო და რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა საქართველოსა და უცხოეთში.

ოპოზიციური ძალების მიერ 2 სექტემბრის მიტინგის დაშლა დარბევად მოინათლა. თუმცა, პოლიციის ქმედება კანონთან სრულ შესაბამისობაში იყო და არავითარ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

2 სექტემბრის ამბებთან დაკავშირებით დღეს ბევრი დაფარული გაცხადდა. პოლიტოლოგისა და მწერლის გიორგი გაჩეჩილაძის შენიშვნით, 2 სექტემბრის მიტინგის ვიდეოკადრებზე დაკვირვება ამჟღავნებს მის პროვოკაციულ ხასიათს. იქ გარკვევით ისმის ხმები: „ეს სისხლი აჩვენე“, „ამ რაკურსით გადაიღე“ და ა. შ. მით უმეტეს, ამ მიტინგის მოწმე იყო იმჟამად საქართველოში ჩამოსულ ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფი[4].

მიტინგის პროვოკაციულ ხასიათს ადასტურებს იმჟამინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი. მისი თქმით, დღეისათვის არსებობს დამაჯერებელი ინფორმაცია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გარკვეული ჯგუფისათვის ეს ცნობილი იყო და მოქმედებაც კოორდინირებულად მიმდინარეობდა[5].

ა. ასათიანი მიიჩნევს, რომ გამსახურდიას და ედპ-ს ბანაკებში იყვნენ ადამიანები, რომელთაც განახორციელეს ეს პროვოკაცია. ყველაფერს კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სადაზვერვო სამსახური უწევდა კოორდინირებას და დღეისათვის ეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს ე. შევარდნაძისა და უშიშროების საბჭოსათვის[6].

2 სექტემბრის აქცია იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მოსკოვში ასათიანის ვიზიტის დროს გორბაჩოვის დაინტერესების საგანიც გახდა[7].

2 სექტემბერთან დაკავშირებით გამოკვეთილ კონკრეტულობას იჩენდა ეროვნული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი. მისი მოსაზრებით, „დღეს ამ პროვოკაციის შემსრულებლის გვარიც ცნობილია, – ესაა ლანჩავა, ცნობილია მიმთითებელიც – ჭანტურია, ამიტომ ეს იყო, რა თქმა უნდა, დაგეგმილი პროვოკაცია და მთლიანად მოულოდნელი გამსახურდიასათვის“[8].

თუ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ვერწმუნებით, ოპოზიციის მოწყობილ ამ ე. წ. მიტინგზე „ოპოზიციონერები“ ქვებით, წყლით სავსე ნახევარლიტრიანი ბოთლებით თუ სხვა იარაღით აღჭურვილი მოვიდნენ. იგი ასახელებს აქციის მონაწილეებსაც და ხელმძღვანელებსაც: მ. გიორგაძეს, ვ. ხუხუნაიშვილს, ძმებს ხაინდრავებს, გ. ჭანტურიას, ი. სარიშვილს, მ. მარკოზიას, ლ. შაკიაშვილს, ი. წერეთელს, გ. ხავთასს, მ. იაშვილს, გ. კობახიძეს.

მ. არჩვაძე-გამსახურდია აღნიშნული პროვოკაციის ხელშეწყობაში ადანაშაულებს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფს – თ. პაატაშვილს, ი. მელაშვილს, თ. დიხამინჯიას, მ. ურიდიას, რომლებმაც ამერიკელ კონგრესმენებს ეროვნული ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, აჩვენეს მიტინგზე გასროლილი ტყვიების მასრები[9].

ამდენად აღნიშნული მიტინგი იყო აშკარა პროვოკაცია ოპოზიციის მხრიდან, საერთაშორისო რეზონანსის გამოსაწვევად. სამწუხაროდ, ოპოზიციამ ამ მოქმედებით სამშობლოსა და სახელმწიფოს ინტერესებზე უფრო მაღლა პირადული, პარტიული ინტერესები დააყენა. ოპოზიციის რიგებში თანდათანობით მკვიდრდებოდა „ცოფიანი“ შურის, სინდრომი და ზეპიროვნული ცნობიერების ადგილს პიროვნული ცნობიერება იჭერდა.

როგორც ჩანს, ოპოზიციური ძალები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ 2 სექტემბრის აქციას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ჭანტურია პირდაპირ აცხადებდა, რომ 2 სექტემბრის მიტინგით დაიწყო „დემოკრატიული რევოლუცია“ საქართველოში. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ იყო, ადასტურებს ოპოზიციის შემდგომი მოქმედებებიც. 2 სექტემბრის საღამოსვე მოეწყო მიტინგი ტელევიზიის შენობასთან. ხოლო 4 სექტემბერს გამოვიდა გვარდიის გაზეთი ანშლაგით: „ჯერ ხალხი, შემდეგ პრეზიდენტი“. ეს იყო „ხალხის ინტერესების დამცველთა“ პოპულისტური სატყუფრა, მიმართული არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. სექტემბერს რამდენიმე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ გააკეთა ერთობლივი განცხადება პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. როგორც ირაკლი ბათიაშვილი შენიშნავს, ინტელიგენციამ აიტაცა „ანტიზვიადიზმის დროშა“ და სათავეში ჩაუდგა გადატრიალებას. მისივე თქმით, 1991 წლის სექტემბერშივე პოლიტიკური ოპოზიციის და ამბოხებული ინტელიგენციის წარმომადგენლები მოსკოვში შეხვდნენ შევარდნაძეს, კოზირევს, პრიმაკოვს, ბურბულისს. დაიმედებულნი დაბრუნდნენ თბილისში, რათა კიდევ უფრო მეტი შემართებით ებრძოლათ გამსახურდიას ე. წ. დიქტატურის წინააღმდეგ[10].

ოპოზიციის 2 სექტემბრის აქცია დაგმო საქართველოს ხელისუფლებამ. საქართველოს საზოგადოებრივმა აზრმა იგი ნეგატიურად შეაფასა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ხელისუფლების კურსს უჭერდა მხარს. სექტემბრის აქტის გამო თავის შეხედულებას აფიქსირებდნენ მწერლები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. მათი დიდი ნაწილი არ იზიარებდა ოპოზიციის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას პრეზიდენტ გამსახურდიას გადადგომის შესახებ. ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მუხრან მაჭავარიანი, რომელიც იმჟამად საქართველოს მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა, აღიარებდა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ასე არ ფიქრობდნენ მწერალთა ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლები. ამ მხრივ გამოირჩეოდა ლიტერატორი რომან მიმინოშვილი, რომელსაც თავის დროზე კომუნისტური ხელისუფლების ცენტრალურ აპარატში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა. მის პოლიტიკურ კრედოზე მიუთითებს 2 სექტემბრის შემდეგ სახელდახელოდ გამოქვეყნებული ჩანაწერები – „ამონაწერები უბის წიგნაკიდან, ანუ ერთწლიანი ომი საკუთარ ხალხთან“.

მიმინოშვილის პიროვნული შეუთავსებლობა გამსახურდიასთან მძაფრი და პათოლოგიური იყო . 17 სექტემბერს იგი წერს: „რაკი საშველი არ არის და მაინც უნდა დავიღუპოთ, გავყვეთ პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტს, რომელსაც უმოკლესი გზით მივყავართ უფსკრულისაკენ“.

დემოკრატიული რევოლუციის ლოზუნგს ამოფარებული ოპოზიცია ჩქარობდა და, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროდ მიიჩნევდა „რღვევას შენებისათვის“. გ. ჭანტურიას განცხადებით, დემოკრატიულმა ძალებმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ხელისუფლებას. ამიტომ ოპოზიციას უნდა ეჩქარა, საკუთარ ხალხამდე დაეყვანა დიქტატორის გადადგომისა და ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული ძალების მოსვლის აუცილებლობა.

1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩის დამარცხების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და საქართველოს შესაძლებლობა მიეცემოდა სრული დამოუკიდებლობის მიღწევის პირობებში დაეწყო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, რაც განამტკიცებდა ზ. გამსახურდიას პოზიციას. ასეთ ვითარებაში ოპოზიციას სწრაფად უნდა ემოქმედა. შევარდნაძე იწყებს აქტიურ მოქმედებას ყოფილი პარტიული, სამეურნეო და კულტურული ნომენკლატურის მოსამხრობად. თუ მიღებულია გადაწყვეტილება ხელისუფლების დამხობაზე, იგი ადრე თუ გვიან განხორციელდება და აუცილებლად მოიძებნება ჯგუფი, რომელიც იტვირთებს გადატრიალების შემსრულებლის ფუნქციას. ნებისმიერ სახელმწიფოში გარკვეული სოციალური ფენა, მუდამ მზად არის ამბოხებისათვის. თუმცა, სხვა ჯგუფის სახით მას მძლავრი და გავლენიანი მოკავშირე სჭირდება.

1991 წლის შემოდგომაზე ეროვნული ხელისუფლების მიერ გამოძევებული უკმაყოფილო ფენა, სოციალური სტატუსის დასაბრუნებლად იწყებს მოკავშირის ძებნას და პოულობს კიდევაც სხვადასხვა კრიმინალების სახით. პარტიული ნომენკლატურა, წითელი ინტელიგენცია, ოლიგარქები (საფინანსო-ბიზნესური წრე) და კრიმინალები, ე. ი. ელიტა – უმცირესობა – და კრიმინალები ერთიანდებიან ხელისუფლების დასამხობად. საქართველოში მოხდა ამ ორი ჯგუფის გამოყენება პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიების მიერ. აღნიშნულ კოალიციას ჰყავდა მატერიალური მხარდამჭერებიც. ხელისუფლების დასამხობად მუშაობას იწყებენ თანამდებობებიდან განთავისუფლებული მოხელეებიც და ხელისუფლებაში მყოფი თანამდებობის პირებიც. ეწყობა აქციები, რომლებიც მიზნად ისახავდა სახელი გაეტეხა არსებული მმართველობისათვის. ასეთი იყო, საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტის იანაევისა და გამსახურდიას ალიანსის შესახებ ყალბი ვერსიის შეთხზვა და გავრცელება, ზ. გამსახურდიას მიერ ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსების და ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლების დაპატიმრების მოთხოვნა და ა. შ.

ზ. გამსახურდიას გვერდით მუშაობდნენ გაორებული რწმენის და სტანდარტის მქონე ადამიანები. მაგალითად საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ვ. რაზმაძე ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტის გადადგომას და აცხადებდა რომ დასაპატიმრებელ ადამიანთა არავითარი სიები არ არსებობდა.

თუმცა მოგვიანებით, თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, ვ. რაზმაძე აღიარებდა რომ, „ეს სია არსებობდა“. ვ. რაზმაძეს ამ საკითხში კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ნოდარ ნათაძე, რომელიც მიიჩნევდა, რომ სია ყალბი იყო და ეს სია ყალბე შეთხზეს საქართველოს პროკურატურაში, ან გადასცეს საქართველოს პროკურატურას იმ მიზნით, რომ მაშინდელი ხელისუფლების არადემოკრატიული ბუნება დაემტკიცებინათ.

**პაატა ჩიქოვანი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი იგონებს, რომ ზვიად გამსახურდიას გარემოცვაში უამრავი მსტოვარ-ჯაშუში იყო შეგზავნილი. ხოლო მისი დამხობა ორგანიზებული იყო მოსკოვში. მისივე აღიარებით, ზ. გამსახურდია ყოველ ნაბიჯზე ღალატსა და სიცრუეს აწყდებოდა. მის გარემოცვაში შეგზავნილ უამრავ მსტოვარ-ჯაშუშს ჰქონდა დავალება – ყველაფერი ეღონათ ხელისუფლებაში დეზორგანიზაციის შესატანად. მაგალითად, უზენაესი საბჭოს შენობის დაცვის მიზნით შექმნილი იყო შვიდი შტაბი, რომლის წევრები ერთმანეთს არ იცნობდნენ, რაც გამორიცხავდა ეფექტური თავდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.**

ზ. გამსახურდიას დამხობის გეგმა რომ ზედმიწევნით მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შემუშავებული ეჭვს არ იწვევს. ადგილი ქონდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტერორიზმს. ამ აქტებს სპეცსამსახურების მიერ საგანგებოდ გაწვრთნილი ხალხი ხელმძღვანელობდა. ეს ადამიანები საგანგებოდ იყვნენ მომზადებული, რომ ხელი შეეწყოთ ეროვნული ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის.

ზ. გამსახურდია ცდილობდა პოლიტიკური დიალოგით მოეგვარებინა ვითარება. გაიმართა შეხვედრები საქართველოს ინტელიგენციის და სტუდენტობის ფართო წარმომადგენლობასთან. გაიგზავნა მიმართვა გვარდიელების ოპოზიციური ნაწილის მიმართ. თითქოს იყო ყველა პირობა გამსახურდია-კიტოვანის დაპირისპირებას ბოლო მოღებოდა, მაგრამ, როგორც თ. კიტოვანი აცხადებს, გარკვეული ძალები ამას ხელს უშლიდნენ. სწორედ ამ პერიოდში მოეწყო გათვლილი პროვოკაცია რუსეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ თბილისში, რასაც რუსმა სამხედროებმა საპროტესტო აქციით უპასუხეს.

ოპოზიცია, იშველიებდა რა ბუშის, ბეიკერის, ელცინის და სხვა მოღვაწეების გამონათქვამებს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, ფართო პროპაგანდას ეწეოდა საზოგადოებაში, რომ ზ. გამსახურდიას რეჟიმის არადემოკრატიულობა ხელს უშლიდა საქართველოს აღიარებას, თუმცა საქართველოს აღიარების პროცესი იწყებოდა. რამდენიმე ქვეყანამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. შიდა და გარეშე ძალებს ეს არ აწყობდათ.

დაახლოებით დეკემბრის დასაწყისში, მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება დაეჩქარებინათ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა.

**იგორ კვესელავა,**
პროფესორი

## ანალიზის ცდა

*როგორც თანდათან ირკვევა დროის ის თვრამეტწლიანი მონაკვეთი, რომელიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მიმდინარე წლის 2 თებერვალს დაწყებული დისკუსიის თემაა, უამრავი პრობლემის შემცველი გამოდგა. აქ ერთმანეთს გადაეხლართა პოლიტიკა და ეკონომიკა, სოციოლოგია და ფსიქოლოგია, და თითქმის არ დარჩა ცხოვრების არც ერთი მხარე, რომელიც ღრმა და მიუკერძოებელ ანიალიზს არ საჭიროებდეს, რათა ბოლოს და ბოლოს მეტ-ნაკლებად მაინც მივიდეთ ჭეშმარიტებამდე, ურომლისოდაც ნამდვილად გაჭირდება მომავლისკენ სწორი სვლა. დღევანდელი „სადისკუსიო ასპარეზი“ ორ თემას ეთმობა: თუ მართლაც რა მოხდა 1991 წლის 2 სექტემბერს, რაც წინა ავტორის მიერ დაწყებული თემის გაგრძელებაა, და თუ დღემდე რატომ არ ხერხდება ჯერ კიდევ 1944 წელს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნება.*

*საზოგადოებას ერთხელ კიდევ შევახსენებთ, რომ, სამწუხაროდ, რატომლაც არ ჩანს ჩვენი ინტელიგენციის ის „სადისკუსიო აქტიურობა“, რასაც დისკუსიის დასაწყისში ველოდით. როგორც ჩანს, ესეც ერთ-ერთი ფრიად აქტუალური სადისკუსიო თემაა.*

**გიწვევთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს**

**ჩვენი უახლოესი უტყუარი წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები**

**დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985-2003 წლებში“**

# დისკუსია

დეპორტირებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვს მაინცდამაინც სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებას. ასეთი ახირების მოტივი გასაგებია. მათ სამშობლოდ საქართველო კი არა – მესხეთი მიაჩნიათ. შესაბამისად ნამდვილ დაბრუნებადაც მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებას თვლიან. მაგრამ ასეთი პოზიცია პირდაპირ წინააღმდეგობაშია ქართული სახელმწიფოს ინტერესებთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს უსამართლობაა და უნდა გამოსწორდეს...

## პრობლემა დეპორტირებული მოსახლეობის გაორებული ცნობიერებაა

### რა გზა გამოვიარეთ

1999 წლის აპრილში საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა გახდა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ გარკვეული ვალდებულებები ვიკისრეთ ევროსაბჭოს წინაშე. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება იყო სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული დოკუმენტის თანახმად ჩვენს ქვეყანას ორი წლის განმავლობაში უნდა მოემზადებინა საკანონმდებლო ბაზა დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციის, რეპატრიაციისა და ინტეგრაციისთვის, სამი წლის შემდეგ კი დაეწყო და 12 წლის განმავლობაში დაემთავრებინა რეპატრიაციის პროცესი.

ამჟამად საქართველოს პარლამენტში შესულია და განხილვის რიგს ელოდება კანონპროექტი რეპატრიაციის შესახებ. იმაზე, თუ რამდენად განონასწორებული და სრულყოფილი იქნება ეს კანონი, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული რეპატრიაციის მთელი პროცესის წარმატება. ეს პროცესი კი, მისი არასწორად წარმართვის შემთხვევაში, ქართული სახელმწიფოსთვის სერიოზული საფრთხის შემცველია. ჩვენს ქვეყანას, ყველასათვის ცნობილ გარემოებათა გამო, კონფლიქტური კერები ისედაც არ აკლია, დაუფიქრებლად განხორციელებულმა რეპატრიაციამ კი, შესაძლოა, ახალი კონფლიქტის კერა წარმოშვას.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი საზოგადოების, პირველ რიგში კი პოლიტიკოსების მიერ ამ რთული და მრავალპლანიანი პრობლემის მთელი სისრულით, მის ყველა განზომილებაში გააზრება. არადა, თუ ამ ორიოდე წლის წინათ, პრობლემის გადაწყვეტის გზაზე მთავარი დაბრკოლება ჩვენს საზოგადოებაში (განსაკუთრებით — სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ მოსახლეობაში) დეპორტირებულთა მიმართ უაღრესად ნეგატიური, აგრესიული დამოკიდებულების დაძლევა იყო, დღეს მთავარი საფრთხე ჩვენი პოლიტიკოსების, განსაკუთრებით კი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ საკითხისადმი ზერელე, ზედაპირული დამოკიდებულებაა.

ეს, კი როგორც უკვე ვთქვით, ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის სერიოზული საფრთხის შემცველია. ჩვენ ნათელი და სრული წარმოდგენა უნდა გვქონდეს არა მხოლოდ საკითხის ისტორიაზე, რომელიც პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით იმდენჯერ გადაკეთდა, რომ მასში გარკვევა სპეციალისტებსაც კი უჭირთ, არა მარტო იმ პრობლემებზე, რომლებიც რეპატრიაციის პროცესს გარდაუვლად თან ახლავს, არამედ — ამ პროცესის თანამდევ მოსალოდნელ საფრთხეებზეც...

მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ საბჭოთა რეჟიმმა ქვეყნის აზიურ ნაწილში ე. წ. არასანდო ხალხების იძულებითი გასახლების პოლიტიკა განახორციელა. 1941 წელს ქვეყნის ევროპული ნაწილიდან, აზიურ ნაწილში გაასახლეს ეთნიკური გერმანელები, მოგვიანებით გერმანელთა ბედი გაიზიარეს ყირიმელმა თათრებმა, ჩრდილოკავკასიელმა მთიელებმა — ინგუშებმა, ჩეჩნებმა, ყარაჩაელებმა, ყალმუხებმა. საქართველოდან გადასახლების ტალღა ჯერ გერმანელებს, შემდეგ კი სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან მოსახლეობას შეეხო.

რეაბილიტაციის გამოცხადებისთანავე ხელისუფლებისგან და ბედისგან კიდევ ერთხელ დაჩაგრული მესხები ლატიფშა ბარათაშვილის, ხალილ უმაროვ-გოზალიშვილის, მავლუდ ბაირახტაროვისა და სხვა ლიდერთა ხელმძღვანელობით გადასახლების ადგილებიდან აიყარნენ და საქართველოს საზღვრებს მოადგნენ. თუმცა, უშედეგოდ. მათ გზა სამხედრო ნაწილებმა გადაუკეტეს. მესხთა დიდი ნაწილი მეზობელ აზერბაიჯანს მიაწყდა და იქ გაუსაძლის პირობებში იმ იმედით დაფუძნდა, რომ ბოლოს და ბოლოს სამართალი იზეიმებდა და მათაც ელირსებოდათ სამშობლოში დაბრუნება. ასე გაჩნდა აზერბაიჯანის მუღანლოს სტეპში მესხთა პირველი კომპაქტური დასახლებები.

1979 წელს ქართული ინტელიგენციის 40-ზე მეტმა ცნობილმა წარმომადგენელმა წერილით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რომელშიც გამოთქმული იყო თხოვნა — „აღედგინა სამართლიანობა ქართველი ხალხის ესოდენ მძიმედ დატანჯული ნაწილის მიმართ.“ იმავე წლის 4 აპრილს საქართველოს ხელისუფლებამ გამოაქვეყნა დადგენილება მესხთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

იმავე წლის 23 მაისს უზბეკეთში, ფერღანის ველზე დაიწყო იქ მცხოვრები მაჰმადიანი მესხების დარბევა და ხოცვა-ჟლეტა, რომელიც 17 დღეს გაგრძელდა და უზბეკეთიდან მესხთა მასობრივი გამოძევებით დასრულდა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ლტოლვილები აზერბაიჯანში, უკრაინასა და რუსეთში გადაანაწილა.

ფერღანას ტრაგედიის შემდეგ საქართველოშიც გაჩაღდა კამპანია მაჰმადიან მესხთა წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე, ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები, ამჯერად, მესხთა დაბრუნების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში აღმოჩნდნენ, რამაც ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მაჰმადიან მესხთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გაღვივებას შეუწყო ხელი. 1989-1991 წლებში რეპატრიანტთა მიმართ განხორციელებული რეპრესიების შედეგად მესხთა 200-მდე ოჯახი იძულებული გახდა კიდევ ერთხელ აყრილიყო და სამშობლო მიეტოვებინა.

1993 წლიდან საქართველოში პოლიტიკური კლიმატი კიდევ ერთხელ შეიცვალა და მესხებმა ისევ იწყეს დაბრუნება.

ამჟამად საქართველოს 8 რაიონში 700-ზე მეტი რეპატრიანტი ცხოვრობს.

1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულ მოსახლეობაზე მსჯელობისას ყურადღება, როგორც წესი, საკითხის ორ ასპექტზე მახვილდება. პირველ რიგში, საუბარია ზნეობრივ ასპექტზე. ჩვენ გარკვეული მორალური პასუხისმგებლობა გვაკისრია ამ მრავალგზის ნატანჯი ხალხის, ჩვენი სისხლისა და ხორცის წინაშე. გასახლებულთა 80 პროცენტზე მეტი ეთნიკური ქართველია. მათ საუკუნეების მანძილზე ჯიჯგნიდნენ, ართმევდნენ ენას, სარწმუნოებას, ეთნიკურ იდენტობას... 1944 წელს კი სამშობლოც წაართვეს და ცენტრალური აზიის ტრამალებისკენ მიმავალ გზას გაუყენეს... ომის დროს გადასახლებულ ხალხთაგან მხოლოდ მესხეთიდან დეპორტირებულები არ დაბრუნებულან მშობლიურ ადგილებში.

ეს უსამართლობა უნდა გამოსწორდეს.

მეორე ასპექტი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაა. საქართველო იმ საერთო საცხოვრებლის ერთი პატარა ბინადარია, რომელსაც დედამიწა ჰქვია. ამ საერთო საცხოვრებელს კი თავისი შინაგანაწესი აქვს, რომლის დაცვა თითოეული მობინადრის ვალდებულებაა. არ შეიძლება, ერთი მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაჟინებით მოვითხოვდეთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში აქტიურ დახმარებას, მეორე მხრივ კი, როდესაც ეს ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვისკენ მოგვიწოდებდნენ, ვაცხადებდეთ — ეს ჩვენი საქმეა და თქვენ არავინ გეკითხებათო.

სხვა საკითხია — შეესაბამება თუ არა რეპატრიაცია ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს?

დარწმუნებული ვარ — შეესაბამება. მართებულად, გონივრულად განხორციელებული რეპატრიაციით ჩვენი ქვეყანა აუცილებლად მოიგებს.

ოღონდ ... მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეპატრიაციის პროცესს გონივრულად წარვმართავთ და შევძლებთ ქართული სახელმწიფოს ინტერესები ჰარმონიულად შევახამოთ ჩვენს ზნეობრივ და საერთაშორისო ვალდებულებებთან.

აქ პრობლემა ისაა რომ, დეპორტირებულ მესხეთა დიდი უმრავლესობა დღეს არა მარტო გამაჰმადიანებული, არამედ — გათურქებულიცაა. ისინი თავიანთ თავს თურქებად, სამშობლოდ კი თურქეთს მოიაზრებენ.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ თურქული იდენტობის მქონე ამ ადამიანებს დაბრუნება მაინცდამაინც მესხეთში სურთ. ხაზს ვუსვამ: მესხეთში და არა საქართველოში.

ერთი შეხედვით ეს პარადოქსული ფაქტი ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ დეპორტირებულთა უმრავლესობას, თურქული ცნობიერების მიუხედავად, ქვეცნობიერად მაინც ესმის, რომ მათი წინაპრები მესხეთის მიწა-წყლის მკვიდრი მესხები იყვნენ. დანარჩენ საქართველოს კი ისინი თავიანთი თურქული ცნობიერების გამო ემიჯნებიან. მათ ხომ საუკუნეების განმავლობაში ჩააგონებდნენ, რომ ისინი მესხეთში შემოჭრილი ოღუზებისა და ყივჩაღების შთამომავლები არიან, რომლებიც, ქართული სახელმწიფოს ზეობის ხანაში ქართველებმა გააქრისტიანეს და გააქართველეს. მას შემდეგ კი, რაც XVI საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთმა მესხეთი დაიპყრო, ისინი კვლავ თავიანთ ეროვნებას დაუბრუნდნენ.

ცხადია, რომ ასეთი განწყობა, თუ უკვე აშკარა სეპარატიზმი არა, მისი წინაპირობა მაინც არის. ამგვარი განწყობის ადამიანების ხელაღებით შემოყვანა და მით უმეტეს, კომპაქტურად დასახლება, ისიც თურქეთთან ჩვენი საზღვრის სიახლოვეს, ყოვლად გაუმართლებელი უგუნურება იქნებოდა.

ისლამი არასოდეს ყოფილა მარტოოდენ რელიგია. ის უფრო ცხოვრების უნივერსალური სახელმძღვანელოა, რომელიც შეიცავს ინსტრუქციებს ადამიანებისა და ერების მორალურ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ქცევის შესახებ. მუსულმანთა აღიარებული ლიდერები (მაგალითად — დიდი ბრიტანეთის მუსულმანთა აიათოლა ომარ ბაკრი) საჯაროდ აცხადებენ, რომ ისლამის გასავრცელებლად ევროპაში და კავკასიაში მეხუთე კოლონა უნდა შეიქმნას.

ასეთ პირობებში, ცხადია, დიდი სიფრთხილე გვმართებს. რეპატრიაცია უნდა განხორციელდეს აუცილებლად ეტაპობრივად, აუცილებლად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აუცილებლად სახელმწიფოს სრული კონტროლით. დაუშვებელია რეპატრიანტთა კომპაქტური დასახლება. ეს ათეულ წლობით გააჭიანურებს ან საერთოდ, შეუძლებელს გახდის ქართულ საზოგადოებასთან რეპატრიანტთა ინტეგრაციის პროცესს, გამოიწვევს ეთნიკური და კონფესიური ბალანსის შეცვლას ქართული ელემენტისა და ქრისტიანული აღმსარებლობის საწინააღმდეგოდ.

დეპორტირებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვს მაინცდამაინც სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებას. ასეთი ახირების მოტივი გასაგებია. მათ სამშობლოდ საქართველო კი არა — მესხეთი მიაჩნიათ. შესაბამისად ნამდვილ დაბრუნებადაც მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებას თვლიან. მაგრამ ასეთი პოზიცია პირდაპირ წინააღმდეგობაშია ქართული სახელმწიფოს ინტერესებთან.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის წყალობით განზე გამხედვარეები, სეპარატისტები ისედაც არ გვაკლია, აქ კი წინასწარ აპრიორად აცხადებენ, რომ სამცხე-ჯავახეთი მათთვის განსაკუთრებული, დანარჩენი საქართველოსგან გამორჩეულად იზოლირებული მხარეა.

ჩვენს არგუმენტებზე, რომ დეპორტირებული მოსახლეობის მიმართ ყველაზე ნეგატიური განწყობა სწორედ სამცხე-ჯავახეთშია, რაც ზრდის ადგილობრივ მოსახლეობასა და რეპატრიანტთა შორის ექსცესების წარმოქმნის ალბათობას; რომ სამცხე-ჯავახეთში მათ მიწაზე დიდი ხანია სახლობენ სხვა ადამიანები და ა.შ. დეპორტირებულები პასუხობენ: „მაშ აფხაზეთში დაბრუნებას როგორღა აპირებთ — განა იქ უფრო ნეგატიურად არ არიან განწყობილნი ქართველების მიმართო?“

ეს ან გულუბრყვილობაა ან შეგნებული სიცრუე. აფხაზეთში ქართველთა სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები დღემდე მიტოვებულია, მაშინ, როცა სამცხე-ჯავახეთში დეპორტირებულთა მიწაზე დიდი ხანია სხვები ცხოვრობენ. ეს პრინციპული განსხვავებაა. მეორეც, ჩვენ აფხაზეთში დაბრუნებას გალიდან ვიწყებთ. უგუნურება იქნებოდა — აგვეჩემებინა, გინდა თუ არა დაბრუნება გუდაუთიდან დავიწყოთო.

რეპატრიაცია რთული პროცესია, რომელიც შეიძლება ერთმა გაუგებრობამ, ერთმა ინციდენტმა მთლიანად ჩაშალოს. ამიტომ ის იქიდან უნდა დავიწყოთ, სადაც ნაკლები პრობლემებია მოსალოდნელი. 1989-1991 წლებში რეპატრიანტთა გასაძევებლად პროვოკაცია გამოიყენეს. მსგავსი საბაბის გამონახვა არც ახლა გაჭირდება. ყველაზე ადვილად კი ის სამცხე-ჯავახეთში შეიძლება მოინახოს.

რაც შეეხება დეპორტირებულთა იმ ნაწილს, რომელიც აცხადებს, რომ თურქია, მისი ისტორიული „მიწა-წყალი“ კი მესხეთია: ეს განცხადება, სურს ეს თუ არა მის ავტორს, ტოლფასია განცხადების: მესხეთი თურქეთის ისტორიული მხარეა.

ეს ელემენტარული ლოგიკაა და თვალებში ნაცრის შეყრას არ უნდა შევეგუოთ. თურქის ისტორიული სამშობლო თურქეთია, გერმანელის — გერმანია, ქართველის კი — საქართველო. ასე, რომ გათურქებულ მესხებს მოუწევთ არჩევანის მოხდენა: ან თავიანთი დღევანდელი ცნობიერების მიხედვით სამშობლოდ თურქეთი აირჩიონ და იქ დაბრუნებაზე იფიქრონ, ან შეეგუონ აზრს, რომ მესხეთი ძირძველი ქართული მიწაა და საქართველოს ნებისმიერ კუთხეში დაბრუნებით სამშობლოში ბრუნდებიან. გაუგებრობას აქ წარმოშობს არა ქართული მხარის პოზიცია, არამედ დეპორტირებულთა გაორებული, გაუკუღმართებული ცნობიერება.

ჩვენ ღიად ვაცხადებთ, რომ ქართული სახელმწიფოს ინტერესში არ შედის მაჰმადიანი მესხების კომპაქტური დასახლება. ასევე ღიად უნდა განვაცხადოთ, რომ ვიმუშავებთ მათი გაუკუღმართებული ცნობიერების გამოსწორებაზეც. მაჰმადიანი მესხების შვილებმა განათლება ქართულ ენაზე უნდა მიიღონ. მხოლოდ ასეთი რეპატრიაცია შეესაბამება ჩვენს ინტერესებს.

ევროსაბჭო და საერთაშორისო თანამეგობრობა ამის წინააღმდეგნი ვერ იქნებიან. საერთაშორისო ვალდებულებებისა და ზნეობრივი ვალის გარდა ჩვენ ვალდებულებები გვაკისრია ჩვენი წინაპრების სისხლით გაპოხიერებული ქართული მიწის წინაშეც. ჩვენ ვალდებულნი ვართ შემოვუნახოთ ეს მიწა მომავალ თაობებს.

**უჩა ბლუაშვილი**

დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

№ 94. პარასკევი. 18 მაისი. 2007 წელი.

# უცხოური პრესა

**სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების საკითხი უნდა გადაწყვიტონ ისტორიკოსებმა და სპეციალისტებმა, და არა საქართველოსა და აზერბაიჯანის ოფიციალურმა პირებმა, რომლებსაც ამის თაობაზე სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვთ**



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## სამონასტრო კომპლექსი - ქართულ ეკლესიას, ტერიტორიები კი - აზერბაიჯანს

**სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების საკითხი უნდა გადაწყვიტონ ისტორიკოსებმა და სპეციალისტებმა, და არა საქართველოსა და აზერბაიჯანის ოფიციალურმა პირებმა, რომლებსაც ამის თაობაზე სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვთ. ასეთი განცხადება გააკეთა აზერბაიჯანის მშვიდობისა და დემოკრატიის ინსტიტუტის კონფლიქტოლოგიისა და მიგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პოლიტოლოგმა არიფ იუნუსოვმა.**

შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ აზერბაიჯან-საქართველოს საერთო საზღვრის 35 პროცენტი შეუთანხმებელია, მათ შორის ეს იმ ტერიტორიასაც ეხება, რომელზეც მდებარეობს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. ამ მონაკვეთის თაობაზე მორიგების მიღწევას მხარეები ვერ ახერხებენ ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ბაქოსთვის ტერიტორიას დიდი სამხედრო მნიშვნელობა ენიჭება, საქართველოსთვის კი სამონასტრო კომპლექსი არის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი ლავრა. ამ დღეებში ოფიციალურმა პირებმა სადავო საკითხის თაობაზე გააკეთეს ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ დავით გარეჯის კომპლექსი მთლიანად უნდა აღმოჩნდეს საქართველოს ტერიტორიაზე. თავის მხრივ, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხალაფ ხალაფოვმა განაცხადა, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია ტერიტორიის გადაცემაზე ან მის გაცვლაზე.

როგორც აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა არიფ იუნუსოვმა თქვა, საქართველოს პრეზიდენტის განცხადებამ მწვავე რეაქცია გამოიწვია აზერბაიჯანის პოლიტიკურ წრეებში. „მათ აღნიშნეს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ქართული მხარე რაღაცას ითხოვს და ოფიციალური ბაქო, ბოლოს თანხმდება ამ მოთხოვნაზე. ასეთი რამ უკვე მოხდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით აზერბაიჯანის წილი მოგების საქართველოსათვის ფაქტობრივი გადაცემისათვის საკითხში, აგრეთვე იმ შეღავათიან პირობებთან დაკავშირებით, რომელთა თანახმადაც თბილისი, ფაქტობრივად, უფასოდ იღებს სახსრებს ბაქო-თბილისი-ერზერუმის რკინიგზის მშენებლობისათვის, იგივე შეიძლება ითქვას გაზის მიწოდებასთან დაკავშირებითაც. შეგახსენებთ, რომ ამ ბოლო შემთხვევაში აზერბაიჯანის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ ბუნებრივი აირის გარეშე დაეტოვებინა თავისი მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ეს ეხება პროვინციებს. და აი, ყოველივე ამის შემდეგ ქართული მხარე აზერბაიჯანისგან კვლავ ითხოვს ახალ დათმობებს. ბუნებრივია, ბაქოში ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება საზოგადოებრობის აღშფოთებაზე, რასაც მოჰყვა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ხალაფ ხალაფოვის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის სიტყვები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს", — აღნიშნა მან.

კითხვას, თუ როგორ უნდა მოეკიდონ მხარეები ამ პრობლემას და თუ არსებობს მისი ორმხრივ ხელსაყრელ პირობებში გადაჭრის შესაძლებლობა, პოლიტოლოგმა უპასუხა: არაფერს ვიტყვი სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების საკითხზე, რომლის თაობაზეც მხარეებს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები აქვთ. დაე, ამაზე ისტორიკოსებმა და სპეციალისტებმა იფიქრონ. მაგრამ საკითხი უფრო სერიოზულად დგას. როგორ უნდა წარმართონ ურთიერთობა ახალმა დამოუკიდებელმა ქვეყნებმა? თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართული მხარე მართალია სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების საკითხში, მის მიერ მოტანილი არგუმენტაცია მაინც ვერ უძლებს სერიოზულ კრიტიკას. ყოველ ქვეყანაში შეიძლება შევხვდეთ ისეთ ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც სხვა ხალხის და კულტურის კუთვნილებაა. აზერბაიჯანში ყველა ძეგლი როდი უკავშირდება ისლამს და აზერბაიჯანელ ხალხს. თვით საქართველოშიც მრავლადაა აზერბაიჯანული და ისლამური ძეგლი. როგორ მოვიქცეთ? გავცვალოთ ტერიტორიები ასეთი ნიშნით? ჩემი აზრით, თუ მხარეები ერთმანეთს პატივისცემით ეკიდებიან, მაშინ შესაძლებელი იქნება გამოინახოს ყველასთვის მისაღები კომპრომისი. ყოველ შემთხვევაში, არავინ უშლის ხელს იმას, რომ კომპლექსი სარგებლობისთვის გადაეცეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მაგრამ ტერიტორია უნდა დარჩეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ამ საკითხის გამწვავებამ და ახალ-ახალი მოთხოვნების გამოთქმამ შეიძლება მხოლოდ გაამწვავოს ორმხრივი ურთიერთობა, ეს კი არ აძლევს ხელს არც საქართველოს, არც აზერბაიჯანს და არც მთლიანად რეგიონს. საჭიროა დროულად მოვთოკოთ ემოციები და პატივისცემით მოვეკიდოთ მხარეთა პოზიციებს," — განაცხადა იუნუსოვმა.

REGNUM

## სამი სახელმწიფო მაისის დამლევს განიხილავს აქთაუ-ბაქო-ფოთის მარშრუტის განვითარების საკითხებს



**აზერბაიჯანის,** საქართველოსა და ყაზახეთის სატრანსპორტო უწყებათა წარმომადგენლები მაისის დამლევს თბილისში განიხილავენ აქთაუ-ბაქო-ფოთის სატრანსპორტო მარშრუტის კონკურენტუნარიანობის გადიდებასთან დაკავშირებულ საკითხებს, განუცხადა ჟურნალისტებს აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ მუსა პანახოვმა.

როგორც მან თქვა, ამჟამად განიხილავენ ყაზახეთიდან აზერბაიჯანის გავლით საქართველოს შავიზღვისპირა ნავსადგურებისაკენ არსებული მარშრუტით ტვირთზიდვის მოცულობის გადიდების შესაძლებლობებს და ამასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. „ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა ის, რომ სამივე ქვეყანამ განახორციელოს შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკა ამ მარშრუტის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. მაგრამ ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგან ყველა ქვეყანას სურს მიიღოს შემოსავლები ტვირთზიდვის შედეგად, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლოა გადააწყდეს ტვირთზიდვის მოცულობის შემცირების პრობლემას. ამ საკითხის განხილვა გრძელდება. ამის თაობაზე სამი ქვეყნის ექსპერტების ბოლო შეხვედრა რამდენიმე დღის წინათ გაიმართა აქთაუში, მომავალი შეხვედრა კი მაისის დამლევს შედგება თბილისში, თუმცა მისი გამართვის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული", — თქვა მინისტრის მოადგილემ.

ГазетаСНГ

## სამხრეთ ოსეთი დაჟინებით მოითხოვს მემორანდუმზე ხელმოწერას

**„სამხრეთ ოსეთის მხარე დაჟინებით მოითხოვს, რომ განახლდეს შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა. ამ ჯგუფებმა უნდა მოამზადონ უმაღლესი დონის შეხვედრა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ძალის გამოუყენებლობის ან მისი გამოყენების მუქარის მიუღებლობის შესახებ ერთობლივი მემორანდუმის ხელმოსაწერად". ასეთი განცხადება გააკეთა 16 მარტს თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს სხდომაზე ედუარდ კოკოითმა.**

თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ „ძალადობის დონის შემცირების მიზნით ჩვენ მოვითხოვთ, რომ ქართულმა მხარემ კონფლიქტის ზონა დაატოვებინოს იქ 2004 წელს შეყვანილ შეიარაღებულ ფორმირებებს, რომელთა რაოდენობა იზრდება."

„ასევე საჭიროა, რომ სამშვიდობო ძალებმა სრული მოცულობით გამოიყენონ თავიანთი მანდატი. ამ პირობების შესრულების შემდეგ, ჩვენც გამოვიყვანთ შეიარაღებულ ფორმირებებს კონფლიქტის ზონიდან. ამასთან, დაცული უნდა იყოს მოსახლეობის რიცხვის მიხედვით საჯარისო ფორმირებების რაოდენობის პროპორციულობის პრინციპი", — თქვა კოკოითმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ „ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სულ უფრო მწვავდება". კოკოითის აზრით, ამაში ბრალი მიუძღვის თბილისს, რომელსაც ამის გაკეთებას, თავის მხრივ, საზღვარგარეთელი სპონსორები ურჩევენ. „ჩვენს საპასუხო ნაბიჯებს მშვიდობიანი ხასიათი აქვს. ჩვენ ვცდილობთ, აგრესია თავიდან ავიცილოთ არაძალისმიერი გზით. სწორედ ამ მიზნით გადაწყდა გზების გადაკეტვა და ამ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და ხალხმა. ეს აქცია მიმართული იყო არა ქართველი ხალხის, არამედ საქართველოს იმ სპეციალური დანიშნულების რაზმების წინააღმდეგ, რომლებიც აქ დათარეშობენ, ამცირებენ და აბუჩად იგდებენ ჩვენს მშვიდობიან მოქალაქეებს. იქ, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობის უშიშროებას არაფერი ემუქრება, ჩვენც ადეკვატურად ვასუსტებთ ან ვაუქმებთ გზების გადაკეტვის რეჟიმს, მაგრამ ეს არ არის საქართველოს ხელმძღვანელობის დამსახურება, როგორც ეს სასწრაფოდ გამოაცხადეს საქართველოს მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა. ეს არის მხოლოდ კეთილი ნების აქტი. და როგორც კი ამ მიმართულებით წარმოიქმნება საფრთხე სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მცხოვრებლებისთვის, ჩვენ მივმართავთ ადეკვატურ ზომებს", — განაცხადა ედუარდ კოკოითმა.




შეგახსენებთ, რომ დაძაბულობა გამწვავდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ დიმიტრი სანაკოევი დანიშნა კონფლიქტის ზონაში დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად. ამის პასუხად ცხინვალმა გადაკეტა ტრანსკავკასიის მაგისტრალის გზები „რესპუბლიკის მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფისა და პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით".

REGNUM

№ 94. პარასკევი, 18 მაისი, 2007 წელი.

● მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობაში წარმოიქმნა კიდევ ერთი უთანხმოება, ამჯერად — ტერიტორიული საკითხის თაობაზე, რომელიც უშუალოდ ეხება ორი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს



# რუსეთ-ამერიკის უთანხმოებამ ჩრდილოეთ პოლუსს უწია

მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობაში წარმოიქმნა კიდევ ერთი უთანხმოება, ამჯერად — ტერიტორიული საკითხის თაობაზე, რომელიც უშუალოდ ეხება ორი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს. შეერთებულ შტატებს და რუსეთს ვერ შეუთანხმებიათ ბუნებრივი რესურსებით პოტენციურად მდიდარი ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის შელფისა და ზღვების განაწილების საკითხი.

სამშაბათს შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკელმა-სენატორმა რიჩარდ ლუგარმა აღნიშნა, რომ რუსეთი აცხადებს პრეტენზიას ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ნავთობისა და გაზის პოტენციურ მარაგებზე და ამან, შესაძლოა, „უშუალო ზიანი“ მიაყენოს შეერთებული შტატების ინტერესებს, თუ ვაშინგტონი სასწრაფოდ არ განახორციელებს საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციის რატიფიკაციას და არ ჩაებმება პოლარული ენერგორესურსებისათვის ბრძოლაში.

ამავე დროს, გაეროს სპეციალურმა კომისიამ არ მიიღო რუსეთის მიერ შეტანილი განაცხადის პირველი ვარიანტი, რომელშიც დასაბუთებული იყო მოსკოვის პოზიცია ჩრდილოეთის პოლუსის ზღვებისა და ტერიტორიების (რუსეთ-ნორვეგიის საზღვრიდან ჩუკოტკის ჩათვლით) დანაწილების შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ შეერთებულ



შტატებთან წინააღმდეგობის გამწვავების შემთხვევაში, ასეთივე ბედი ეწიოს რუსეთის მეორე განაცხადსაც, რომელსაც, სავარაუდოდ მომავალი წლისთვის მოამზადებენ.

იმისთვის, რომ გამოაცხადოს პრეტენზია არქტიკაში თავისი ეკონომიკური ზონის ფარგლების გაფართოებაზე, რუსეთმა, რომელმაც 1997 წელს განახორციელა კონვენციის რატიფიკაცია, მეცნიერულპად უნდა დაასაბუთოს, რომ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის შელფი არის ციმბირის კონტინენტური პლატფორმის გაგრძელება.

მართალია, ნახშირწყალბადიანი ნედლეულის პოლარული მარაგის მასშტაბი ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, მაგრამ საქმე, სავარაუდოდ, გიგანტურ პოტენციალს უნდა ეხებოდეს. სრულიად რუსეთის მსოფლიო ოკეანის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, რუსეთის 200-მილიანი ეკონომიკური ზონის ფარგლებს მიღმა, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში, ნახშირწყალბადიანი ნედლეულის პოტენციული მარაგი სულ ცოტა 9-10 მილიარდი ტონა პირობითი სათბობის მოცულობის მოცულობის ტოლი უნდა იყოს.

საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენცია, რომელსაც სადღეისოდ შეუერთდა 140 ქვეყანა, განსაზღვრავს სახელმწიფოების გარე საზღვრებს 12-მილიანი ზონით, ეკონომიკურს კი — 200-მილიანით. ეკონომიკური ზონის გაფართოება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონტინენტური შელფის საზღვრები გასცდება 200-მილიანი ეკონომიკური ზონის ფარგლებს.






# ისრაელის ტანკები ღაზის სექტორში შევიდა

როგორც ისრაელის თავდაცვის არმიის პრესსამსახური იტყობინება, ამ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში პირველად, ისრაელის რამდენიმე ტანკმა ბეით-ლაჰინის რაიონში შეაღწია ასი მეტრის სიღრმეში „ვითარების შესწავლის მიზნით“. ამ ეტაპზე, აღნიშნეს სამხედროებმა, საქმე არ ეხება ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებას, მაგრამ გამორიცხული არ არის პალესტინის ამ ანკლავში დამატებითი ძალების შეყვანა.



სავარაუდოდ, ისრაელის მხარემ ასეთი ნაბიჯი გადადგა იმის გამო, რომ პალესტინელი ტერორისტები კვლავ განაგრძობენ ისრაელის ტერიტორიისთვის რაკეტების დაშენას.

16 მაისს კი ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა მოიწონა „ქასამის“ ტიპის რეაქტიული რაკეტების დაშენის ნაცვლად ისარელის მხრიდან მკაცრი საპასუხო გადადგმა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ისრაელის თავდაცვის მინისტრის ამირ პერეცის, საგარეო მინისტრის ციპი ლივნის, თავდაცვის არმიის გენერალური შტაბის უფროსის გაბი აშკენაზის და თავდაცვისა სამინისტროსა და არმიის სხვა მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებს შორის გამართულ კონსულტაციების შედეგების მიხედვით.

იმ დღეს პალესტინელმა მოთარეშეებმა ღაზის სექტორიდან ისრაელის მიმართულებით გაისროლეს 45 რეაქტიული ჭურვი, რის შედეგადაც რამდენიმე ათეული კაცი დაიჭრა. 17 მაისს კი მოთარაშეებმა განაახლეს ცეცხლის დაშენა სდეროთისა და დასავლეთ ნეგერის და სხვა დასახლებული პუნქტებისთვის. შუა დღისთვის ისრაელის ტერიტორიაზე ჩამოვარდა სულ ცოტა 10 რაკეტა. ქალაქ სდერნში მიმდინარეობს მოსახლეობის ნაწილობრივი ევაკუაცია. ყოველივე ამისთვის პასუხისმგებლობა იკისრეს პალესტინელთა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, „ისლამის ჯიხადმა“ და „ჰამასმა“.

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა:** ვიმყოფებოდი შრომისუუნარობის ფურცელზე, მაგრამ ბიულეტენი დაწესებულებას მისი დახურვიდან 3 თვის შემდეგ წარვუდგინე. მის ანაზღაურებაზე უარს მეუბნებიან, რამდენად სწორია ჩემისთანა ავადმყოფი ქალისთვის ბიულეტენის ანაზღაურებაზე უარის თქმა?

**მარიამ ბიბილაშვილი**

**პასუხი:** 2007 წლის 1 იანვრიდან მოქმედი — „დროებითი შრომისუუნერობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ შესაბამისად, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება არ გაიცემა დამსაქმებლისთვის (დაწესებულებისათვის) დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთის (საავადმყოფო ფურცლის) მისი დახურვიდან 3 თვის შემდეგ წარდგენის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, გვაპატიეთ, თუ მოკლებული ვართ კანონიერ შესაძლებლობას, დადებითად გიპასუხოთ თქვენთვის მნიშვნელოვან შეკითხვაზე.

* * *

**კითხვა:** აუცილებლობის გამო, დაწესებულებამ, სადაც ვმუშაობ, გასული წლსი შვებულება გადმომიტანა მიმდინარე წლისათვის. 6 თებერვლიდან გადავწყვიტე შვებულებით სარგებლობა, გავიფორმე კიდეც და საგზური ც ვიშოვე ბაკურიანში, მაგრამ მოულოდნელად ფეხი მოვიტეხე და, დასვენების ნაცვლად, დღემდე ლოგინში ვწევარ. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ იქნება ჩემი შვებულების საკითხი, მის დამთავრებამდე ალბათ საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა მომიწევს და ეს რაღა დასვენებაა?

**თამთა გაბისონია**



**პასუხი:** ბუნებრივია, უსიამოვნოა, როცა ნანატრი დასვენების ნაცვლად, საწოლში აღმოჩნდები, მაგრამ ღმერთმა მოგირჩინოთ თქვენი ტრამვირებული კიდური და დასვენებას კიდევ მოასწრებთ. კანონის თანახმად, ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის დროს დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება გაიცემა დროებითი შრომისუუნარობის მთელ პერიოდზე. ამ შემთხვევაში შვებულების დღეები გადაიწევს საავადმყოფო ფურცელში მითითებული დღეების რაოდენობით.

* * *

**კითხვა:** ვმუშაობ გამომუშავებაზე. ამჟამად ვიმყოფები შრომისუუნარობის ფურცელზე. ეკონომიკურად უკიდურესად მიჭირს. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი წესით მოხდება ჩემთვის შრომისუუნარობის გამო გასაცემი დახმარების ოდენობის გაანგარიშება?

**ვაჟა მუმლაძე**

**პასუხი:** გამომუშავებაზე დამოკიდებული შრომის ანაზღაურების შემთხვევაში, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს დროებითი შრომისუუნარობის დადგომამდე უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში დარიცხული შრომის ანაზღაურების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება.

* * *

**კითხვა:** როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მიმდინარე წლიდან ბიულეტენის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია დამსაქმებელი, მაგრამ არა ვართ გარკვეული, საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან, რამდენ დღეში უნდა მოხდეს მისი ანაზღაურება. იქნებ გაგვარკვიოთ ჩვენთვის საჭირბოროტო აღნიშნულ საკითხში?

**მ. მჭედლიშვილი**

**პასუხი:** პასუხი 2007 წლის 1 იანვრიდან დამსაქმებელი (დაწესებულება) ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ან აანაზღაუროს დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება, ან წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს დასაქმებულს (მოსამსახურეს) დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

* * *

**კითხვა:** ვარ 78 წლის, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი. ენით არ აიწერება, რაც მე წამება და წვალება გამოვიარე. ახლა ავადმყოფი და ნახევრად მწოლიარე ვარ. ვიღებ 50 ლარ პენსიას. ვცხოვრობ თბილისში, ვსარგებლობდი შეღავათებით კომუნალურ გადასახადებში. 1 მაისიდან გაზის შეღავათი გამიუქმეს, ახლა აღარც სხვებს მივრცელებენ. გთხოვთ, მაცნობოთ, რა თანხა მეკუთვნის სახელმწიფოსაგან გაუქმებული შეღავათების სანაცვლოდ-გადასახადების დასაფარავად?

**გენადი ბლუიშვილი**

**პასუხი:** 2007 წლის 11 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ. ბოდიშს გიხდით ასეთი პასუხისათვის, მაგრამ ვალდებული ვართ კანონიდან გამომდინარე, განგიმარტოთ, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები და მათი ოჯახების შრომისუუნარი წევრები, კომუნალური მომსახურების გადასახადების დასაფარავად, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად მიიღებენ მხოლოდ 7 ლარს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

# აქეთურ-იქეთური

„ქართული ფეხბურთი ნაციონალური მოძრაობის მიერ დათრგუნულ-დანგრეულია. ფედერაციის ხელმძღვანელებს კი არ ირჩევენ, არამედ ნაციონალური მოძრაობიდან ნიშნავენ“



ინფორმაცია

## დევნილთა დაბრუნება აფხაზურად

**სეპარატისტული** აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერის ნუგზარ აშუბას ინფორმაციით, აფხაზეთის „პარლამენტში“ კანონის — „დევნილთა და იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობის შესახებ“ განხილვა მხოლოდ მას შემდეგ შედგება, რაც აფხაზური პარლამენტი, პირველი მოსმენით მიღებულ კანონს — „1992-1993 წლებში საქართველოს მიერ დაწყებული ომის შედეგად ქვეყნიდან გასულ მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კიდევ ერთხელ განიხილავს.



— ტექსტის მიხედვით, „დევნილი“ შეიძლება ეწოდოს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც აფხაზეთი სამამულო ომის დროს (1992-1993 წ.წ.), ქართველების მიერ განხორციელებული ეთნიკური გენოციდის შედეგად დატოვეს.

მეორე პუნქტის მიხედვით, „ომის მსხვერპლად“ ითვლებიან აფხაზეთის ის მოქალაქეები, რომლებიც საოკუპაციო ჯარმა ქვეყნის ტერიტორიიდან იძულებით გაასახლა.

მესამე პუნქტის მიხედვით, „იძულებით გადაადგილებულებად“ ითვლებიან ის მოქალაქეები, რომლებმაც ომის დროს, აფხაზეთის ტერიტორია არ დატოვეს, მაგრამ ოკუპაციური ძალებისგან თავისუფალ რაიონში გადასახლდნენ, — განმარტავს აშუბა.

აღნიშნული დადგენილების მიხედვით, სამართლებრივი სტატუსი განესაზღვრებათ აფხაზეთის იმ მოქალაქეებსაც, რომლებმაც „აფხაზი ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღს მოჰკიდეს ხელი, სხვა და სხვა სამხედრო სახის დანაყოფები ჩამოაყალიბეს, ან საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში შევიდნენ“.

ამ მოქალაქეებმა, აფხაზური მხარის ინფორმაციით, „საქართველოს მიერ აფხაზეთის სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ომის მონაწილეების“ სტატუსი მიიღეს.

— მათ არავითარი უფლება არა აქვთ „დევნილებად“ იწოდებოდნენ. ეს ხალხი სამშობლოს მოღალატეები არიან და თითოეული მათგანი აფხაზეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამართლებრივ პასუხისმგებლობაში უნდა მიეცეს, — ამბობს აშუბა.

მისივე ინფორმაციით, რაც შეეხება ქართულ-აფხაზური ომის დროს აფხაზეთში მაცხოვრებელ საქართველოს მოქალაქეებს, ისინი „უკანონო მიგრანტები“ არიან და არავითარი სამოქალაქო უფლება აფხაზეთში მათ არ გააჩნიათ.

დადგენილებაში ასევე მითითებულია, რომ ის მოქალაქეები, რომლებმაც აფხაზეთი 1992-1993 წლებში დატოვეს და ამის შემდეგ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღეს, „დევნილებად“ ვერ ჩაითვლებიან. ისინი არიან „ემიგრანტები აფხაზეთიდან“.

იმ პირებს, რომლებსაც აფხაზეთის დატოვების შემდეგ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არ მიუღიათ აფხაზეთში დაბრუნების უფლება აქვთ.

## ჯუღელისეული ტრაგიკომედია

**საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ბესო ჯუღელი ეთნიკურ საკითხებთან დაკავშირებით მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ტრაგიკომედიას უწოდებს და შესაბამის განმარტებებს აკეთებს.**



როგორც ჯუღელმა გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გაზეთ „24 საათის“ ჟურნალისტმა ეკა კვესიტაძემ საკუთარ სტატიაში მიზანმიმართულად იცრუა.

მისი თქმით, ამ პროვოკაციის მიზანი ნაციონალური შუღლის გაღვივებაა, რისი წინააღმდეგიც იგი იყო და ყოველთვის იქნება.

დეპუტატის განმარტებით, პრესკონფერენციას დაგვიანებით მართავს, რადგან სურდა, მისი განცხადება ეკა კვესიტაძის სიცრუესთან დაკავშირებით დასაბუთებული ყოფილიყო.

მისივე თქმით, ჟურნალისტი ჯუღელს ადანაშაულებდა, რომ რადიო „უცნობის“ ეთერში მან სარეაბილიტაციო არეალში მოსაკრებლის დაწესების თაობაზე კანონპროექტს არაქართველი მოსახლეობისთვის განკუთვნილი უწოდა.

დეპუტატი ბესო ჯუღელი ეკა კვესიტაძის წინააღმდეგ სარჩელის სასამართლოში შეტანას არ აპირებს და ამ გადაწყვეტილების მიზეზად ამ საკითხის საბოლოოდ ამოწურვის სურვილს ასახელებს.

ამასთან, ჯუღელმა მოუწოდა მედიის წარმომადგენლებს, ეთნიკური საკითხების გაშუქებისას მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ.

გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ბესო ჯუღელი პარლამენტს ტოვებს, ჯუღელი მას არალოგიკურს უწოდებს და გაკვირვებას გამოხატავს.

ტელეკომპანია „იმედში“ წარმოთქმულ ფრაზაზე, რომ „მიკირტუმამ სულ სოლოლაკში ხომ არ უნდა იცხოვროს“, მან აღიარა, რომ პოლიტიკოსმა მსგავსი შეცდომა არ უნდა დაუშვას და დიდტირაჟიან გაზეთ „კვირის პალიტრის“ მეშვეობით, საზოგადოებას ბოდიში უკვე მოუხადა. მანვე დასძინა, რომ ბოდიშს მრავალჯერ არ იხდიან.

## კოკოითს ქართული საგუშაგოები აშინებს

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მზად არის მოლაპარაკებათა პროცესში ჩაერთოს, თუ ქართული მხარე კონფილქტის ზონაში საგუშაგოებს გააუქმებს.**

ამის შესახებ ცხინვალიდან დაბრუნებულმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ იური პოპოვმა განაცხადა.

ცხინვალიდან დაბრუნებული პოპოვი კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს მერაბ ანთაძეს შეხვდა.

როგორც ცნობილია, იური პოპოვი კომისიის ოსური მხარის თანათავმჯდომარეს ბორის ჩოჩიევს შეხვდა და კონფლიქტის ზონაში არსებულ მდგომარეობას გაეცნო.



ამასთან, პოპოვმა განაცხადა, რომ რუსეთი დიმიტრი სანაკოევის მთავრობის შერეულ საკონტროლო კომისიის მუშაობაში ჩართვის პირობებს ვერ ხედავს, რადგან სანაკოევი კონფლიქტის მხარეს არ წარმოადგენს.

## ოფიცერთა მომზადების საწყისი ეტაპი დასრულდა

**თავდაცვის ეროვნული აკადემიის უმცროს ოფიცერთა საბრძოლო მომზადების საწყისი კურსის პირველი ეტაპი გუშინ დასრულდა.**

54-მა ქვეითმა ოფიცერმა 5 კვირის განმავლობაში სამწყობრო მომზადება და საჯარო წესები საჩხერის სამთო სკოლაში გაიარა.

სასწავლო კურსის დასრულებასთან დაკავშირებით, ფიცის მიღების საზეიმო ცერემონიალი გუშინ საჩხერეში გაიმართა.

კურსანტებს სერტიფიკატები საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა ზაზა გოგავამ გადასცა.

## დაკითხეს მოწმის სტატუსით

**ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არქიტექტურის დეპარტამენტის უფროსი გრიგოლ კაკაურიძე სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით დაიკითხა.**

ამის შესახებ კაკაურიძის ადვოკატმა იასონ ბესელიამ განაცხადა. ამასთან, ადვოკატი 11-საათიანი დაკითხვის დეტალებს არ აკონკრეტებს.

— მე დაკითხვას არ დავსწრებივარ, ე.წ. მოდულის შენობაში არ შემიშვეს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა არც ის იცის, რომელმა უწყებამ დაკითხა. სავარაუდოდ, ეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტი იყო, — აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე თქმით, კაკაურიძე მოწმის სტატუსით დაკითხეს. „ვინაიდან კაკაურიძის ეჭვმიტანილად ან ბრალდებულად ცნობის დადგენილება არ მინახავს, ვერ ვიტყვი, რომ მას მოწმის გარდა სხვა სტატუსი აქვს“, — აღნიშნა ბესელიამ, რომელიც კაკაურიძის დაკითხვას მერიის მაღალჩინოსნების დაკავებას არ უკავშირებს.

ცნობილია, რომ ეს დაკავება ერთ-ერთი სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელობისგან ქრთამის აღებას უკავშირდება.

დღეს – ერთი, ხვალ – მეორე

## გაბაშვილმა ამჯერად ახალკაცს მიულოცა



**საქართველოს** კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ნოდარ ახალკაცს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

გაბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მან გამარჯვება 13 მაისს არჩეულ პრეზიდენტს გიორგი ნემსაძესაც მიულოცა.

— კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირი ჩარევა ფეხბურთის შიდა საქმეებში გამორიცხულია, — განაცხადა გაბაშვილმა.

კითხვაზე, თუ რატომ დაუჭირა მხარი ნოდარ ახალკაცს დელეგატების იმ ნაწილმა, რომელმაც 13 მაისს გიორგი ნემსაძეს მისცა ხმა, გაბაშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელ არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ ორი კანდიდატი, რომელთა შ[illegible]საც დელეგატებმა არჩევანი გააკეთეს.

ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ აღნიშნა, რომ ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობის 4 წლის ვადაში ქართულ ფეხბურთში რევოლუციური ცვლილებები უნდა მოხდეს.

ფედერაციის ტექნიკური ცენტრი „ბასა“, სადაც გუშინ არჩევნები გაიმართა, უკომენტაროდ დატოვა სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა.

## ანადგურებენ ქართულ ფეხბურთს

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წევრები ნაციონალურ მოძრაობას ქართული ფეხბურთის განადგურებაში ადანაშაულებენ.**

პარტიის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტების გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში არსებულ მდგომარეობაზე ილაპარაკა და ნაციონალური მოძრაობა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის არჩევნების „გაყალბება-აურზაურში“ დაადანაშაულა.




— „ქართული ფეხბურთი ნაციონალური მოძრაობის მიერ დათრგუნულ-დანგრეულია. ფედერაციის ხელმძღვანელებს კი არ ირჩევენ, არამედ ნაციონალური მოძრაობიდან ნიშნავენ“, — აღნიშნა შატბერაშვილმა.

პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტების“ გენერალურმა მდივანმა იმ პოლიტიკოსების სია წარმოადგინდა, რომლებიც, მისივე თქმით, პოლიტიკაში მოღვაწეობასა და მაღალ თანამდებობებთან ერთად, სპორტის სხვადასხვა ფედერაციასაც ხელმძღვანელობენ.

შატბერაშვილის ცნობით, კახეთის გუბერნატორი გია ნაცვლიშვილი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია, ხოლო კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი მერაბ ანთაძე — რაგბის ფედერაციას ხელმძღვანელობს.

შატბერაშვილი იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც სპორტულ ფედერაციებს ხელმძღვანელობენ, ურჩევს, „თავიანთ ძირითად საქმიანობას მიხედონ, ვიდრე ფედერაციებს უხელმძღვანელონ“.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

# სპორტი

● „შინდისფერ-ჯვაროსანთა“ ყოფილი კაპიტანი მეფე ლირივით მიტოვებული აღმოჩნდებოდა. თუ გუნდის დებიუტანტებს სადღაც შეიძლება გაუგო კაცმა (გამართლება არც მათ დუმილს მოეძებნება), კალაძისა და ხიზანიშვილის ლუღლუღი, მართლაც რომ, ამაზრზენი გახლდათ. კიდევ კარგი, რომ უცხოეთში განცხრომით მცხოვრებ ძველ გვარდიას (ყაველაშვილი, ქეცბაია) მაინც შეუნარჩუნებია მწვადისა და შამფურის დაწვის უნარი




ეროვნული ბიბლიოთეკა



## ◎ ორბიტაზე

### აკი, წინსვლა გვაქვსო?!

მართალია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის „დაჩქარებული“ განმეორებითი არჩევნების წინ ტელევიზიის საშუალებით უკვე შევიტყვეთ საქართველოს ნაკრების წინ კი არა, უკან „თვალსაჩინო“ ნახტომის შესახებ მსოფლიო რეიტინგში ის, რომ 85-ე ადგილიდან 92-ეზე „ვისკუპეთ“, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ, გაგვეცნო, თუ საერთოდ რაა ძველი და ახალი პლანეტის საფეხბურთო სამყაროში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალი რანგ-განრიგის მიხედვით, არსებითი ცვლილება არ მომხდარა საფეხბურთო ელიტაში – თუ არ ჩავთვლით, რომ წინ ერთი ნაბიჯი (მესამედან მეორეზე) გადადგა ბრაზილიურმა ნაკრებმა, რითაც არგენტინას დაახევინა უკან. პირველი ათეული კი ასეა განლაგებული 1. იტალია, 2. ბრაზილია, 3. არგენტინა, 4. საფრანგეთი, 5. გერმანია, 6. ჰოლანდია, 7. პორტუგალია. 8. ინგლისი. 9. ესპანეთი. 10. ჩეხეთი.

შეიძლება ითქვას, რუსეთმაც იწვნია ერთი ნაბიჯით უკანსვლა.

სამაგიეროდ, დიდი პროგრესია აზერბაიჯანულ და ყაზახურ ფეხბურთში. პირველმა 20-საფეხურიანი ნახტომი გააკეთა წინ, მეორემ კი – 27-საფეხურიანი. ზოგ-ზოგს, შესაძლოა, სასაცილოდაც არ ეყოს, რა წინსვლაა, თუ მსოფლიო რეიტინგში პირველი 103-ე ადგილზეა, მეორე კი – 116-ზეო.

დიახ, ბატონებო, ადრე ყველამ იცოდა, რომ ყაზახური და თუნდაც აზერბაიჯანული ფეხბურთი ქართულთან ვერ მოვიდოდა (გვაპატიონ „ნეფტჩის“ ადრინდელმა ქომაგებმა). მაგრამ ახლა ხომ ცხადია, რომ იქაც მიხედეს ფეხბურთს, ახლა ისინი ჩვენს თანატოლად მონაწილეობენ მსოფლიო ფეხბურთის ქარტეხილებში და ბევრ რამეში თუ არ გვჯობნიან, არც მაინც და მაინც ჩამოგვრჩებიან. (ამ რეიტინგს თავი რომ დავანებოთ და ცოცხალი მაგალითებით ვიმსჯელოთ).

### საოლიმპიადო რბოლა — 2016

თუმცა ჯერ არ „გადაუგრიალებიათ“ პეკინის (2008წ.) და ლონდონის (2012წ.) ზაფხულის ოლიმპიადებს, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე დაიწყო 2016 წლის ოლიმპიადისთვის სამზადისი. თუმცა უკვე ცნობილია ამ შორეულ მსოფლიო სპორტული დღესასწაულის მასპინძლობის მსურველი ქალაქები – ბაქო, მადრიდი, პრაღა, რომი, რიო-დე-ჟანეირო, ტოკიო და ჩიკაგო, მაგრამ იმ დიდ საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალ 203 ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს წინადადება მიეცა, 2007 წლსი 13 სექტემბრამდე აცნობოს სოკ-ს, კიდევ რომელიმე ქალაქი ხომ არ აცხადებს ოლიმპიადა – 2016-ის მასპინძლობაზე პრეტენზიას. 2008 წლის 14 იანვრამდე ეს სურვილი უნდა დადასტურდეს ოფიციალური განაცხადითა და საგარანტიო წერილით.

2008 წლის იანვრიდან ივნისამდე სოკ-ის შემფასებული კომისია ჩავა კანდიდატ – ქალაქებში. და მოამზადებს სათანადო მოხსენებით ბარათს.

2009 წლის 2 ოქტომბერს კი სოკის 121-ე სესია კოპენჰაგენში განსაზღვრავს ოლიმპიადა – 2016-ის დედაქალაქს.



## ◎ ქამელეონთა დოლი

# დაცემა ამაღლების დღეს

გუშინ სრულიად საქართველომ ამაღლების ბრწყინვალე რელიგიური დღესასწაული აღნიშნა. სხვა საკითხია, ვინ – როგორ. სამწუხაროდ, ზოგ-ზოგიერთებს საამისოდ ქამელეონობა დასჭირდათ.



დანიშნული

სფფ XIII რიგგარეშე ყრილობის ხმის უფლებით აღჭურვილ დელეგატთა უმრავლესობას ვგულისხმობ, წინა ფორუმიდან გასულ ოთხ დღეში რომ მოასწრო ფერისცვალება და „ცეკას“ ძალისხმევით დანიშნული ახალი პრეზიდენტის კანდიდატურას ისეთივე ლაღად დაუჭირა მხარი, როგორც მისი ღირსეული წინამორბედისას.



საბედნიეროდ, საფეხბურთო ოჯახშიც აღმოჩნდნენ საკუთარი პრინციპების ერთგული კაცები, ვინც ყველანაირ ზეწოლას გაუძლეს და ფედერაციის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრ „ბასაში“ დადგმულ სპექტაკლზე არ გამოცხადდნენ. ესენი არიან გოჩა ჯამარაული, ოთარ კორღალიძე, მერაბ მეგრელაძე, გიორგი დევდარიანი და ივანე ხორგუაშვილი. მადლიერებას იმსახურებს პაატა ჩხეიძეც, რომელმაც, მართალია, რეგისტრაცია გაიარა, მაგრამ თავისი 13 მაისის არჩევანის შეცვლას უთანასწორო ბრძოლის ველიდან გაცლა ამჯობინა. რაც შეეხება კიდევ ერთ „მეამბოხე“ მალხაზ კაკაურიძეს, მან ისე შეავსო ბიულეტენი, რომ ხმის დამთვლელმა კომისიამ (მას ამჯერადაც დიმიტრი ბოკერია თავკაცობდა) ბათილად ცნო. დაგვეთანხმებით, ესეც პოზიციის დაფიქსირების თავისებური ფორმაა.

ჰო, მართლა, კინაღამ გია ფირცხალავა დაგვავიწყდა, რომელიც გიორგი ნემსაძის წინასაარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა და, ბუნებრივია, მაშინვე დატოვა დარბაზი, როგორც კი ანალოგიური ნაბიჯი პროტესტის ნიშნად მამუკა კვარაცხელიამ გადადგა. „კვარამ“ უეფას დამკვირვებელ ბრუნო ვოლფისბერგის წინაშე საჯაროდ განაცხადა, რომ აღნიშნულ შოუში მონაწილეობას არ აპირებდა და ისედაც უკონკურენტო ნოდარ ახალკაცს დაუთმო ბურთი და მოედანი, თუმცა ისიც დაუმატა, ჩემს კანდიდატურას არ ვხსნიო. მიუხედავად ამისა, უეფას მედია-ოფიცერი გუშინაც მშრალზე დატოვეს. კურიოზია, მაგრამ ფაქტია – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფედერაციის დელეგატმა პაატა კიკვაძემ ამჯერად სიმპათია ხელისუფლების რჩეულს დაუდასტურა, არადა კვარაცხელიას კანდიდატურა წინა კვირაში სწორედ დასახელებულმა სუბიექტმა წარადგინა სფფ-ში. ასეთი უსაზღვრო გახლავთ თანამედროვე ქართული მარაზმის მასშტაბები.



არჩეული

რადგან მარაზმი ვახსენე, ორიოდე „ტკბილ“ სიტყვას ეროვნული ნაკრების ამჟამინდელ წევრებსაც შევაწევ. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ „შინდისფერ-ჯვაროსანთა“ ყოფილი კაპიტანი მეფე ლირივით მიტოვებული აღმოჩნდებოდა. თუ გუნდის დებიუტანტებს სადღაც შეიძლება გაუგო კაცმა (გამართლება არც მათ დუმილს მოეძებნება), კალაძისა და ხიზანიშვილის ლუღლუღი, მართლაც რომ, ამაზრზენი გახლდათ. კიდევ კარგი, რომ უცხოეთში განცხრომით მცხოვრებ ძველ გვარდიას (ყაველაშვილი, ქეცბაია) მაინც შეუნარჩუნებია მწვადისა და შამფურის დაწვის უნარი.

**გია პლატონიშვილი**

**სფფ XIII ყრილობის შედეგები**

**პრეზიდენტი** – *ნოდარ ახალკაცი* (25 ხმა).

**აღმასკომი** – *ნოდარ ახალკაცი (თავმჯდომარე), რევაზ არველაძე, ალექსანდრე ახვლედიანი, გიორგი გაბაშვილი, მამუკა ვარდოსანიძე, ალექსანდრე თოფურია, დიმიტრი რამიშვილი, დავით სილაგაძე, კობა სუბელიანი, თენგიზ სულაქველიძე, გიორგი ტყავაძე, ზურაბ ფოცხვერია, გოგი ქავთარაძე, გრიგოლ ცაავა, ზაზა ციციშვილი.*

## ◎ მძლეოსნობა

**ახალგაზრდა მძლეოსანთა ტრადიციულ ტურნირში, რომელსაც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა, საქართველოს 17 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენელი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებისთვის სხვადასხვა სახეობაში 250-მა სპორტსმენმა მოსინჯა ძალები. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:**

**გოგონები:** სოფიო გაფრინდაშვილი (თბილისი, 100 მ.), **მაია გოგოლაძე** (თბილისი, 200 მ., 100 მ. თარჯრბენი და სიგრძეზე ხტომა), **გაიანე უსტიანი** (ახალციხე, 400 და 800 მ.), **ნათია გელაშვილი** (ბორჯომი, 1500 და 3000 მ.), **ირინა ლოზოვაია** (გორი, 400 მ. თარჯრბენი), **ევგენია ჩერნოვიკოვა** (ფოთი, სამხტომი), **სალომე რიგიშვილი** (თიანეთი, ბადრო და ბირთვი), **თეა ფაჩულია** (ფოთი, შუბი).

**ჭაბუკები:** სანდრო გაბუნია (თბილისი, 100 მ.), **ენდრიკ ზილბერშტეინი** (ახალციხე, 200 და 400 მ.), **ლუდვიგ ზილბერშტეინი** (ახალციხე, 800 მ.), **გიგლა ზილბერშტეინი** (ახალციხე, 1500 მ.), **ანდრიკ მატინიანი** (ახალციხე, 3000 მ.), **ბესო ხუსკივაძე** (თბილისი, 110 მ. თარჯრბენი), **დავით მორჩიაშვილი** (ქუთაისი, 400 მ. თარჯრბენი), **ზურაბ გოგოჭური** (გარდაბანი, სიმაღლეზე ხტომა), **ვასილ ელანიძე** (ახმეტა, სიგრძეზე ხტომა და შუბის ტყორცნა), **ვახტანგ ჯინჭველაშვილი** (ქუთაისი, სამხტომი), **გიორგი ბედოშვილი** (თბილისი, ბირთვი), **გიორგი ღულელაური** (ახმეტა, ბადრო).

ამ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ 18-19 მაისს, კალენდრით, თბილისის პირველობა უნდა გამართულიყო, მაგრამ, დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით (არ დააფინანსა), ასპარეზობა ჩაიშალა. ვფიქრობთ, რომ ქართული სპორტისთვის ეს ღალატის ტოლფასია. უფასო ვარჯიში – არა, შეჯიბრება – არა; ფაქტობრივად, მოზარდებს ხელს ვკრავთ და ქუჩისკენ, შავბნელ საქმეებისკენ ვუბიძგებთ. საინტერესოა, ყოველივე ამაზე რატომ არა აქვს რეაქცია ჩვენს ემოციურ პრეზიდენტს?!

**რატომ დუმს ჩვენი ემოციური პრეზიდენტი?!**

* * *

**აქვე ერთი სასიხარულო ამბავიც გვინდა გაუწყოთ: ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე მძლეოსანმა მარიამ ქევხიშვილმა, რომელიც ფლორიდის შტატის უნივერსიტეტში სწავლობს, აშშ-ს სტუდენტ სპორტსმენთა ღია პირველობაზე ბირთვი 17.05 მეტრზე კრა და ოქროს მედალი მოიპოვა.**

**ვაჟა დანელია**

## ◎ უეფას თასი

### „კორიდა“ მეკარემ მოიგო



„**სევილიამ**“ გაიმეორა თანამემამულეთა მადრიდის „რეალის“ 1985-86 წლების მიღწევა და ზედიზედ მეორედ დაეუფლა უეფას თასს. ეს გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ მოხდა, სადაც ხუანდე რამოსის გუნდმა ესპანურ ფინალში პენალტების სერიაში მოუგო „ესპანიოლს“ – 3:1 (ძირითადი დრო – 2:2).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ანდალუზიელები „სამეფო თასის“ ფინალშიც არიან გასულნი და პრიმერადივიზიონში გამარჯვების შანსსაც ინარჩუნებენ, სადაც მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებიან „რეალსა“ და „ბარსელონას“, წლევანდელი სეზონი მათი აღზევების პერიოდად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

გადამწყვეტი შეხვედრის გმირი სევილიელთა მეკარე ანდრეს პალოპი გახდა, რომელმაც მატჩისშემდგომ ლატარიაში სამი დარტყმა მოიგერია. შეგახსენებთ, რომ მანვე პარტნიორები მეოთხედფინალშიც იხსნა, როცა დონეცკში „შახტართან“ თამაშის 94-ე წუთზე შეტევაში ჩაერთო და ზუსტი თავურით ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

აღსანიშნავია, რომ კატალონიურმა კლუბმა ტურნირი დაუმარცხებლად დაასრულა – ერნესტო ვალვერდეს შეგირდებმა თერთმეტი შეხვედრა მოიგეს და ოთხი ფრედ დაამთავრეს. სხვათა შორის, „ესპანიოლის“ ღირსებას იცავდა გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი ვალტერ პანდიანი. როგორც ხედავთ, საბოლოო წარმატების მოსაპოვებლად ეს არგუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა.

დავძენთ, რომ 1988 წლის მსგავსად, ბარსელონელებმა მეორედ დათმეს დასკვნითი რაუნდი (მაშინაც პენალტების სერიაში „ლევერკუზენთან“ – 3:0, 0:3).




## ◎ ფრენბურთი

### დუშელებს — „ბრინჯაო“

**დასასრულს უახლოვდება ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატი.** მესამე ადგილისთვის დუშეთის ნაკრები და ოლიმპიური ცენტრის მეორე გუნდი შეხვდნენ ერთმანეთს. დუშელებმა (სოფიკო ბეწუაშვილი, მაია ყორიაული, ნატო შუშიაშვილი, ნინო მეტრეველი, ირმა მეტრეველი, ირინა ალიბეგაშვილი, მანანა მაგიაშვილი) ფლეი ოფში 2:1 (3:0, 1:3, 3:0) სძლიეს მეტოქეს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

● მხატვარ ქალს, რომელიც ხან ძლიერია და ხან სუსტი, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი, ბევრი ნახატი ჯერ არ გამოუფენია. ისინი თავის დროს ელოდებიან. ქეთევან დავლიანიძე გზის დასაწყისშია



◎ ინფორმაცია

## ახლა ჩვენ ვუპატრონოთ ლომისს

**საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ლომისის წმინდა გიორგის სალოცავის მძიმე მდგომარეობის შესახებ განცხადებას ავრცელებს. საპატრიარქო მიმართავს ხელისუფლებას და მოსახლეობას გულთან ახლოს მიიტანონ ეს პრობლემა და გასაჭირში მყოფებს დახმარების ხელი გაუწოდონ.**

— უკანასკნელ წლებში ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს მეწყერმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა. მთა იშლება და მეწყერს ველარაფერი შეაჩერებს. გაზაფხულის პერიოდი განსაკუთრებით საშიშია, თოვლი დნება და ღვარცოფი წარმოიშვება. გამდნარი თოვლი მთის კალთებზე შლად ქანებს რეცხს და ტალახის ნიაღვარს ტაძრისა და სოფლის მიმართულებით, ერთიანად მოაქვს ერთმანეთში აზელილი ხე, ქვა, მიწა და ბალახი. შარშანაც მეწყერმა ტაძარს და სოფელს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ტაძარში ღვარცოფი შევარდა და ორი მეტრის სიმაღლეზე ყველაფერი ტალახით დაფარა. შარშანდელ სტიქიას ტაძარი გადაურჩა. წელს კვლავ იგივე საშიშროების წინაშე დავდგნენ, ამიტომ ტაძრიდან ხატები გამოაბრძანეს და დროებით გადაინახეს, — ნათქვამია განცხადებაში.

საპატრიარქო მიიჩნევს, რომ ამჟამად, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და ლომისა განახლდება, თუ მას მოვარდნილი ღვარცოფი არ დაფარავს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ადამიანი დროში

# ჭარმაგი სიჭაბუკე


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ცნობილ ქართველ მწერალს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბონდო არველაძეს ორმხრივად საიუბილეო დღეები უდგას — დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი.**

მისი ლიტერატურული დებიუტი 1957 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" გამოაქვეყნა პირველი წერილები. მას შემდეგ ხუთი ათეული წლის მანძილზე უაღრესად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა. მისი ნაშრომები სისტემატურად ქვეყნდება ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის წიგნებად.

ფართო საზოგადოებრიობა ბატონ ბონდოს იცნობს, როგორც ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების სერიოზულ, მასშტაბურ მკვლევარს, რომელსაც ღრმა კვალი აქვს გავლებული ორი მძიმე ხალხის კიდევ უფრო დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. არაერთი სტატიის ავტორია სომხური მწერლობის ისეთ კლასიკოსებზე, როგორნიც იყვნენ საიათნოვა, ავეტიკ ისააკიანი, ხაჩატურ აბოვიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი, ვაჰან ტერიანი, ელიშე ჩარენცი და სხვები.

არც ის არის შემთხვევითი, რომ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა თითქმის მთლიანად სომხური მწერლობის შესწავლას შეალია: ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს მიეძღვნა მისი როგორც საკანდიდატო — „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან (ავეტიკ ისააკიანი, ვაჰან ტერიანი და ქართული ლიტერატურა, 1966 წ.), ისე სადოქტორო — „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა XIX-XX ს.ს." (ხაჩატურ აბოვიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი და ქართული საზოგადოებრიობა. 1980 წ.) დისერტაციები. მკითხველის ყურადღება მიიპყრო მისმა წიგნებმა „გაბრიელ სუნდუკიანი და საქართველო", „ელიშე ჩარენცი და საქართველო", „ილია ჭავჭავაძე" (სომხურ ენაზე), „საიათნოვა", „ლეონ მელიქსეთბეგი: ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა" და სხვ.

ამავე დროს, ბატონი ბონდო, პრინციპული და პირუთვნელი მკვლევარი, რა თქმა უნდა, გულგრილი ვერ დარჩებოდა ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ზოგიერთი ვაიმეცნიერის იმ მიზანმიმართული ინსინუაციების, პროვოკაციებისა და ცილისწამებების მიმართ, რაც ნამდვილად ეწინააღმდეგება საღ აზრს, ისტორიულ ჭეშმარიტებებს და მხოლოდ ჩვენი საერთო მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. სწორედ ამ მტკივნეულ პრობლემატიკას ეძღვნება მისი ისტორიულ-პუბლიცისტური წიგნები „ქვანი კვლავ ღაღადებენ", „როცა უდავო სადავო ხდება", „სომხური" თუ ქართული ეკლესიები საქართველოში", „ქართული ეკლესიების მიტაცება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება", „დაშნაკებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ", „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში" (თ. მიბჩუანთან ერთად). რაც მთავარია, ყოველივე ამაზე წერს დიდი გულისტკივილით და იმ რწმენით, რომ ორი მოძმე ხალხის საუკუნეობრივ მეგობრობას მსგავსი უკადრისი საქციელი ვერარას დააკლებს.

მის კალამს ეკუთვნის უაღრესად საინტერესო წიგნები „წამება მიხეილ ჯავახიშვილისა" და „იოსებ გრიშაშვილი", წერილები ლევან გოთუას, გიორგი შატბერაშვილის, გენო კალანდიას შემოქმედებაზე.

ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი წლების მანძილზე მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში წამყვან მეცნიერ-მუშაკად და ხელშესახები წვლილი შეჰქონდა ინსტიტუტის წარმატებებში.

გულითადად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს დაულალავ თანამოკალმეს, ჭეშმარიტების დადგენისათვის თავდადებულად მებრძოლს, რაინდული სულის მწერალსა და მეცნიერს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას ვუსურვებთ.

**„საქართველოს რესპუბლიკა"**

◎ გამოფენა

# ჩუმი სევდა, შინაგანი პოეტურობა



**ის ახალგაზრდა მხატვარია — ქეთევან დავლიანიძე. მის ნამუშევრებში დიდი გემოვნება და საოცარი კულტურა იგრძნობა. ყოველი ხაზი ფაქიზია, დახვეწილი და მგრძნობიარე, ფერები თავშეკავებული. ეს ყველაფერი შინაგანი ბუნებიდან მოდის. თავად არის ნაზი და სათუთი. პროფესიონალები მისი ნამუშევრების ნახვის შემდეგ ყოველთვის აღნიშნავენ, რომ ქეთევანი ნიჭიერი და საინტერესო მხატვარია თავისი ხედვით და შემოქმედებითი ალმაფრენით.**

ბაბუა რომან დავლიანიძე მოქანდაკე იყო, მამიდა ნინო კერამიკოსია, მშობლები ბიოლოგები არიან. კავსაძის ქუჩა №4-ში ნომერში გაიზარდა, მხატვრების სახლში. ბავშვობიდან ხატავდა, რაც მისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ეზოში ყველა სახელოსნოს კარი მისთვის ღია იყო. ყარამან ქუთათელაძე ხშირად ეპატიჟებოდა — მოდი და აქ ხატეო.

**ქეთევანი:** მხატვრობა ჩემი არჩევანიც არის და ხვედრიც. აკადემიაში კინოსამხატვრო ფაკულტეტზე დიმიტრი თაყაიშვილის ჯგუფში ვსწავლობდი. ის საინტერესო ადამიანი იყო და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. რთულ დროს მომიწია სწავლა, კინოსთან თითქმის არ მქონდა შეხება. მხოლოდ ერთხელ მოვხვდი გადაღებებზე. ლევან თუთბერიძე „წასრულის აჩრდილებს" იღებდა და ჩემმა ახლობელმა წამიყვანა. მაშინ მივხვდი, რა რთული ყოფილა კინომხატვრობა, მით უმეტეს ქალისთვის. მინდოდა დატვირთული ყოფილიყო ჩემი სწავლის პერიოდი, ამიტომ გრაფიკის ფაკულტეტზე გადავედი. დინარა ნოდია და ლალი ზამბახიძე იყვნენ ჩემი პედაგოგები. სამხატვრო აკადემია 1999 წელს დავამთავრე. შემდეგი ეტაპიც საინტერესო იყო. ტელევიზიაში, მეცხრე არხზე მულტიპლიკატორ დათო სიხარულიძესთან ვმუშაობდი.

„კაფე", „გაზაფხული", „არია", „პიანისტი", „ლოთი ქალი", „წისქვილი", „ზაფხული"... სუფთა და გააზრებული ნამუშევრებია. არაფერი ზედმეტი, არც დაკლებული. ყველგან სინაზე, შინაგანი პოეტურობა და ჩუმი სევდა. მის ნახატებში კინომხატვრის თვალი იგრძნობა. ზოგან კლასიკური მხატვრობის ზეგავლენა მოჩანს, ამას გვერდს ვერავინ აუვლის, თუმცა ახალგაზრდა მხატვრის ნააზრევიც გამოკვეთილია. ხშირად ხატავს კომპოზიციებს მუსიკალურ თემაზე. მუსიკაც ბავშვობიდან შეიყვარა. გრაფიკოსმა თემურ ჩირინაშვილმა, რომელიც მელომანი იყო, ხატვასთან ერთად მუსიკასაც აზიარა. ქეთევანი მის ფირფიტებს თითქმის ყოველდღე უსმენდა.

**ქეთევანი:** როცა ხატვა გინდა, შეიძლება ყველანაირი ხერხით დახატო. უამრავი ტექნიკა არსებობს. რაც უფრო მრავალფეროვანია მასალა, მით უფრო საინტერესოა მუშაობა. სტუდენტობისას კატეგორიული ვიყავი. სერიოზულ ნამუშევარზე მიფიქრია, რა უნდა ამის დახატვასმეთქი? გავიდა დრო და იგივე ნახატს რომ შევხედე, მივხვდი რა დიდი შრომა ყოფილა ჩადებული. ახლა პატარა ბავშვებს ვასწავლი ხატვას. ისინი ისეთ ასაკში არიან, ყველაფერი რომ მოსწონთ და აღფრთოვანებას არ ფარავენ. პედაგოგობა ურთულესია, მაგრამ ისე შემიყვარდნენ ეს ბავშვები, რომ თავს ვერ დავანებებ. ხანდახან თავადაც მოწაფე ვარ, მეც ვსწავლობ ბავშვებისაგან რაღაცას.



გალერეა „ჰობმა" ამას წინათ ქეთევან დავლიანიძის პირველ პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა. იმდენად მრავალფეროვანი ნამუშევრები ჰქონდა, ბევრს გაუკვირდა კიდეც. აქ იყო შერეული ტექნიკა, ზეთი, აპლიკაციები, ტიპოგრაფიული საღებავით შესრულებული სურათები, ოფორტი, ლითოგრაფია. გამოფენის გახსნის დღეს ცოტა შეშინდა, უნებურ ტირილსაც უნდა მორეოდა. 2 წლის წინათ ტრაგიკულად გარდაცვლილი ძმის გახსენება მისთვის ძალზედ მტკივნეულია.

**ქეთევანი:** გამოფენების მოწყობა ადრე ძალიან ჭირდა. ახლა უფრო ადვილია. მე ვიცნობდი მხატვრებს, არც ერთი პერსონალური გამოფენა რომ არ ჰქონიათ მთელი ცხოვრების მანძილზე. მხატვრისთვის დიდი სკოლაა ყოველი გამოფენა. საგამოფენო დარბაზში ნათლად ჩანს თითოეული ნამუშევრის ნაკლიც და ღირსებაც. ახალ ეტაპს ვერ დაიწყებ, თუ ძველი არ „ჩააბარე". არის პერიოდები, როცა საერთოდ არ ხატავ, მაგრამ ამ დროს ყველაფერს აკვირდები. სხვა თვალით აფასებ შენს თავს. ჩვეულებრივად ცხოვრობ... დილით ილვიძებ, შემდეგ მთელი დღე ემოციები და ფიქრები მოგყვება. მოდის ღამე და ზოგჯერ სიზმარშიც გრძელდება ძიება. ე.ი. მთელი ცხოვრება მუშაობის პროცესია. ხანდახან ისეთ ძალას ვგრძნობ, რომ ზუსტად ვიცი, რას და როგორ გავაკეთებ.

მხატვარ ქალს, რომელიც ხან ძლიერია და ხან სუსტი, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი, ბევრი ნახატი ჯერ არ გამოუფენია. ისინი თავის დროს ელოდებიან. ქეთევან დავლიანიძე გზის დასაწყისშია. წინ კიდევ მრავალი გამოფენა ელის, მათ შორის იქნება პერსონალურებიც, რომლებსაც კვლავ თავისი ძმის ხსოვნას მიუძღვნის.

**ნანული ზოტიკიშვილი**

**სურათებზე:** ქეთევან დავლიანიძე; გამოფენის ექსპონატი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცა

# სასკოლო გეოგრაფიის კარგი სახელმძღვანელო

**გამომცემლობა „ინტელექტმა“ დასტამბა სკოლის სახელმძღვანელო, — „გეოგრაფიის შესავალი და გეოგრაფიული კვლევა“, რომლის ავტორები არიან ზ. ტატაშიძე, ზ. სეფერთელაძე, გ. მარგველანი, ლ. კვერენჩხილაძე და ზ. ლაოშვილი.**

თავისი სტრუქტურითა და შინაარსით სახელმძღვანელო სრულიად ახლებურადაა გააზრებული და მთლიანად უპასუხებს სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს. იგი რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების X კლასელთათვის. მასში შერჩეულია ის აქტუალური საკითხები, რომლებიც მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესატყვისია და გეოგრაფიის განვითარების ძირითად ტენდენციებს ასახავს.



სახელმძღვანელოს მიზანია, გააცნოს მოსწავლეს გეოგრაფიული მეცნიერების საფუძვლები და კვლევის მეთოდები, ჩამოუყალიბოს მას დედამიწის, როგორც ადამიანთა პლანეტის შესახებ სისტემური და სოციალურად ორიენტირებული შეხედულებები, გააცნოს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობით წარმოქმნილი პრობლემები. სასკოლო კურსი მოიცავს 8 თავსა და 33 გაკვეთილს, მისი მთავარი მეთოდური ფუნქციებია: 1. მოსწავლეს მიაწოდოს უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე და გამოკვლევებზე დაფუძნებული ცოდნა გეოგრაფიის შესავალსა და გეოგრაფიულ კვლევაში; 2. ჩამოუყალიბოს მოსწავლეს გეოგრაფიული აზროვნება და ბუნებრივი გარემოს დამოუკიდებლად კვლევის უნარ-ჩვევები.

გეოგრაფიის ახალი სახელმძღვანელო „გეოგრაფიის შესავალი და გეოგრაფიული კვლევა“ მეთოდურად კარგად არის შედგენილი, იგი, ასაკობრივი შესაძლებლობების შესაბამისად, მოსწავლეებში ხელს შეუწყობს გეოგრაფიული ინტერპრეტაციის, გეოგრაფიული კვლევის, სივრცეში ორიენტაციის, აგრეთვე წყაროებზე, რუკებზე, სურათებზე, ილუსტრაციებზე, ცხრილებსა და დიაგრამებზე მუშაობის უნარჩვევების ჩამოყალიბებას.

სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი კომპონენტია სამუშაო ნაწილი ანუ კითხვები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს გეოგრაფიული კვლევის უნარ-ჩვევებს და დააკმაყოფილებს მათ ცნობისმოყვარეობას. ზოგჯერ ვხვდებით ისეთ შეკითხვებსაც, რომლის მოძიება ძირითად ტექსტში არ ხერხდება და საჭიროა მოსწავლემ დამატებითი წყარო მოიძიოს და საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით გასცეს პასუხი, რაც მას ინდივიდუალური მუშაობის გამოცდილების შეძენაში დაეხმარება. სახელმძღვანელოს ახლავს მასწავლებლის წიგნი, რომელშიც საკითხები უფრო ვრცლად არის გაშუქებული და რაც მთავარია მასში მოცემულია გაკვეთილების დაგეგმვა, საუბარია სწავლების ინტერაქტიულ მეთოდზე და სხვ. სკოლის სახელმძღვანელო და მასწავლებლის წიგნი მთლიანობაში ავსებენ ერთმანეთს.

ჩვენი ღრმა რწმენით ისინი დიდად წაადგება, როგორც მოსწავლეებს, ასევე პედაგოგებს.

**შოთა კაპანაძე**

ელამი სარკე

**რა ვქნა აღარ ვიცი, ამ ბოლო დროს შიშით გუბაზთან ველარ შევსულვარ. დამინახავს თუ არა, მაშინვე სათვალეზე მეძგერება:**

— მოიტა, მათხოვე რა, — ყელს მიწევს, — სულ ერთი წუთით.

— აპა-პა-პა, — ვშლი ხელებს, — არ გამაგონო!

— რა ბზიკი გეცა? — გაკვირვებულია.

— მორჩა, დასაკარგი სათვალე აღარა მაქვს.

— არც მე, უკვე ყველა დავკარგე.

## ბუზღუნა ბერიკაცი

— რა გემართება, სადმე გრჩება? — ვეკითხები, — თუ სკლეროზი მოგეძალა, „ბილობილი“ დალიე. შე კაცო, სხვა ყველაფერს თვალხუჭელა ყლურწავ და რალა მაინცა და მაინც მაგას შემოსწყერი?



— ეგ კარგი გამახსენე, — გაიბადრა, — „ბილობილს“ დღესვე ვილაცას ვაყიდინებ და ილმელს დავალევინებ.

— რომელ ილმელს?

— აი, იმას, ბუზღუნა ბერიკაცს.

— ისიც კარგავს სათვალეს?

— ჰო, მაგრამ თავისას კი არა, ჩემსას. ხუთი სათვალიდან არც ერთი აღარ შემარჩინა!

— სად მიაქვს ამდენი სათვალე, ვერ დაადგინე?

— ვერა.

— როგორც ვიცი, ბუზღუნა აქედან ყოველთვის მეცნიერებათა აკადემიაში გარბის.

— ვიყავი, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინე, სათვალეები იქიდანაც პირწმინდად გაუზიდია.

— უჰ, რა მითხარი, მაგხელა მეცნიერებს აწი უსათვალოდ რა ეშველებათ?

— ვერ გეტყვი, არც ერთ აკადემიკოსს სათვალე აღარა აქვს.

— აა, გამახსენდა, ბუზღუნა მგონი უნივერსიტეტშიც ხშირად დაიარება.

— ვიცი, მაგრამ იქ სათვალის ძებნას აზრი არა აქვს.

— ვითომ არ გამოგიჩენენ?

— მაგიტომ არ ვამბობ.

— აბა რას გულისხმობ?

— იქიდან ასაკოვანი მეცნიერები ერთიანად გაყარეს, ახალბედებს კიდევ სათვალე არ სჭირდებათ.

— თუ დამიჯერებ, კაი აზრს მოგაწვდი.

— თქვი, გისმენ.

— ბუზღუნას გაზეთში საკუთარი რუბრიკა რომ გაუხსენი, გაუუქმე და მაშინვე ჩამოგცილდება.

— აბა როგორ, თანამედროვე მკითხველი ძირითადად ასეთი საკენკით იკვებება.

— მთავრობა?

— მთავრობა საკენკს რატომ იკადრებს, როცა წინ ხუთმილიარდიანი გობი უდგას?

— ვთქვათ იმ გობიდან თავი ასწია და ბუზღუნა ბერიკაცის შაირ-კაფიებს მოჰკრა თვალი, მერე სად გარბიხარ?

— იი, არხეინად იყავი, პრეზიდენტი საკუთარი შაირებით ერთობა, დანარჩენები კი რა სათვალავში ჩასაგდები არიან?

— როგორ კაცო, მაიასა და გიგას შაირ-კბენა შენ მართლა შაირად მიგაჩნია?

— განა მასეთი რა უკბინა?

— პოლიტიკოსები კი არა, ბრენდები ხართო, — უთხრა და მეტი რაღა უნდა ეკადრებინა?

— მაგრამ იქვე ხომ მიანიშნა — „ბორჯომი“ და „ხვანჭკარაც“ ბრენდებია, მაგრამ სიამოვნებით მივირთმევთო.

— მაგრამ, როგორ გავიგოთ, იმათგან ვინ რომელია?

— მაია რომ „ხვაჭკარაა“ და გიგა კიდევ — „ბორჯომი“, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა?

— ეგენი კი, მაგრამ მთავრობაც ბრენდიაო, რომ ამბობს, ამას რაღას უშვრები?

— არაფერია, ბერიკაცი უბრალოდ თავისთვის რაღაცას ბუზღუნებს.

— შენ ბუზღუნი დაარქვი, ხელისუფლებას მაგრად კი წკეპლავს და...

— სამაგიეროდ, ოპოზიციისგან განსხვავებით, ხალხის აბუნტებას და მთავრობის გადაყენებას არ მოითხოვს. მარტო ბუზღუნებს, ეგ არის და ეგ.

— საინტერესოა, სხვა ქვეყნების მთავრობები მაინც თუ ევასება?

— შენ წარმოიდგინე, არა, თუ სათვალე არ ამწაპნა, ბუშსაც ისევე ლანძლავს, როგორც სააკაშვილს.

— ეჰ, რა არის ეს ოხერი სიბერე, — შევჩივლე გუბაზს, — თუ ძალიან ფრთხილად არ იყავი და შიგადაშიგ „ბილობილიც“ არ მოიშველე, შეიძლება საქართველო ამერიკაშიც კი აგერიოს!

**ოტია ჩართოლანი**

ინფორმაცია

## ხონში იუსტიციის სამინისტრომ ახალი ოფისი გახსნა

**თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებულ შენობაში იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ და იმერეთის გუბერნატორმა აკაკი ბობოხიძემ ოფისი გახსნეს.**

ამასთან დაკავშირებით, ხონში საქართველოში ეუთოს მისიის, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ჩავიდნენ.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების შენობათა მოდერნიზაცია დონორი ორგანიზაციების, მათ შორის აშშ-ის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის და საბერძნეთის მთავრობების მხარდაჭერით მიმდინარეობს. პროექტს საქართველოში ეუთოს წარმომადგენლობა ახორციელებს.

## ყოფილი პოლიციელი — ნარკოდილერი

**საპატრულო პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა თელეთის საგუშაგოსთან ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე პოლიციის ყოფილი თანამშრომელი დააკავეს.**

როგორც შს სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, 1981 წელს დაბადებულ ლაშა გალდავას პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 13 ცალი ე.წ „ბაშად“ დაფასოებული, სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გალდავა დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**

№ 94. პარასკევი, 18 მაისი, 2007 წელი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ყოფილი რედაქტორი, სათნო ქალბატონი

**ლია კაკაბაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგეობა და მოსახლეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცაგერის რაიონის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი, ლეჩხუმის დიდი მოამაგე

**კარლო აკაკის ძე მუშკუდიანი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ომარ ჭაბუკიანი, შალვა ცვარიანი და მარინა სვანიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კარლო აკაკის ძე მუშკუდიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

2007 წლის 2 ივლისს, დღის 12 საათზე, სს „ტრაქტების“ კლუბში ჩატარდება ამავე საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. 2007 წლის 12-13 ივნისი გამოცხადებულია სააღრიცხვო დღედ.

**დღის წესრიგი:**

1) 2006 წლის ანგარიშის შედეგების განხილვა;
2) სხვადასხვა საკითხები.

**მისამართი:** დ. გულიას ქ. №1.

---

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება ირაო 777-ის აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ**

სს ირაო 777-ის ადმინისტრაცია 2007 წლის 6 ივნისს 12.00 სთ-ზე იწვევს აქციონერებს საერთო კრებაზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ქავთარაძის ქ. №8-ა.

**დღის წესრიგი:**

1. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის წინადადების განხილვა;
2. საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის განხილვა;
3. აუდიტორის დამტკიცება;
4. სხვადასხვა.

სს ირაო 777-ის დირექტორი **ლ. ნაკაიძე**

---

შპს „კაპიტალი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: გამსახურდიას გამზირი №23. ტელ: 34-11-08.

# ბოლო გვერდი

**იშვიათი როდია, როდესაც სამსახურში, სამუშაოზე ადამიანი თავს შეუძლოდ გრძნობს, თითქმის ყველაფერი სტკივა – ხან – თავი, ხან – ყური, ხან – კუჭი. გასცდება თუ არა დაწესებულების კედლებს, განსაკუთრებით კი დასვენების დღეებში, ყველაფერი წესრიგდება. რაშია საქმე? ეს სამსახურებრივი ალერგია ხომ არაა?**


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ინფორმაცია

### საპყრობილეში პატიმრები სცემეს

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილეში, ე.წ. კრიტში პატიმრები სასტიკად არიან ნაცემები და უფლებადამცავებისგან დახმარებას ითხოვენ.**

ამის შესახებ კრიტში მყოფმა ერთ-ერთმა პატიმარმა ნუგზარ თაბაგარმა განაცხადა.

როგორც პატიმარი ამბობს, რამდენიმე დღის წინათ, ერთ-ერთი გეგმური შემოწმების დროს სასჯელაღსრულების დეპარტამების თანამშრომლებმა საკანში აკრძალული ნივთი აღმოაჩინეს, რის გამოც პატიმრები სასტიკად სცემეს.

– რამდენიმე პატიმარი, მათ შორის მეც, სასტიკად ნაცემი ვართ და სასწრაფო დახმარება მჭირდება, – აღნიშნა თაბაგარმა.

თაბაგარი 2004 წლის 6 მარტს ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. მას 6 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი.

პატიმრების ცემის ფაქტი ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმაც დაადასტურა.

### მსჯავრდებული გარდაიცვალა

**იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი ომარ ქ. გარდაიცვალა.**

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურიდან იტყობინებიან, ავადმყოფს აღენიშნებოდა უცნობი ეტიოლოგიის ენცეფალოპათია, კახექსია, უცნობი ეტიოლოგიის კომა, ფილტვის ტუბერკულოზი.

სიკვდილის სავარაუდო მიზეზი უცნობი ეტიოლოგიის კომის ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა.

**ინტერპრესნიუსი**



## „დრო, დრო აღნიშნე!“

### მეოცე საუკუნის ფოტომატიანეს წარმოგვიდგენს ფოტოჟურნალისტი

### გივი გახტანგაძე



მეოცე საუკუნემ ქალი მამაკაცის მხარდამხარ დააყენა. თითქმის არ დარჩენილა ცხოვრების სფერო, სადაც ქალს თავისი სიტყვა არ ეთქვას, თავისი ნიჭი და უნარი არ გამოევლინოს. ის კი არა, სამოციან წლებში კოსმოსშიც კი გაფრინდა ქალი – ლეგენდადქცეული ვალენტინა ტერეშკოვა. იგი, ცხადია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა სწორედ იქ, სესიაზე გაიცნო ქართველი თეატრისა და კინოს უნიჭიერესი მსახიობი სოფიკო ჭიაურელი, რომელიც, ასევე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო.

## ლარის კურსი

**18 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3412 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6850 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2813 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0653 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9527 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4732 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3593 ლარი. |

## ხუმარსიტყვა

### იდილია

**სოსელოურად**

ნინოს გაეხსნა ბაგენი,
სათქმელს ამბობდა
მახვილსა:
– გვაქვს საამაყო ამდენი,
იმედიც წინსვლის ახლისა.

პრეზიდენტი კი ღრუბლებში
პიარ-პიარით დაჰქროდა,
„ხვანჭკარა“ ეწყო უბეში
და საზღვარგარეთ გაჰქონდა.

...წინ რეფორმებით მიდიხარ
ნაციონალთა მხარეო,
დღეს თუ ეუთოს
მკვიდრი ხარ,
ნატოში შეხვალ ხვალეო...

**თამაზ ებანოიძე**

## ჯანმრთელობა

### სამსახურებრივი ალერგია

**იშვიათი** როდია, როდესაც სამსახურში, სამუშაოზე ადამიანი თავს შეუძლოდ გრძნობს, თითქმის ყველაფერი სტკივა – ხან – თავი, ხან – ყური, ხან – კუჭი. გასცდება თუ არა დაწესებულების კედლებს, განსაკუთრებით კი დასვენების დღეებში, ყველაფერი წესრიგდება. რაშია საქმე? ეს სამსახურებრივი ალერგია ხომ არაა?



შესაძლებელია, თუ პიროვნებას განსაკუთრებით არ მოსწონს სამუშაო!

ვაშინგტონის ადამიანის განვითარების ცენტრმა მოაწყო ხანგრძლივვადიანი გამოკვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ ადამიანი, რომელიც სამუშაოზე მუდამ განიცდის სტრესს, ხშირად იტანჯება ჯანმრთელობის ყველანაირი მოშლის მთელი კომპლექსით, რაც მომენტალურად ქრება, როგორც კი იხსნება სტრესის ზემოქმედება – ანუ როცა დგება დასვენების დღეები. სხვათა შორის, იმათ, ვინც 10 წელი იმუშავა მუდმივი სტრესის პირობებში, ხუთჯერ მეტად აქვთ მსხვილი და სწორი ნაწლავების კიბოთი დაავადების რისკი, ვიდრე იმათ, ვინც თავიანთი სამუშაოთი კმაყოფილნი არიან.

როგორც ამბობენ, ამისგან თავის დაღწევის ორი გზაა – პირველი, დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოთ სამუშაო, და მეორე – ეცადეთ, შეიყვაროთ ის ისე, როგორიც არის. საქმიანობის ყოველ სახეობაში ხომ არის რაღაც დადებითი, უბრალოდ, უნდა ვისწავლოთ მისი შემჩნევა!

**„ЗДОРОВЬЕ“**

## ანეკდოტები

**ტიპი** სხვა ჯარისკაცებთან ერთად თვითმფრინავით გადაჰყავთ.



– ავარიის შემთხვევისთვის პარაშუტებს დაგვირიგებენ? – ეკითხება იგი ინსტრუქტორს.

– არა, ასეთი რამ დაწესებული არ არის.

– აბა, ამას წინათ გემით რომ გადავყავდით, ყველას მაშველი ჟილეტები რად დაგვირიგეს?

– ჰო, გემებზე ასეა დაწესებული.

– აი, გასაკვირი ამბავი, თუ გინდა. არ მეგონა, თუ ცურვის მცოდნეებზე მეტი ფრენის მცოდნე ადამიანები არსებობდნენ.

* * *

**როგორ** გავაკეთოთ ლუდის ბიზნესი:

1. დავარეგისტრიროთ სავაჭრო მარკები „წარსული“, „აწმყო“ და „მომავალი“.

2. გამოვუშვათ შემდეგი დასახელების ლუდი: „ბნელი წარსული“, „ნათელი მომავალი“ და „ამღვრეული (გაუფილტრავი) აწმყო“.

* * *

– **გაცვლიდით** ხუთ შეკვრა ჩვეულებრივ ფხვნილს ერთ გრამ არაჩვეულებრივზე?

* * *

**ძერათმიანი** ლამაზმანი თავისი ქალიშვილისთვის ნივთების შესაძენად შედის ქალთა თეთრეულის მაღაზიაში.

– თუ შეიძლება მომეცით გოგოს ტრუსები, – ეუბნება გამყიდველს.

– რამხელა გოგოსთვის?

– მერვე კლასში სწავლობს.

– თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ.

– მერვე „ბ“ კლასშია.

* * *

**ჩაი** „ლიპტონისთვის“ დამახასიათებელ ყველა არომატს შორის, სამწუხაროდ, დღემდე არ იგრძნობა ჩაის არომატი.

## კადრი



**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

**საქართველოს რესპუბლიკა**
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ძიზიძის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი **ალეკო ასლანიშვილი**
მორიგე რედაქტორი **კონსტანტინე გურგენიძე**

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.